

# ქვეყნის ქვეყნის






საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება  
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ  
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS





ს. ს. ს. მინდო კრებ.

სერია: „მატიერიალური კულტურის ქვბლები“



ქვბული მემკვიდრეობა

«ქველის შვიგობარის» წინამდებარე ნომრის მასალების შერჩევის დროს მიზნად აღიქვამათ მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ერთი მხრივ — ზოგიერთი მასალა უკრთოთ სწავრა უკრთომოძღვრების — ციხე-სიმაგრეთა შესახებ; მეორეს მხრივ — გავვეცნო ქველების დაცვის მდგომარეობა საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში. კრებულის ეს ნაწილი «ქველის შვიგობარის» № 5 ნომრის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენს. იგი საქართველოს მთავრობის ქველებს ეხებოდა, წინამდებარე კრებულში მოცემული მასალები კი — სახელდობრ, მთიანეთის შუა წელის: მდინარე ქსნის და ლიახვის ხეობებსა და ზეგანზე მდებარე ქველებს ეძღვნება. ამრიგად, ამ ნომერში დღევანდელ სამხრეთ-ოსეთის ადმინისტრაციულ ფარგლებში მდებარე რეგლების შესახებაა საუბარი, რაც მიზნად ისახავს აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარე ქველების მოვლა-პატრონობაზე ყურადღების გამახვილებას.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს წერილი, რომელიც წარმოადგენს ქვეს გასამაგრებლად ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგს. მიღწევები ავტორს პრაქტიკულად განხორციელებული აქვს რამდენიმე მაგალითზედაც, რაც დამაკმაყოფილებელ შედეგებზეა სტოვებს. თუ ავტორის მიერ დასმულ საკითხს სათანადო გულისხმევებით მოვეყვდებით, იმედია, ფასდაუდებელ საშაბურს გავუწევთ ისეთი ქველის გადარჩენის საქმეს, როგორცაა მცხეთის ქვარის რელიეფები.

მკითხველს შეუძლია კრებულში კვლავ გავცნოს საინტერესო მასალებს, დაბეჭდილ რუბრიკების ქვეშ: «ქველთა მეცნიერული დაცვა-აღდგენის პრაქტიკა», «კულტურის ქველთა მცველი და მოამაგენი», «ქრონიკა» და სხვა.

## გ ა მ რ დ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ს ა წ ე ი ს ე ბ ზ ა

ს ა რ ა მ ა ტ ე ი ო კ ო ლ ე ბ ი ა: ირაკლი აბაშიძე, შალვა ამირანაშვილი, ანდრო აფსაძე, ვახტანგ ბარიძე, ლევან გომთოა, ლადო გუგუიაშვილი, ოთარ თაქთაიშვილი, თეიმურაზ ანდელაძე, ირაკლი ზაპარიაშვილი, ნიკო კაცხოველი, ლევან მატარაძე, ოთარ სანთაძე, ზაირა სტურუა (პ/მგ. მდივანი), გიორგი ჩიბანი, გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე, ლევან ხიფიანიშვილი

## შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი ბრინჯაოს ხანაში

შიდა ქართლის ის კუთხე, რომელიც დღეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში შედის, არქეოლოგიური თვალსაზრისით უთუოდ ძალიან საინტერესოა. ამიტომაცაა, მან კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. რა თქმა უნდა, ეს ინტერესი ამ რაიონისადმი შემთხვევითი არაა. ჩვენს მუზეუმებში თავმოყრილი იყო, უპირატესად შემთხვევით აღმოჩენების შედეგად დაგროვილი დიდაძალი მასალა, რომელიც უმთავრესად გვიან ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნებოდა. როგორც




ნაქვლბაქარის „ნამოსახლარი“

ჩანს, ამ დროისათვის შიდა ქართლის ეს კუთხე საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. აქ კარგად შეინიშნება როგორც აღმოსავლურ-ქართული, ისე დასავლურ-ქართული კულტურების ელემენტები. ამიტომაც, საესეებით მართებულად აღნიშნა თავის დროზე აკად. ს. ჯანაშიამ, რომ შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი, დღევანდელი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორია, ის რაიონი უნდა ყოფილიყო, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა და თავის გამოცდილებას უზიარებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა.

უკანასკნელ ხანებში ფართოდ გაიშალა არქეოლოგიური კვლევა-ძიება შიდა ქართლის ჩრდილო ზოლის ტერიტორიაზე. ამ მუშაობის შედეგად გამოვლე-

ჩილი იყო მთელი რიგი მტად მნიშვნელოვანი ძეგლებისა. გაირკვა, რომ შიღ: ქართლის ამ კუთხეს ქვის ხანიდან მოცილებული ითვისებს ადამიანი, აქ გამოვლენილი იყო ძველი ქვის ხანის, პალეოლითის, ადრეული პერიოდის ძეგლები, განსაკუთრებით ინტენსიურად ამ მხარის ათვისება ხდება მტკვარ-არაქსის კულ-



იარაღი ნელის სამარხიდან


ტურის ხანაში. აქ გამოვლენილია ამ პერიოდის მთელი რიგი საყურადღებო ძეგლებისა. ცხინვალის ნაცარგორას ქვედა ფენა მიეკუთვნებოდა მტკვარ-არაქსის კულტურას.<sup>1</sup>

ცხინვალის მიდამოებში კიდევ რამდენიმე ადგილას იქნა დამოწმებული ამ პერიოდის ძეგლები. ბორცვ-ქულბაქებზე ნაპოვნი იყო თიხა-ტყეპნილი მოედნები, შესაძლოა საცხოვრებლის ნაშთი, სადაც დიდი რაოდენობით ჩნდებოდა თიხის ქურჭელი. მოედნის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა მრგვალი თიხის კერა. ამ ტიპის კერები კარგადაა დამახასიათებელი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის. თიხის ქურჭელი უპირატესად მოწითალოა, გაპრიალებული ზედაპირით. ქულბაქების მახლობლად კიდევ ორ ადგილას იყო დამოწმებული ამ პერიოდის ნაშთები: ადგილ „კულუხომზე“ და ზღუდერზე. როგორც ჩანს, ქულბაქების გორაკი ძირითადი სამოსახლო ადგილი იყო, ხოლო მის მახლობლად ვაკეზე მდებარე ადგილები „კულუხომი“ და ზღუდერი მასთან იყო დაკავშირებული. (ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურებზე, თბილისი, 1961, გვ. 21).

მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი სამაროვანი აღმოჩენილი იყო ზნაურის რაიონში, სოფ. ძალინასთან. (იქვე, გვ. 203). ამ სამაროვანზე გამოყოფა ორი უბანი — აღმოსავლეთის და დასავლეთის. დასავლეთის წესი ამ უბნებზე განსხვავებული იყო. აღმოსავ-

<sup>1</sup> გ. გობეჯიშვილი, ცხინვალის ნაცარგორა, მიმოხილველი, ტ. II, თბილისი, 1951, გვ. 247.

ლეთ ნაწილში პირდაპირ მიწის ზედაპირზე ათავსებდნენ და შემდეგ ზემოდან ქვაყრილს უკეთებდნენ, დასავლეთ უბანზე კი მიცვალებულს ჯერ საგანგებოდ ამოღებულ ორმოში ათავსებდნენ და შემდეგ კი ქვაყრილს აყრიდნენ. სამარხებში დაკრძებული ინვენტარი აღმოჩნდა. ძირითადად, თიხის კურკელი. აღმოსავლეთის უბნის სამარხებში, გარდა კერამიკისა, ჩნდებოდა აგრეთვე ლითონის ნივთები: სასაფეთქლე რგოლები, სატევრის პირა, ქინძისთავი და სხვ. ვანსაკუთრებით აღსანიშნავია დასავლეთის უბნის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი პატარა ქინძისთავი, მარწყვისებური თავით. მსგავსი ქინძისთავები ჩვენში ცნობილია მხოლოდ სამხერის რაიონში აღმოჩენილი ამ დროის სამაროვნებზე. აღმოსავლეთის უბანზე ნაპოვნი ქინძისთავი ბრტყელი თავით, რომლის ორივე ბოლო ხვითო მთავრდება, კარგადაა ცნობილი მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელი პერიოდის ძეგლებში: — ქვაცხელები, შულავერის ნასახლარი და სხვა.



იარაღი ნულის სამარხიდან

მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ძეგლები გამოვლენილი იყო ისტორიის ინსტიტუტის დაზვერვითი ექსპედიციის მიერ ისტორიულ შიდა ქართლის, კერძოდ კი, თანამედროვე სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე. ექსპედიციის მიერ აღნუსხული იყო მთელი რიგი სამოსახლო გორებისა, სადაც ძირაფენა მიეკუთვნებოდა მტკვარ-არაქსის კულტურას. ამ გორებზე, როგორც ჩანს, ამ კულტურის შემდეგ ცხოვრება ქრება და მათი ხელახალი ათვისება გვიანბრინჯაოს—ადრერკინის ხანაში ხდება. (დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, ტ. I, თბილისი, 1960 წ. გვ. 188). ამრიგად, როგორც ჩანს, III ათასწლეულში, მტკვარ-არაქსის კულტურას ხანაში შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი ინტენსიურადაა დასახლებული. როგორც ცნობილია, შიდა ქართლის ვაკე ამ დროს ათვისებულია მიწათმოქმედი ტომების მიერ, აქ გამოვლენილი და შესწავლილია მტკვარ-არაქსის კულტურის დროინდელი ნასოფლარები (ქვაცხელა, ხიზანანთ გორა, გუდაბერტყა და სხვ.). შიდა ქართლის მთისწინა ზოლში მსხდომ ტომებს ახლო ურთიერთობა აქვთ ამ პერი-



ოდში ბარის მოსახლეობასთან. აქ აღმოჩენილი ამ დროის მასალები ბევრ საერთო პოლომენ შიდა ქართლის ვაკეზე გამოვლენილ ნამოსახლარებთან (კერამიკა, ქვის იარაღი, ლითონი და სხვ.) აქ, როგორც ჩანს, ერთი მტკვარ-არაქსული კულტურის შიდა ქართლური ვარიანტი იყო გავრცელებული.



ძლინის სამარხი

II ათასწლეულის ბოლოსათვის შიდა ქართლის ვაკეზე ცხოვრება თანდათანობით ქრება და, პირიქით, მთის წინა ზოლში უფრო ინტენსიური ხდება. ამ დროისათვის შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი, მთის წინა მხარე წინაურდება და იგი შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის გავრცელების არეში ექცევა. აქ ცხოვრების დაწინაურებას ხელს უწყობდა მეურნეობის ორივე ფორმის, როგორც მიწათმოქმედების, ისე მესაქონლეობის განვითარებისათვის არსებული ხელსაყრელი პირობები და, აგრეთვე, მეტალურგიის საკმაოდ მაღალი დონე.


როგორც ცნობილია, II ათასწლეულს პირველ ნახევარში, თრიალეთური კულტურის ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითადად ქვემო და შიდა ქართლში მოსახლე ტომები განვითარების მაღალ დონეს აღწევენ. მეურნეობის ხასიათის ცვლამ მესაქონლეობის, განსაკუთრებით კი მეცხეაწეობის დაწინაურებაში, მეტალურგიის და ხელოსნობის სხვადასხვა დარგების განვითარებაში და აგრეთვე ახლო ურთიერთობაში ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან განაპირობა თრიალეთური კულტურის მატარებელი საზოგადოების წინსვლა.

თრიალეთური კულტურის ძეგლები კარგადაა ცნობილი შიდა ქართლში, დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. აქ გამოვლენილი იყო ამ პერიოდის სამარხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ნულისა და ქვასათალის სამარხები. (Б. А. Куфтин «Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949 г. стр. 31. О. М. Джапа-



აქ აღმოჩენილი იყო შუაბრინჯაოს ხანის კოლექტიური სამარხები, რომლებშიც ულ სამარხში დაახლოებით ათამდე მიცვალებული იყო მოთავსებული. სამარხებში დიდი რაოდენობით იყო ჩატანებული ლითონის იარაღი: სატევრის პირები, შუბისა და ხელშუბის პირები და სხვ. აქვე აღმოჩნდა ლითონის სამკაული: სხვადასხვა ტიპის საკინძები, სამაჯურები, ანთიმონის მძივები, ლილაკები, საკიდები და სხვ. თიხის ჭურჭელი შავრიალაა, ზოგჯერ წერტილოვანი ორნამენტით შეკული. უნდა აღინიშნოს, რომ კერამიკა ბევრ საერთოს პოულობს თრიალეთის ყორღანებში ნაპოვნ თიხის ჭურჭელთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნულისა და ქვასათალის სამარხებში აღმოჩენილი სატევრისა და შუბის პირები ახლო დგანან თრიალეთის ყორღანების ამგვარივე იარაღებთან.

შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში შესწავლილი იყო აგრეთვე შუაბრინჯაოს ხანის ყორღანებიც. მდ. ფრონეს ხეობაში გაითხარა რამდენიმე ყორღანი. სოფ. მუგუთთან შესწავლილ იქნა ერთი დიდი ყორღანი „ნაცარ-გორა“. აქ აღმოჩენილი კერამიკა ახლო დგას თრიალეთის VIII ყორღანის თიხის ჭურჭელთან. აღსანიშნავია, რომ დასაფლავების წესშიაც აქ ბევრი საერთოა თრიალეთის ყორღანებთან.



ქვასათალის სამარხის სამკაული

ნებთან. აქაც, როგორც ჩანს, მიცვალებულის დაწვასთან უნდა გვეკონდეს საქმე. სოფ. წუნართან გათხრილი იყო ორი ყორღანი. ერთ-ერთ ყორღანში ნაპოვნი იყო სატევრის პირი და თიხის ჭურჭელი. როგორც ჩანს, ეს ყორღანი უნდა მიეკუთვნებოდეს შუაბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურს. განსაკუთრებით აღსანიშნავია,



ვია სოფ. ა ვ ნ ე ვ თ ა ნ გათხრილი ერთი ყორღანი, სადაც აღმოჩენილი იყო ხის ოთხთვალა ეტლის ნაკვალევი. როგორც ცნობილია, მიცვალებულის ეტლითან ერთად დასაფლავების წესი გავრცელებული იყო თრიალეთის კულტურაში. თრიალეთის მაღალმთიან ზოლში გათხრილ ყორღანებში აღმოჩენილი იყო ხის ოთხთვალა ეტლები. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი — სოფ. ფ რ ი ნ ე ვ თ ა ნ გათხრილი ყორღანი, სადაც სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ერთი ნატეხი წითელი შავად მოხატული ჭურჭლისა. ამ ტიპის კერამიკაც კარგადაა ცნობილი თრიალეთის ყორღანებში. ამრიგად, როგორც ჩანს II ათასწლეულის პირველ ნახევარში, შუაბრინჯაოს ხანაში, შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში გავრცელებული იყო თრიალეთის კულტურა.

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში, გვიანბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, შიდა ქართლში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. თრიალეთის კულტურის ნაცვლად, ახლა აქ განსხვავებული ხასიათის კულტურა ვრცელდება განსაკუთრებით დიდი ცვლილებები შეინიშნება შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ეს რაიონი დიდ გავლენას განიცდის ერთი მხრივ — „შიდა ქართლური“, „სამთავრული“ კულტურისა და, მეორე მხრივ კი — აქ დასავლურ-ქართული კულტურის მატარებელი ტომების მომძლავრება ხდება. (ო. ჯაფარიძე, მასალები ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის შიდა ქართლიდან, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1966, გვ. 25 ბ. B. Texov. Раскопки Глинянского могильника в 1960 г. С. А. № 1, Москва, 1963, გვ. 162) შიდა ქართლის ჩრდილო ზოლში გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლებზე კარგად შეინიშნება, როგორც აღმოსავლურ-ქართული, ისე დასავლურ-ქართული კულტურის ელემენტები. ცხინვალის „ნაცარგორაზე“ ამ პერიოდის ფენებში დასავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იარაღის ჩამოსახსმელი ქვის ყალიბები: აღმოსავლურ-ქართული ტიპის ცულის, სატეხის, ბრტყელი ცულის, სატევრის პირების და სხვ. (გ. გობეჯიშვილი, დას.ხ. ნაშრომი). აქვე აღმოჩენილია მთელი რაგი განძებისა, რომლებიც შედგებიან აღმოსავლურ-ქართული და დასავლურ-ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ ნივთებისაგან ცხინვალის განძი. ო. ჯაფარიძე, „ცხინვალის განძი“, საქ. მეზეუმის მოხაე. ტ. XVI, თბილისი, 1950, გვ. 99).

ამრიგად, როგორც დავინახეთ, შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ათვისებული იყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიერ. შემდეგში ეს რაიონი თრიალეთის კულტურის გავრცელების არეში ექცევა. გვიანბრინჯაოს ხანაში, ჩანს, აქ დასავლურ-ქართული კულტურის მატარებელ ტომთა მომძლავრება.



## ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, ისტორიული შიდა-ქართლის იმ ნაწილში, რომელიც უმთავრესად მდ. დიდი და პატარა ლიხტეებისა და მდ. ქსნის შუა და ზემო წელს მოიცავს, დაცულია რიგი ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლებისა: ციხეები, კოშკები და ეკლესიები გალავნებითა და სამარეკლოებით. ეს ძეგლები მეტყველებენ საქართველოს ამ კუთხის სოციალურ და კულტურულ მდგომარეობაზე ისტორიული ვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

აღნიშნულ მიდამოების ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესწავლა, ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით, 1935 წელს დაიწყო. ამ წელს გ. ჩუბინაშვილის მიერ ქსნის ხეობაში ჩატარებული იყო ექსპედიცია, რომელმაც მიაკვლია ისეთ საინტერესო და მნიშვნელოვან ნაგებობებს, როგორცაა წირქოლის, არმაზის და ყანჩაეთის კაბენის ეკლესიები. კვლევა მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა, ჯერ ხელოვნების მუზეუმის „მეტეხი“-ს ხუროთმოძღვრული განყოფილების თანაშრომლებისა და შემდეგ, წლების მანძილზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანაშრომლების მიერ. კვლევა დღესაც გრძელდება.

შესწავლილ ძეგლთაგან ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელია ზემონიქოზის დიდი გუმბათიანი ტაძარი, რომელიც, ისტორიკოსის ცნობით, ვახტანგ გორგასალის მიერაა აგებული V საუკუნეში. ძეგლი შემდგომ ხანაში ძლიერ გადაკეთდა. ადრინდელი V—VII საუკუნეთა ხანის სხვა ძეგლი ჩვენ არ გვგებულა უფრო გვიან, VIII—IX საუკუნეებში. არაბთა ბატონობისა და საქართველოს ფეოდალური დაქსაქსულობის დროს, როდესაც ქ. თბილისი არაბებს ეპყრა და ცხოვრების მაჯისცემა პერიფერიებზე იყო გადასული, ხუროთმოძღვრულმა შემოქმედებამ ამ რაიონში განსაკუთრებული სიძლიერით იფეთქა. ამის საუკეთესო დანადასტურებელია ქსნის ხეობის სამი ზემოთ მოხსენებული ძეგლი — წირქოლი, არმაზი და ყანჩაეთის კაბენი. ეს ძეგლები ხუროთმოძღვრულ ფორმათა გადაწყვეტის მხრივ ერთნაირი არაა: არმაზში გუმბათი ოთხ სვეტს ეყრდნობა. წირქოლში — გუმბათი დარბაზული სივრცის კედლებზეა დაყრდნობილი. ყანჩაეთის კაბენში კი (გგულისხმობთ მის თვედაპირველ სახეს აღდგენილს ძეგლის გახსნის შედეგად ე. ცინცაძის მიერ) იგი ჯვრული ფორმის შიდა სივრცეს აგვირგვინებს. წირქოლისა და არმაზის გუმბათებს, საქართველოს ყველა სხვა ძეგლის ვანსხაგებობით ყელი არ გააჩნია, რაც სრულიად თავისებურ იერს ანიჭებს ამ ნაგებობებს და მათ ეპოქის ხუროთმოძღვრულ ფორმათა ძიების შესანიშნავ მაგალითებად წარმოგვიდგენს. შენობათა ფასადების გაფორმებაშიც აშკარად ჩანს მისწრაფება ახლის შექმნისაკენ, მაგ. დეკორატიული თაღების ან სარკმელთა საპირების მოტივები. არმაზში შერჩენილია კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. იგი IX საუ-

კუნით თარიღდება და წარმოადგენს უნიკალურ მაგალითს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ქრისტიანული სამყაროს ბევრი სხვა ქვეყნისათვისაც. კედლის მხატვრობის რამოდენიმე ფენა შერჩენილია კაბენშიც.

ქსნის ხეობის აღნიშნულ ძეგლთა გარდა, ყურადღებას იმსყრებენ სოფ. ცხინვალის ტაძარი (ქ. ცხინვალის მახლობლად) და მეჯულის ხეობაში სოფ. ბიეთის

ეროვნული

სოფ. ცხინვალის მახლობლად

და მეჯულის ხეობაში სოფ. ბიეთის



ხოფა.

ფოტო რ. მეფისაშვილისა

ზევით დაცული ნახევრად გამოქვაბული ეკლესია. კუსირეთის ტაძარი უახლოვდება ქსნის ხეობის ძეგლებს არა მარტო კედლებისათვის გამოყენებული მასალით და წყობის ხასიათით, არამედ რიგი დეტალებითაც.

ბიეთის ნახევრად გამოქვაბული ძეგლი წარმოადგენს არაჩვეულებრივ ნაგებობას: დარბაზული ეკლესია მიშენებულია კლდე-კლდეში გამოკვეთილია სათავსო, რომელიც ამ დარბაზულ სივრცეს თალებით უერთდება. ძეგლი დეკორატიულად გაფორმებულია თალოვანი ნიშებით, რომლებიც დიდ გამომეტყველებ



ქართული ენის  
სამეცნიერო ცენტრი





ბიჭთი.

ფოტო რუსულან შუფისაშვილისა.

იკორთა.

ფოტო რუსულან შუფისაშვილისა.



ზას ანიჭებენ მას. ფასადთა გადაწყვეტაში ხუროთმოძღვარი ახალ მანამდე უკ-  
ნობ ელემენტებს იყენებს, როგორცაა სარტყელები და სხვ.

ქსნის ხეობისა და ბიეთის ძეგლთა თავისებური ხუროთმოძღვრული მონაგობ-  
ბა და დეკორატიული გაფორმება დიდად მნიშვნელოვანია ქართული ხუროთმო-  
ძღვრების ისტორიის განვითარების აღნიშნული პერიოდის შესწავლისათვის.

არავის და ქსნის ხეობების დასაცავად VIII—IX საუკუნეებში აგებული იყო  
ციხეები წირქოლსა და გრუაში. ეს ციხეები, როგორც ჩანს, ძლიერი იყო იმდ-  
ნად, რომ დავით დიდმა კურაპალატმა კახთა ბატონებს ქართლის ყველა დაპყ-  
რობილი ადგილები დააბრუნებინა წირქოლის ციხისა და გრუას ვარდა.

IX საუკუნის ბოლოდან ვიდრე XI საუკუნის დასაწყისის ხანამდე შიდა ქარ-  
თლის ერთი კუთხის მთავრებად ტბელთა საგვარეულოს წარმომადგენლები ხდუ-  
ბიან. ტბელთა სამთავროს მნიშვნელობა გაზრდილი იყო იმით, რომ აქ გადიოდა  
გზა ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს გზა გამაგრებული იყო ციხეებით და კოშკებით —  
არაბეთის, კეხვის და სხვა ციხეებით. ციხეები აგებული იყო აგრეთვე ვანათში,  
აწრისხევში, ბიკარში და სხვაგანაც. ციხე-გალავნები ჰქონდა ეკლესიებსაც და  
ნონასტრებსაც. რომლებიც საჭირო შემთხვევაში თავდასაცავ გამაგრებულ პუნქ-  
ტებად იქცეოდნენ ხოლმე.

ინტენსიურად გაშლილ მშენებლობას პოლიტიკურად და ეკონომიურად გაძ-  
ლიერებულ ამ ფეოდალთა ბატონობის პერიოდში მოწმობს რაგი ჩვენამდე მოღ-  
წეული ძეგლები: ერედვის წმ. გიორგის ეკლესია, ე. წ. ბერის საყდარი, ხეთის  
საბა-წმინდა, დოდოთის ცხრაკარა, ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესია, ნიქოზის  
მცირე გუმბათიანი ეკლესია, ქარები და სხვ.

აღნიშნული რაიონის ძეგლთა შესწავლამ მდიდარი მასალა მოგვცა IX—X  
საუკუნეთა სამეცლესიანი ბაზილიკებისათვის. ესენია: ზვეთ აღნიშნული ერედ-  
ვის წმ. გიორგის ეკლესია, ბერის საყდარი, დოდოთი, ტბეთი და კუსირეთი. მათ  
ვარდა, ნადარბაზევი, კვიასა-ჯვარი, ქასაგინა და სხვ. თუ გავიხსენებთ, რომ რო-  
გორც ეს ე. წ. ჩუბინაშვილმა დაადგინა, ამ ტიპის ძეგლები საქართველოშია შექმნი-  
ლი და განვითარებული და მათ სხვაგან ვერ ვხვდავთ. გასაგები ვახდება, რა  
ძვირფასი შენაძენია ძეგლთა ეს ჯგუფი ჩვენი კულტურის, კერძოდ ხელოვნების  
ისტორიისათვის.

ერედვის წმ. გიორგის ეკლესია განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აქ  
ვრცელი და ისტორიული ფაქტების შემცველი წარწერის გამო, რომელიც მისა  
შესასვლელის სვეტზეა დასული. წარწერაში თანამედროვის მიერ ნოთხობი-  
ლია რიგი ისტორიული ფაქტი, რაც ძალიან საინტერესოა საქართველოს X საუ-  
კუნის დასაწყისის პოლიტიკური მოვლენების გარკვევისათვის. ერედვის ძეგლი  
უნიკალურია თავისი გადაწყვეტით. იგი წარმოადგენს მოზრდილი ზომის დარ-  
ბაზულ ეკლესიას გარშემოსავლელით, რომელიც სამხხრავ კი არ უვლის ეკლ-  
სიას, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებულია სამეცლესიან ბაზილიკებში, არამედ  
ოთხივე მხრიდან. მსგავსი მაგალითები არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა  
ქვეყნებშიც არ მოიხაზება.

ბერის საყდარი, რომელიც სოფ. ერედვის ახლოს მდებარეობს, წმ. გიორგის  
ეკლესიას ბევრი ნიშნით წააგავს: კედლების მოპირკეთებისათვის გამოყენებული  
მასალით, ხუროთმოძღვრულ ფორმათა აგებულებით, შიდა სივრცის გადაწყვე-



ტით და რიგი დეტალებით, მაგრამ ბერის საყდრის ოსტატი ფსაადთა დეკორატიულ გადაწყვეტას მეტ ყურადღებას აქცევს. მისი ძიება ამ მიმართულებით ძალიან თავისებური დეკორის შექმნითაა დაგვირგვინებული.

დოღოთის ცხრაკარა ყურადღებას იზიდავს გარშემოსავლელის სამხრეთი მონაკვეთის ჩუქურთმებით მდიდრულად მორთული კარიბჭით. შუა ეკლესიის კარსარკმლებიც დეკორატიულად იყო მორთული. აქ ბევრი საინტერესო დეტალია დაცული, როგორც თვით ძეგლზე, ისე მის ირგვლივ. მიწაზე.


ბეთის საბა-წმინდის მშენებელმა ნაგებობის ხუროთმოძღვრული ფორმება სრულიად ახლებურად გადაწყვიტა. დარბაზულ სივრცეს ვერდითი ღრმა უბეჯი აქვს, რითაც ჯეროული სივრცეა შექმნილი. ეს სივრცე გუმბათით კი არ არის დაგვირგვინებული, არამედ კამარებით არის გადახურული. ნაგებობის დასავლეთის ნაწილს ირგვლივ გარშემოსასავლელია აგებული, ორმალიანი თაღოვანი შესასვლელით სამხრეთის მხრიდან. ეს შესასვლელი და კარ-სარკმლები ჩუქურთმებით არის აქცენტირებული.

ზემო-ნიქოზის მცირე ტაძარი X საუკუნის გუმბათიანი ეკლესიების შიდა სივრცის გაფორმების ძალიან საინტერესო მაგალითად გვევლინება.

განსაკუთრებით მინდა შევჩერდე იმ ძეგლებზე, რომლებსაც ჩვენ 1946 წელს მივაკვლიეთ ჯაეის ზევით, მალა, მთებში. უმთავრესი მათგანია ზევით მოხსენებული კვაისა-ჯვარი, ნადარბაზევი, ქსაგინა და აგრეთვე სოხტაც. აქ ჩვენ წაგაწყდით ძეგლთა დეკორატიული მორთულობის იშვიათ ნაირსახეობას. ნადარბაზევის, ქსაგინას, და, როგორც ჩანს, კვაისა-ჯვარის სამეკლესიან ბაზილიკებს სამხრეთით სამხალიანი, მდიდრულად მორთული შესასვლელი ჰქონდათ (კვაისა-ჯვარში ასეთი ჩანს ერთ-ერთ ქვაზე, რომელზედაც გამოკვეთილია ეკლესიის მოდელი). აქ ბევრია ადამიანთა და ცხოველთა რელიეფური გამოსახულებანი. ეს რეგლები X საუკუნეშია აგებული. ისინი გვიჩვენებენ ისტორიული კულაროს, რომელიც რაკის ნაწილს შეადგენს. კულტურულ კავშირს საქართველოს ცენტრებთან და ამ კუთხის დიდ შემოქმედებით აღმავლობას აღნიშნულ ეპოქაში.

საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ხანაში — XII საუკუნის შუა წლებში — მეფე დავით აღმაშენებლის ასული თამარი აგებს თიღვაში (მდ. ფრონეს ხეობა) მონასტერს. თამარი მონაზვნად აღიკვეცა და თავისი უკანასკნელი დღეები იქვე გაატარა. მონასტრის შენობათაგან დღეს დარჩენილია მხოლოდ ტაძარი და გალავნის ცალკეული ნაწილები. თიღვის ტაძარი შორიდანვე ატყვევებს მაყურებელს ხუროთმოძღვრული ფორმების პარმონიული და დახვეწილი აგებულებით. იგი დეკორატიულად ძუნწადაა მორთული, მაგრამ მასი სადა, თლილი ქვით მოპირკეთებული ფასადები ძალიან მეტყველია. ძეგლის შიდა სივრცის გადაწყვეტა თავისებურია და მხატვრული გემოვნებითაა შესრულებული. თიღვა დიდი ხუროთმოძღვრის მიერაა აგებული.

ორი ათეული წლის შემდეგ (1172 წ.) იკორთაში ააშენეს ჩუქურთმებით უხვად მორთული, გუმბათიანი ეკლესია. ეს ძეგლი მაყურებელს ფასადთა დეკორატიული მორთულობის სიმდიდრით იტაცებს. ყველა ფასადი თაღებითაა მორთული. კარ-სარკმლების საპირეები სხვადასხვა სახის ჩუქურთმებითაა დაფარული. გუმბათს ჩუქურთმიანი მორთულობა უწყვეტლევ უკლის გარს. გარდა ამისა, მოკვითალო ფერის ფასადებზე შიგა და შიგ ბაცი მწვანე ქვებითაა ჩართული, რითაც დამატებით, ფერადოვნებით გამდიდრებულია ძეგლი. იკორთა ქართ-



სოფ. ვრედეის წმ. ვიორგი.



აბისი.

ფოტო ვახტანგ ცინცაძისა



ქართული

ლიბრერი



ძალინა.

ფოტო უასტანე კონცაძისა

ლის სხვა XII—XIII საუკუნეთა ძეგლებთან ერთად — ბეთანია, ქვათაზევი, ფრტარეთი — ერთიან ჯგუფს ქმნის და ამ ჯგუფის უადრესი წარმომადგენელია. იკორთის ტაძარმა შემოგვინახა XII საუკუნის მეორე ნახევრის შესანიშნავი კედლის მონატილოზის ფრაგმენტები, რომლებიც ამ დროის მონუმენტალური მხატვრობის იშვიათ მაგალითს წარმოადგენენ.

XIII საუკუნე ორი მნიშვნელოვანი ძეგლის აგებით აღინიშნა: თირის მონასტერი — ცხინვალის რაიონში და ხოფა — ლენინგორის მახლობლად. ამავე პერიოდში შესრულებულია ყანჩაეთის კაბენის გადაკეთება-გადიდება. თირი და ხოფა სამონასტრო კომპლექსებს წარმოადგენენ, მოზრდილი ზომის, კარგად ნაგები დარბაზული ეკლესიებით. ეკლესიების ფსადთა მდიდრული მორთულობის კომპოზიციური გადაწყვეტა ძალიან საინტერესოა. იგი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ორთვე ძეგლზე დაცულია სატრაპეზოები. ზოგან სატრაპეზო დიდ, მაღალ, კამარით გადახურულ შენობას წარმოადგენს. თირში სამრეკლოცაა შემონახული. ეკლესიაში კედლის მონატილოზის ფრაგმენტებია დაცული.

მონღოლთა ურდოების შემოსევებისა და ქვეყნის აშლილობის მძიმე ხანაში შიდა ქართლის ამ ადგილების მკვიდრი მანც ინარჩუნებდნენ ძალას მშენებლობისათვის. მთავარი ძალა მაშინ თავდაცვითი ნაგებობების კამაგრება-შეკეთებას ხმარდებოდა, მაგრამ არც ეკლესია-მონასტრები იყო მიტოვებული უყურადღებოდ. წუნარის გუმბათიანი ეკლესია და თირისა და ზემონიქოზის სამრეკლოები უნდა იყვნენ აგებული ამ პერიოდში. ისტორიული წყაროები ვეაუწყებენ, რომ ლარგვისშიც დიდი მშენებლობა უწარმოებიათ, მაგრამ ლარგვისის ამ ხანის არქიტექტურულმა ძეგლმა ჩვენამდე არ მოაღწია.

გვიან შუასაუკუნეებში წინათ არსებულ ციხე-სიმაგრეების შეკეთებასთან ერთად (ქორეთის, ვანათის, აწრისხევის და სხვა ციხეების გვიანი ფენები) ხალხი თავდასაცავად ახალ ციხეებსაც აგებდა. შენდებოდა საერო რეზიდენციები ახალგორში (ლენინგორში) — სასახლეები, დამხმარე სათავსოები, შემოზღული ციხე-გალავნებით. იგება სასახლე მრავალ-სართულიანი, ზედა სართულში თაღებით გახსნილი კოშკით, ძალიანში (მდ. ფრონეს ხეობა), საცხოვრებელი კოშკი სოფ. ხეთში, რომლის აგება ეახტანგ VI საამშენებლო მოღვაწეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ელიას საყდარი სოფ. ბურელას მახლობლად, ხელახლა შენდება ლარგვისის სასახლე და ტაძარი, ქ. ცხინვალში აიპართა დიდი გუმბათიანი ეკლესია და მრავალი სხვა.

ამ მოკლე წერილში ჩვენ შევეხეთ მატერიალური კულტურის მხოლოდ ზოგ ძეგლს, რომელიც შიდა ქართლის ამ ჩრდილოეთის კუთხემ შემოგვინახა. მას კიდევ ბევრი შესანიშნავი ძეგლი აქვს შერჩენილი. უნდა ითქვას, სამწუხაროდ, რომ უმრავლესი მათგანი დღეს ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. ზოგი დაღუპვის პირზეა მისული. ამ ძეგლთა მოვლა-აპატრონობა გადაუღებელ ამოცანას შეადგენს.



სოფ. ზრამაგი. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

## ვახტანგ გამრეკელი

ს. ჟანაშიას საბ. საქართველოს სახელმწიფო  
ბეჭდუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

### მასალები ღვალეთის და ქართლის ურთიერთობის ისტორიიდან

კავკასიაში მთისა და ბარის მოსახლეობას შორის შუა საუკუნეებში გაცხოველებული ურთიერთობა არსებობდა.

მთასთან შედარებით ბარის მოსახლეობის ეკონომიური, სოციალურ-ორგანიზაციული, სამეურნეო-ტექნიკური და სხვა უპირატესობათა გამო ამ ურთიერთობის პროცესში მთა მოექცა ბარისგან დამოკიდებულ მდგომარეობაში. მაგრამ ამ დამოკიდებულებასთან ერთად მთის მოსახლეობა ერთგვარ ფარგლებში ინარჩუნებდა შინაგან ავტონომიასაც (თვითმმართველობას), რაც ემყარებოდა მეურნეობის ნატურალურ ხასიათს და თემურ საზოგადოებრივ წყობას. გზების და საწარმოებზე საშუალებათა განუვითარებლობის და ნატურალური მეურნეობის ბატონობის გამო ურთიერთობებს ძირითადადში ლოკალური, ადგილობრივი მასშტაბი ჰქონდა. სოციალური ცხოვრების განვითარების შესაბამისად რაულდებოდა შინაარსობლივად ეს ურთიერთობაც. მასში შემოჭრილი იყო ეკონომიურ კულტურული, ენობრივი, პოლიტიკური, სოციალური და სხვა მომენტები. გამოჩენილი იყო მტკიცე ურთიერთკავშირი ალაზნის ველისა და ფშავ-თუშეთის მთე-



ზის, შიდა ქართლისა და დვალეთ-მთიულეთის მთების, იმერეთის ბარისა და ტა-  
 პის, სამეგრელოს და სვანეთის მოსახლეობის შორის.

რიგი ისტორიული მოწმობა მეტყველებს იმაზე, რომ უკრ კიდევ (სახელწოდო-  
 ბის ხანაში, ე. ი. ადრეულ



მეფე გიორგი XI-ის მიერ 1683 წ. შეწირული ზარი.

შუასაუკუნეებში, დვალეთი  
 და ქართლი მოქცეული იყო  
 ერთ სახელმწიფოებრივ სა-  
 ზღვრებში. წერილობით წყა-  
 როებზე რომ არაფერია  
 ვთქვათ, ამაზე მეტყველებენ  
 ის მძლავრი თავდაცვითი  
 ნაგებობები — კოშკებიანი  
 კედლები, რომლებმაც ჩა-  
 ხერგეს დვალეთის ჩრდილო-  
 ეთი ხეობის ვიწრობები  
 (ქასრის ხეობაში და ხილა-  
 კას ხევი) და გამოიწვეს  
 დვალეთი ჩრდილო კავკასი-  
 ის დაბლობისაგან. ურთი-  
 ერთობა დვალეთთან და მის  
 საშუალებით ოსეთის სხვა-  
 დასხვა ხეობებთან უწყვეტ-  
 ლივ საუკუნეთა მანძილზე  
 გრძელდებოდა. ამის მოწმო-  
 ბას მრავალგზის ვხვდე-  
 ბით ნივთიერი კულტურის  
 სხვადასხვა ძეგლებში. XI  
 საუკუნიდან, როდესაც სა-  
 ქართველო უკვე განთავი-  
 სუფლდა არაბთა მძლავრე-  
 ბისაგან და მისი ტერიტო-  
 რიის უმეტესი ნაწილი ერთ  
 სახელმწიფოდ გაერთიანდა,  
 გვაქვს დვალეთის ქრისტიან-  
 ნული საკულტო ნაგებობები  
 ქლელეს ხეობაში (სოფ. თლი)  
 და ზროგოს ხეობაში. ამ  
 უკანასკნელს ამჟამად უწო-  
 დებენ ზოზიტა-მაირამს, უფ-  
 რო ადრე და XIX ს-შიც მას  
 ეწოდებოდა ზროგოს ღვთის-  
 მშობლის ეკლესია. უფრო

მართებულად უნდა მივიჩნიოთ სახელწოდება „ზროგოს ღვთისმშობ-  
 ლის ეკლესია“. მომდევნო საუკუნეებიდან მომდინარე ნაშთები უფ-  
 რო მრავალრიცხოვანია: დვალეთის ტერიტორიაზე კიდევ ორ სხვა „ეკ-  
 ლესია მცირეს“ ასახელებს ვახუშტი ბაგრატიონი: ზემო ზრამაგაში და ზაყაში.  
 ამ უკანასკნელის არსებობას მოწმობენ გვიანდელი მოგზაურებიც — გულდენ-  
 შტედტი—1772 წ. და აჭაფი—1871 წ. ხოლო 1958 წ. დვალეთში მიეღინებოთ

ჩვენა ყოფნის დროს არც ზემო ზრამაგაში და არც ზაყაში (ამჟამად სოფ. ქესათი-ყაუ) ხსენებული ეკლესიები აღარ იყვნენ დარჩენილი. ადგილობრივმა მკვიდრებმა მათ მატერიალურ კვალზე მიმითითეს. ზაყაში ჯერაც არის დარჩენილი ამ ეკლესიის ცოცხლი; ზემო ზრამაგაში — კი ძველი ეკლესიის შირიმის ფილები.



მეფე გიორგი XI-ს მიერ 1690 წელს შეწირული ზარი

გამოყენებულია უწესრიგოდ XIX ს-ში აგებულ ახალ ეკლესიის კედლების წყობაში, ხოლო სოფელზე ცოტა დაშორებულ ნანგრევს უწოდებენ „სანიბას“ რაც „სამებას“ მცირედ სახეცვლას წარმოადგენს. ეკლესიის ნანგრევი და XVI—XVII სს. ქართულ წარწერიანი ხუთი ქვა ცნობილია ქველეს ხეობის ზედა წელზე სოფ. ქალაქაში. ეს ყველაფერი ადასტურებს ისტორიულ წერილობითი ცნობას, რომ დედალეთი ეკლესიური ორგანიზაციის მხრივ ძველად ნიქოზის საეპისკოპოსოში შემოდიოდა.

გვიანი შუასაუკუნეების დასაწყისიდან გარკვეული მიგრაციული პროცესე-

ბის შედეგად დვალეთში მკვიდრდება ოსი მოსახლეობა, ამისდა მიუხედავად დვალეთის კავშირი ქართლთან არ შეწყვეტილა. ამას ადასტურებს არქეოლოგიური მონაპოვრები, დვალეთის ჩრდილო მიჯნაზე, წეის ხეობაში, სალოცავ რეკონსტრუქციის თან არქეოლოგიურ მუშაობათა შედეგად 1936 წელს ნახული იყო 15 მონეტა



მეფე არჩილ ვახტანგის ძის მიერ შეწირული ზარი (XVII ს.)

მათი დიდი უმეტესობა წარმოადგენს XV საუკუნის ქართულ მონეტებს. არის ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი მონეტებიც. გვხვდება ირანულ-სეფევიდური და ოსმალური მონეტებიც, რომლებიც რეკონსტრუქციის უთუოდ ქართლიდან იქნებოდნენ მოხვედრილნი.

ურთიერთობა ვითარდებოდა წინააღმდეგობრივ ფორმებში. დვალეთის კეთილ დამოკიდებულების პარალელურად იყო ურთიერთ მიხედობა და ბრძოლაც. ბეგარის გადაუხდელობის და სხვა დარღვევათა მიზეზით XVII—XVIII სს. მანძილზე ადგილი ჰქონდა დვალეთის დალაშქერის რამდენიმე ცდას, ცენტრალური ხელისუფლების მხრივ.

დვალეთის მატერიალური კულტურის ძეგლთა შორის საყურადღებოა კასრის ხეობის დასაწყისში მდებარე ზრამაგის ციხე. ვახუშტი წერდა: „ქვემო ზრამაგა... ციხე დიდი, ფრიად მაგარი; იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფისაგან და დაბა კოშკოვანი.“

თავის ზომით და გეგმით ის მნიშვნელოვნად განსხვავდება ადგილობრივ საგვარეულო კოშკებისაგან. ზრამაგას ციხე ამართულია კონცხივით წინ წამოწეულ მაღალ გორაზე, რომლის ძირთან ერთმანეთს ერთვიან მდინარეები, თანამედროვე სახელწოდებებით: ალაიქომ-დონ, ცხიაქომ-დონ, ნარ-დონ და მამისონ-დონ. ზრამაგის გორას ძირთან იწყება კასრის ხეობა. თვით ციხე ხეობის სიღრმეში იყურება კლდე, რომელზეც ზრამაგას ციხე დგას, აღმოსავლეთით შვეულად ეშვება და სრულიად მიუდგომელია, დაფრდებული მხარე სამხრეთ-დასავლეთით აქვს.

ციხის კოშკის ზომაა 13,5×17 მ., ხოლო გალავნის ზომაა 29,7×26,4 მ. ციხის ნაგებობის გეგმა მთლიანად წარმოადგენს არასწორ ოთხკუთხედს.

ზრამაგის ციხის ნაგებობა სპეციალისტების მიერ ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ამიტომ მის შესახებ ჯერჯერობით ბევრი არაფრის თქმა შეიძლება. წერილობითი წყაროებიდან კი ჩანს, რომ XVII ს-ში ზრამაგის ციხესა და ქართლს შორის ინტენსიური ურთიერთობა არსებობდა.

ამ ათიოდე წლის წინ გამოვლინდა ზრამაგაში დაცული ქართული „დავინი“. აკად. გ. ახვლედიანის რუსულად გამოქვეყნებულ სტატიიდან ირკვევა, რომ

ეს „დავითნი“ დეფექტურია, შედგება ორი ნაწილისაგან, დაწერილია ზაქართ-  
ველოში XIII და XV სს-ში, ხოლო დვალეთში, კერძოდ, ზრამაგაში მოხვედრილი  
უნდა იყვეს XVII ს-ში.

XVII—XVIII სს. მიჯნაზე ზრამაგას წარჩინებულ გვარად და ციხის ფლობე-  
ლად ჩანან ელიყანაშვილები (დღეს იწერებიან ელკანოვად). ამ გვარის თავკა-  
ციები ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ ქართლის მეფეებთან.

დვალეთს არა ერთხელ შეფარებია არჩილ მეფე, ხოლო 1689 წელს ზრამა-  
გაში იმყოფებოდნენ მისი შვილები. გაიგო რა ეს ერეკლე I-მა, შაჰის გულის მო-  
საგებად გაგზავნა რაზმი, რათა შეეპყროთ არჩილის ძენი. მაგრამ ელიყანაშვილ-  
მა ერთგულება გამოიჩინა, დაიცვა ხიფათისაგან არჩილის შვილები და შემდეგ  
დიგორში გააპარა ისინი.

ქართლის სამეფო ხელისუფლების და მთის ოსების გარკვეულ წრეების კე-  
თილურთიერთობაზე მეტყველებენ ნივთიერი კულტურის დღემდე შემორჩენილია



ზროგოს ლეოსმშობლის ეკლესიის XI ს. ნეტერიერი

სხვადასხვა საგნები. მათ რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე XVII ს. ბოლო ათეული წლე-  
ზის სამი ზარი ქართული წარწერებით. ისინი დაცული არიან ჩრდ.-ოსეთის ასსრ  
მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ამათგან ორი ზარი მეფე გიორგი XI-ს მიერაა  
წეწირული — ერთი სოფ. წყისთან არსებული სალოცავ რეკომისიადმი, ხოლო  
წეორე სოფ. ჯიბლისში წმ. გიორგის ეკლესიისადმი.

წარწერები ამოჭრილია ზარების ზედაპირზე. პირველი იკითხება ასე: „ქ-  
ჩვენ ბაგრატიონიანმან ხელმწიფემ ღიღისა მეფისა შახნავაზის შვილმან მეფემ

გიორგიმ შემოგწირეთ ზარი ესე მამა წმინდას ქვეყანასა ოსეთისასა სალოც-  
ვად დიგორისასა და დვალეთისასა ჩვენდა სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩვენ-  
სა წარსამატებლად ქორონიკონსა ტნიც“ ე. ი. 1680.

მეორე იკითხება ასე: „ქ. ჩუენ: ხელმწიფემან: ქართლისამან მეფეთ: მეფეთ:  
მან: ბატრონმან: გიორგიმან შემოგწირეთ: ზარი ესე, შენ წმინდა გიორგის ჯიბ-  
ღისასა. ჩუენად გასამარჯვებლად ქორონიკონსა ტოა“, ე. ი. 1683 წ.

ძნელია გარკვევა, თუ რა ვითარებაში მოხდა ეს შეწირულება, მაგრამ უდა-  
ვოა, რომ ზარები შეწირული ყოფილა გიორგი XI-ს ქართლში პირველი გამეფე-  
ბის წლებში.

მესამე ზარი არჩილ მეფის მიერაა შეწირული იმავე სოფ. ჯიბღისის  
წმ. გიორგის ეკლესიისადმი. ზარის ზედაპირზე — ირგვლივ გაკეთებული წარ-  
წერა ასე იკითხება: „ქ. მე მეფემ არჩილ დავდე ეს ზარი ჯიბღის საჯვარეს  
დმერთმან ქნას ამის ხმაზე მოდიოდენ ოსნი სამეზბის მადიდებლად“ წარწერას  
თარიღი არ აქვს. მაგრამ ვახუშტის ცნობით, არჩილ მეფეს თავისი პოლიტიკური  
მოღვაწეობის მარცხიანობის გამო მოუხდა თავის შეფარება დვალეთსა და ოსეთ-  
ში 1680-82 წლებსა და 1697-99 წლებში; ხოლო 1688 წ. რუსეთიდან საქართვე-  
ლოში დაბრუნებისას გზად ისევ ოსეთსა და დვალეთზე გადმოიარა. უნდა ვივა-  
რაუდეთ, რომ ზარის შეწირვა მოხდა ერთ-ერთ ამ თარიღთაგანში.

XVIII ს. I-ლ ნახევარში ოსი ხალხის ისტორიაში ცნობილი ზრამაგელი წარ-  
ჩინებული ზურაბ გიორგის ძე ელიყანაშვილი ვახტანგ VI დაახლოვებული და  
ერთგული პირი იყო. XVIII ს-დან ცნობილია რიგი სიგელებისა, რომლებიც ქართ-  
ველ მეფეებს დვალეთში მოსახლე წარჩინებულ ოსებზე გაუციათ: ზენჩაურზე  
ხეთაგურსა, ელიყანაშვილზე და სხვებზე. მათი ერთგული ნაშსახურობის ჯილ-  
დოდ. ამგვარი ხასიათის ურთიერთობის ტრადიცია გრძელდებოდა XVIII ს. მთელს  
მანძილზე. XIX ს. დასაწყისშიც — კი ფეოდალურ საქართველოს სამეფოს გაუქ-  
ნებით უკმაყოფილო ლევან ბატონიშვილი ერთხანს დვალეთში აფარებდა თავს.  
დვალეთი და მთიულეთი ქართლის მეფეთა თავშესაფარის ფუნქციაში გვაგონებს  
თუშეთ-ფშავის მთების როლს კახეთის მეფეთათვის (ერეკლე I. თეიმურაზ).

## უძველესი საცხოვრებელი შენობები საქართველოს ტერიტორიაზე

(ძვ. წ. V—III ათასწლეული)

კავკასიის მოსახლეობამ, კერძოდ, ქართველმა ხალხმა შემოინახა საცხოვრებელი შენობის არაერთი თავისებური სახე, რაციონალობით, კონსტრუქციულ-შხატვრული დახვეწილობითა და, ამასთანავე, ფართო გაერცელებით მათ შორის უთუოდ გამოირჩევა ე. წ. გლეხის დარბაზი — ერდოიან-გვირგვინიანი სახლი, რომელმაც კარგა ხანია დამსახურებულად მიიქცია მკვლევართა ყურადღება. არ-



ჭავჭავაძეები. 1959 წ. C<sub>1</sub> № 4 შენობა SW-დან

ღი ტექტურული თვალსაზრისით საცხოვრებლის ეს სახე იმდენად საფუძვლიანადაა შესწავლილი, რომ ნათელიყოფილია მისი და ქართულ მონუმენტურ ხუროთმოძღვრებაში გაბატონებული ტიპის—ცენტრალურგუმბათიანი შენობის გენეტიკური კავშირი. დღეს დარბაზული შენობა გამოკვლეულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც (თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბილისი 1967), რამაც მისი მეტისმეტი სიძველე და უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, რაზეც ადრეც იყო წამო-



ნმირი.

ვორა-ნაშობსლარი



შულავები.


ვოჩა-ნამოსახლარი.



ყნებულის სხვადასხვა დებულება, სრულიად უეჭველი ვახდა: განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ფართო მიდგომის წყალობით შესაძლებელი შეიქნა მისი ფესვების მოძებნა ძვ. წ. IV—III ათასწლეულების ადგილობრივ (ე. წ. მ. ტყეაშვილი) არეზის) კულტურაში.

დარბაზული შენობის გენეზისის დადგენას ხელი შეუწყო ლითონის ადრეული ხანის ნამოსახლარების არქეოლოგიურმა შესწავლამ; ამ მუშაობის შედეგად სხვადასხვა ადგილას საცხოვრებელი შენობების მთელი კომპლექსები აღმოჩნდა.

დარბაზის ტიპის საცხოვრებელი შენობის არსებობა უძველეს ხანაში პირველად დადგენილი იყო ურბნისთან, ქვაცხელების ანუ ტვლეზია-ქობის ნამოსახლარზე (ლ. ლლონტი, ა. ჯავახიშვილი, ურბნისი, I. თბილისი, 1962).




ქვაცხელები — C, № 4 შენობა.

თუმცა დარბაზული შენობის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ელემენტად დღეს ითვლება ე. წ. გვირგვინი, არსებითად, ტიპობრივად მის განმსაზღვრელს წარმოადგენს ოთხკუთხა გეგმა და თავისუფლად მდგარ სვეტზე (დედაბოძზე) და მთავარ კოჭზე (თავებზე) დაყრდნობილი ბრტყელი გადახურვა, ცენტრალური კერის თავზე გამართული სარკმელით (ერდოთი). ქვაცხელების შენობებს ყველა შემოჩამოთვლილი ნიშანი ახასიათებს: მაგრამ, მათ ისეთი თავისებურებაც გააჩნიათ, — გეგმის წრიულობისკენ მიდრეკილება, კუთხეების საყოველთაო მომრგვალება, — რომელიც კონსტრუქციიდან არ გამომდინარეობს და გვაფიქრებინებს, რომ წრიული გეგმის შენობებიდან უნდა წარმოდგებოდეს.

მართლაც, გათხრებმა ურბნისის მეორე პუნქტში — ხიზანანთ ვორაზე (ი. კიკვიძე, ურბნისის ადრეული ხანის ძეგლები. „ძეგლის მეგობარი“ VI, ვვ. 21—25, თბ. 1967), რომელიც ქვაცხელების მსგავსად მრავალფენიანი ნამოსახლარია, დარბაზული ტიპის სახლების შემცველი საამშენებლო ფენების ქვეშ გამოავლინა წრიული გეგმის შენობები, რომლებიც გუმბათურად უნდა ყოფილიყო გადახურული. აქ ოთხკუთხა, ბანიან-ერდოიან შენობებს სტრატეგრაფიულად და, მამასადაძე, ქრონოლოგიურად წინ უძღვის წრიული, გუმბათიანი სახლები, რაც უაღრესად საყურადღებოა საცხოვრებლის განვითარების ზოგადი ისტორიის თვალსაზრისით. მაგრამ სამხრეთ კავკასიის ზოგიერთ რაიონში, თვით ადრებრინჯაოს ხანის მიწურულამდე, წრიულ-გუმბათური შენობები ისევ წარმოადგენს

საცხოვრებლის გაბატონებულ სახეს, თუმცა-კი შერწყმულს ოთხკუთხა სათავსო-ებთან: ამას გარდა, დიამეტრალურად განსხვავებული ორ ტიპს შორის უშუალო კავშირი აქამდე გარკვევით არ ჩანდა.

ამ პრობლემის მნიშვნელობის ნათელსაყოფად საკმარისია ითქვას, რომ თვით წინა-აზიასშიც კი, სადაც საცხოვრებლის განვითარების უადრესი საღებურების შესასწავლად დიდალი ფაქტობრივი მასალა არსებობს, ჯერჯერობით, დადგენილია მხოლოდ მისი ზოგადი ტენდენცია — შინაგანი სივრცის გაზრდის საშუალებათა ძიება, გამოწვეული საზოგადოების ეკონომიური და სოციალური დაწინაურებით: მტკიცე კანონზომიერება საკუთრივ კონსტრუქციის ელემენტებისა და არქიტექტურული ფორმის განვითარებაში გამოვლენილი არ არის. აქაც, საქმეს ართულებს წრიულ-გუმბათური და ოთხკუთხა, ბანური ან ორფერდა სახურა-




ქვატყელები — C, № 4 შენობა.

ვით დაბურული სახლების თანაარსებობა ნეოლითური და ქალკოლითური ხანის ნასოფლარებზე. მხოლოდ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთის, მცირე-აზიის, მრდილო მესოპოტამიის ზოგიერთი უადრესი ნასოფლარი (ხიროხიტია, ეინანი, იერიქონი და სხვა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სამხრეთ კავკასიის ახლად აღმოჩენილი ადრეული ნამოსახლარების უძველესი ფენები იძლევა წრიული, ან ოვალური გეგმის გუმბათურ შენობებს. მათზე დაკვირვება ახალ შექსა ჰვენს საცხოვრებელი სახლის განვითარების გზას.

უადრესი საცხოვრებელი შენობები საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეუ-

ლია ქვემო-ქართლის დაბლობზე, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში. (ლ. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი, ქვემო-ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1965—1966 წწ.); „მაცნე“ № 3(36). აქ. მდ. ხრამის მარჯვენა სანაპირო ზოლზე არაერთი ნამოსახლარი გორაკია, რომელიც ადრემიწათმოქმედურ ტომების ნასოფლარებს წარმოადგენს და თარიღდება, ძირითადად, V ათასწლეულითა და IV ათასწლეულის დამდეგით. ეს გორაკები წარმოქმნილია ერთ ადგილას ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად და მრავალ საამშენებლო ჰორიზონტს შეიცავს. ყველაზე ადრეული ჰორიზონტები, ჯერჯერობით, აღმოჩენილია შულავერის გორაკზე, სადაც 252 მ<sup>2</sup> ფართობზე გაითხარა ალიზის 20 სახლი და სამეურნეო დანიშნულების მრავალი ნაგებობა.

როგორც ჩანს, ერთმანეთზე მიდგმული ნაგებობების ჯგუფი შეადგენდა ერთ




იბირის გორა, შენობა № 8

კომპლექსს, რომელშიც შედიოდა საცხოვრებელი სახლი, ღუმელი, საკვების მარაგის შესანახი სათავსო, წყლის რეზერვუარები.

საცხოვრებელი სახლების მაქსიმალური ფართი არ აღემატება 16,6 მ<sup>2</sup>; სიმაღლე — კი სცილდება 2,5 მ. სახლში შესასვლელ კარს მარტივი და ვიწრო ხერხელის სახე ჰქონდა. ოთახის ერთადერთ მოწყობილობას წარმოადგენდა თიხის კერცხისებური მოყვანილობის კერა, რომელიც მხოლოდ უქრობი ცეცხლის შესანახად თუ გამოდგებოდა. გუმბათში უთუოდ იქნებოდა დატანებული წრიული სარკმელი.

სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ღუმელს გარდა, ასევე წრიულ-გუმბათური, მხოლოდ მცირე ზომისა (დიამ. 1,5 მ) იყო და კარი არ გააჩნდა, — ჩანს, ზემოდან იხდებოდა. წყლის რეზერვუარები უმთავრესად თიხატყეპნილია.

ნამჯანარევი, ბაცი ყვითელი ფერის ალიზი სხვადასხვა ზომისა და ფორმისაა. მცირე ნაგებობებში გამოყენებულია ძირბრტყელი, მოგრძო გუნდისებური, ე. წ. პლანოკონვექსური ალიზი, ზომით —  $20 \times 30 \times 8$ ,  $25 \times 15 \times 8$  სმ. საუხურებელ შენობებში ნახშირია არასტანდარტული, მაგრამ უკეთ დაყალიბებული, ხშირად მოზრდილი —  $50 \times 20 \times 8$  სმ., ლეკალური ალიზები.



ამირის ვორა, შენობა № 9—10.

ალიზი დაწყობილია ცალპირად, პორიზონტულ რიგებად. სამიოდე სანტიმეტრის სისქის თიხის მკვრივ ხსნარზე: წყობა თავისუფალია და, ამიტომ, ზოგჯერ გადაბმულიც.

კედლის გადასვლა გადახურვის სიმრუდეში თითქმის ძირიდანვე იწყება, ისე რომ, ამკარად იგრძნობა შენობის ერთიანი კონსტრუქცია; თვით ცრუ გუმბათი მიღებულია ალიზის წყობის ყოველი ახალი ფენის 2—3 სმ-ით წინ-წამოწვერითა და, მასასადამე, დიამეტრის თანდათანობითი შემცირებით. კედლის ორივე პირი მოსწორებულია თიხის ნალესობის სქელი ფენით, რომელიც, ამასთანავე, სიმტკიცეს მატებს მას. წყობასა და შელესილობაში გამოყენებულ თიხის ხსნარს, როგორც ჩანს, დიდი ყურადღება ექცეოდა, რადგან საგანგებო საძირკველი შენობას არ გააჩნდა; მხოლოდ გარედან, კედლის ძირში მიტკეპნილი თიხის სარტყელი ერთიანად ჰკრავდა — აწონასწორებდა მასში მოქმედ გამბჯენ ძალებს.

ასეთი პრიმიტიული კონსტრუქციის შენობები სუსტი იყო, ხოლო მათი ზომები — შეზღუდული. ამით აიხსნება, რომ ბინადარი ცხოვრებისთვის საჭირო სხვადასხვა სათავსო ერთ ჰერ ქვეშ კი არ არის მოქცეული, არამედ რამდენიმე ოთახად გაყოფილია, მაგრამ ცალკე-ცალკე. ამითვე უნდა იყოს გამოწვეული შენობების (ძირითადად მათი გადახურვის) არაერთგზის განახლება და სიმაღლეში გაზრდა, რასაც გადაკეთების კვალიცა და იატაკის მრავალფენიანობაც მოწმობს.

შულავერის გორის შენობათა № 1 კომპლექსი ზემოთქმულის კარგი მაგალითია. ის შედგება სულ ცოტა 3 ცალკე ნაგებობისაგან: მთავარი მათ შორის არის საცხოვრებელი — 5 მ სმ-ით მიწაში ჩამჯდარი დაახლოებით წრიული, 2 მ დიანეტრისა და 2 მ სიმაღლის, ცრუგუმბათიანი აღიზის ნაგებობა, S() მხრიდან მას გააჩნია სწორკუთხა შესასვლელი, რომელიც იატაკის ზემოთ 30 სმ-ზე მოდის; მოიხსიერა-წითელი ოქრით შეღებილ თიხატყეპნილ იატაკში, კედლის ძირთან სანახევროდ ჩასმულია თიხის კვერცხისებური კერა. NO მხარეს გაჭრილია ვიწრო, ორნაწილადი „სარკმელი“; ის გადის აქვე გარედან მიდგმულ, 70 სმ სიგრძის, თაღურად ამოყვანილ საკვამლე ხერელიან მინაშენში, რომელიც მეორე ბოლოთი ებჯინება მცირე (დიამ. — 1,4 მ) წრიულ-გუმბათურ ნაგებობას — სანოვაგის მარაგის შესანახ სათავსოს, როგორც ჩანს, გარკვეულ დროს, ზემოხსენებულ მინაშენს ღუმელის დანიშნულება ჰქონია.

ამ შენობის შემდგომმა გათხრამ გამოარკვია, რომ მისი კედლები 1 მ სიღრმეზე ჩადის და იატაკის უფრო ადრეული დონეც გააჩნია; მათგან პირველს შეესიტყვება ძველი კარი, დატანებული NW მხრიდან. ამრიგად, შენობის ვადაკეთებისა და, ამის შედეგად, სიმაღლეში გაზრდის კვალი აქ უეჭველია.

შულავერის გორაზე ბევრად უფრო დიდი ზომის (დიამ. 4,6 მ) შენობებიცაა გათხრილი, მაგრამ ისინი ცუდადაა შენახული.

სხვაგვარი ვითარებაა იმირის გორაზე — ამავე დროის, ე. ი. ენეოლითურა ხანის მეორე ნასოფლარზე, რომელიც პირველს ორიოდე კილომეტრითაა მოცილებული. აქ, შულავერის გორის ტიპის შენობების გვერდით, ზედა კულტურულ ფენებში აღმოჩნდა 2 ნაგებობის ნაშთი, სადაც ჩანს შენობის მოცულობის, შინაგანი სივრცის გაზრდის საშუალებათა ძიება და ამ ამოცანის პრინციპულად ახლებური გადაწყვეტაც.

ერთი ამ შენობათაგანი (№ 8) წარმოადგენს პლანოკონვექსური აღიზით ნაშენ, მოზრდილ (4,25×60 მ; სიმაღლე, არანაკლებ, 2,25 მ) გეგმაზე ოვალურ ცრუგუმბათიან სახლს. NW -დან მას მიდგმული აქვს სამშეოთხედწრიული გეგმის მომცრო გუმბათურივე მინაშენი, რომელთანაც ის 80 სმ სიგანის კარიბა დაკავშირებული: ორივე სათავსოს საერთო ფართი, დაახლოებით უდრის 14 მ<sup>2</sup>. „დერეფანში“ გარედან შესასვლელი კარი დატანებულია N მხრიდან, როგორც ამ მინაშენის კედლის სიმრუდე მოწმობს, ის მთავარ სათავსოსთან შეღარებით დაბალი ყოფილა და, რადგან ერთიანად შეკრული გადახურვა არ გააჩნდა, ეყრდნობოდა მის NW გვერდს.

ფართოდ გაჭრილი კარისგან ისედაც შესუსტებული და მინაშენის გადახურვის სიმძიმით გადატვირთული მთავარი ოთახის გუმბათის გასამაგრებლად, მის ინტერიერში, კარის ორივე წირთხლთან პერპენდიკულარულად მიდგმული იყო თითო მოკლე ურთიერთპარალელური კედელი, რომელიც, ცხადია, გადახურვამდე

აღწედა და მის საბჯენს წარმოადგენდა. აქ პირველად იჩენს თავს ოთხჯინს ცენტრში გამართული მარტივი სტაციონარული კერა.

ამრიგად, საცხოვრებლის მოცულობის გაზრდა აქ ნაცადია ორგანულად ურთიერთდაკავშირებით, რამაც მისი სიმტკიცის შესუსტება გამოიწვია და აუცილებელი გახდა საკმაოდ მოუხერხებელი, ინტერიერის გადამტვირთველი კონსტრუქციული დანამატები. ამჟამად ჩანს, რომ შენობის გაზრდის ყოველგვარი შესაძლებლობა, რომელსაც თავისთავად იძლეოდა წრიული ვეგმა და ალიზის გუმბათური გადახურვა, ამ დროისათვის მთლიანად ამოწურულია.

იმირის გორის მეორე შენობა (№ 9-10) სტრატეგიულად ზემოაღწერილი შენობის თავზეა მოქცეული და, მაშასადამე, მასზე ახალგაზრდაა. ნაგებობა განადგურებულია ხანძრისაგან, რაც მოწმობს, რომ მას ბლომად უნდა ჰქონოდა ხის ნაწილები. მართლაც, ალიზის კედლის ნანგრევების ქვეშ აღმოჩნდა აგურად-ქცეული თიხის ბანის ნატეხები ძელებისა და წნელის ანაბეჭდებით, ნახშირისა და ნაცრის სქელი ფენები და, რაც მთავარია, ხის დედაბოძის ნაკვალევი.

შენობა, აგებული პლანოკონფექსური აგურის ცალპირა წყობით, შედგება O-W მიმართულებით დაგრძელებული, ორგანულად დაკავშირებული ორი სათავსოსგან. ერთი მათგანი ვეგმაზე ოვალურია ( $4,5 \times 3,8$  მ.); მისი O ბოლო შორდევულია აქვე გამდინარე შულავერის — ლელეს მიერ; სწორედ ამ მხრიდან უნდა ჰქონოდა მას შესასვლელი. W მხრიდან მას ებმის წრიული სათავსო (დიამ. — 3,2 მ.); რომელიც არაფრით არ არის გამოყოფილი და მასთან ერთად მთლიან სივრცეს ქმნის (ინტერიერის საერთო ფართი  $24$  მ<sup>2</sup> აღწევს); მხოლოდ დიდი სათავსოს იატაკი 50 სმ უფრო დაბლაა წრიულთან შედარებით, რაც ადგილის რელიეფით აიხსნება; გადასვლა იატაკის დონეებს შორის მკვეთრი, მაგრამ ტალღისებური ყოფილა.

წრიული სათავსოს უკანა (W) კედელთან გამართულია დაბალი, თიხატკეპნილი ოთხკუთხა ბაქანი. ცენტრში — კი დევს ქვის ოთხკუთხა ფილა — მსუბუქი სვეტის საყრდენი. დიდი სათავსოს იატაკში, შუაში ამოღებულია მოზრდილი წრიული ორმო თიხატკეპნილი ბრტყელი საპირეთი — სტაციონარული კერა. მეორე პატარა წრიული ორმო (დიამ. 30 სმ) კერის აღმოსავლეთით 40 სმ-ზე აღმოჩნდა; ნაცარნახშირიანი ფენის ქვეშ მასში იღო მოკოდვით პირმოსწორებული სფერული რიყისქვა, — ცხადია, აქ ჩადგმული ყოფილა ხის სვეტი. ამ სათავსოს N და S კედლებში, დაახლოებით შუა ადგილას დატანებულია განივკვეთში კვადრატული ( $40 \times 40$  სმ) თითო სვეტი, პილასტრებივით ამოწეული 20 სმ სისქის კედლის ორივე პირზე. ამჟამად, რომ როგორც დედაბოძი — ხის ცენტრალური სვეტი, ისე კედლის სვეტები შენობაზე გარდღივარდმო გადადებული ხის კოჭის საყრდენია; მაგრამ დედაბოძი კედლის სვეტების შემაერთებელ წარმოსახვით სწორ ხაზზე — კი არ მოდის, როგორც მოხალოდნელი იყო, არამედ გადაწეულია აღმოსავლეთით 30 სანტიმეტრზე. როგორც ჩანს, მთავარი კოჭი, ანუ თავზე შედგებოდა ორი შედარებით მოკლე (სიგრძით 2,4 მ) ძელისაგან, რომლებიც გადადებული იქნებოდა კედლის სვეტებიდან დედაბოძზე, სადაც ბლაგვი კუთხით ერთდებოდა.

გადახურვების მთავარი ელემენტების — დედაბოძისა და თავისი ასეთი წყობა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ მათი დაუხვეწელობით; უთუოდ გასათვა-

ლისწინებელია ისიც, რომ დედაბოძის წინ გამართული კერის თავზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო სარკმელი — ერდო და ბოძებისა და თავისის ზემოაღწერილი განლაგება მისი მოწყობის საშუალებას იძლეოდა. ერდოს კონსტრუქციის და ფორმის შესახებ, ჯერჯერობით, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით. მხოლოდ, რომ მთავარი სათავსო ერდოიანი ბანი იყო გადახურული.

სამწუხაროდ, ასევე ნათელი არაა ამ შენობის წრიული სათავსოს გადახურვის ხასიათი; მაგრამ, სუბუქი ხის სვეტი მის ცენტრში, ძლიერი დამწვრობა და,




იზირის გორა, შენობა № 8 (რეკონსტრუქცია).

გარდა ამისა, ერთიანი ფართობის ორი, დიამეტრალურად განსხვავებული სისტემით (ბანითა და გუმბათით) გადახურვის მეტისმეტი ტექნიკური სირთულე და ალოგიკურობა აქაც ბრტყელი სახურავის არსებობას გვაპარაუდებინებს. ზოგიერთი ავტორის, მათ შორის ს. სარდარიანის მოსაზრება, თითქოს წრიული შენობის შუაგულში ნაპოვნი ქვები კონუსური სახურავის საყრდენი სვეტის ბალიშებია (იხ. მისი *Первобытное общество в Армении*, Ер. 1967) არაფრით არ არის დასაბუთებული. ამ ქვებს სხვაგვარი ახსნა უნდა მოეძებნოს, რადგან ცრუგუმბათური, ან კონუსური,

როგორც ის უწოდებს, გადახურვა კონსტრუქციულად გამოირიცხავს ყოველგვარ ცენტრალურ საყრდენს.

ამრიგად, ჩვენ პირველად ვხვდებით სრულიად ახალ კონსტრუქციულ სისტემას, რომელიც ძირითადი ორი — დამტვირთავი (ძელურა გადახურვა) და



იზირის გორა, შენობა № 9—10 (რეკონსტრუქცია)

ტვირთმზიდველი (თავისუფლად მდგარი სვეტი) ელემენტის შერწყმაში გამოიხატება. აქ ის ჯერ კიდევ მეტად პრიმიტიულია. შემდეგ — კი იხვეწება და III ათასწლეულის დამდეგისათვის, შიდა-ქართლის ადრეპრინჯაოს ხანის ისეთ


ნასოფლარებზე, როგორცაა ზიზანანთ-გორა, გუდაბერტყა და ქვაცხელები, საესებით ჩამოყალიბებული, მარტივი „დარბაზების“ სახეს იღებს.

საყურადღებოა, რომ ანალოგიური ვითარება შეინიშნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში, სადაც ამავე დროისათვის ჩნდება ე. წ. არქაული მეგარონები (ტროა II, ძვ. წ. III ათასწლეული), რომელთაც პრინციპში ბევრი რამ აახლოებს სამხრეთ კავკასიის არქაულ ბანიან-ერდოიან სახლებთან.

ჩვენ შემთხვევაში, რაც ჯერჯერობით უნიკალურად უნდა ჩაითვალოს, საშუალება გვძლევს თვალი გავადევნოთ საცხოვრებელი შენობის გარკვეული ტიპის ჩამოყალიბების მთავარ საფეხურებს მაინც, ცხადია ზოგიერთი ხარვეზით, ძვ. წ. VI—III ათასწლეულებში.

ზიზანანთ გორაზე, როგორც ითქვა, წრიულ-გუმბათიანი და გვეგმაზე ოთხკუთხა, ბანიანი შენობების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა სტატეგრაფიულადც დასტურდება; გარდა ამისა, ამ ძეგლის D დონის წრიულ სახლებს უკვე ეტყობა ფართობის გაზრდის ტენდენციით გამოწვეული ცვლილებები — წრიულივე გარსშემოსავლის, ან წინ მიდგმული ოთხკუთხა „დერეფნის“ გაჩენა და ბრტყელი სახურავი, რასაც ექვმიუტანელად მოწმობს სტაციონარულ, ცენტრალურ კერასთან დაყენებული დედაბოძი. მომდევნო C და B დონეებზე აქ უკვე საესებით ჩამოყალიბებული ბანიან-ერდოიანი შენობებია დადასტურებული.

ამ ტიპის შენობები უფრო სრულად დაცული სახით აღმოჩნდა ქვაცხელების ნამოსახლარზე: მარტო ერთ, ხანძრისგან განადგურებულ ფენაში აქ შესწავლილი იქნა 25 საბლი. მათი ერთი ნაწილი აგებული იყო სარიითა და ლასტით არმირებული თიხით, მეორე კი — ალიზით. ტიპობრივად ისინი იმდენად ჩამოყალიბებულია, რომ ერთი მათგანის გაცნობა საესებით კმარა ზოგადად მათი დახასიათებისათვის. ავწერთ ერთ იმ სახლთაგანს, სადაც ყველაზე სანდოდ მოხერხდა გადახურვის კონსტრუქციის ხასიათის დადგენა.



შელავერის გორა, კომპლექსი № 1.

C<sub>1</sub> № 4 შენობა მრავალმხრივ საინტერესოა: ის დგას მოსწორებულ და კენჭით მოკირწყელებულ მოედანზე და წარმოადგენს გვეგმაზე თითქმის კვადრატულ (4,5×4,85 მ). კუთხეებში მორგვალელებულ ოთახს, აგებულს კარგად დაყალიბებული ალიზის (43×17×10 სმ; კუთხეებში ნახშირია ლეკალური ალიზები) გადამბული წყობით.

ფსადის მთელ სიგრძეზე ოთახს მიშენებული აქვს სარღასტზე თიხალესილი დერეფანი (4,2×1,8 მ). დერეფანში და იქიდან ოთახში შესასვლელი კარება



გამართული იყო შენობის გრძივ ღერძზე; ზღურბლის წინ მოტყეპნილი იყო პატარა, ნახევარწრიული საფეხური.

შენობის იატაკი წარმოადგენს თიხის მრავალშრიან, ზედაპირში კი რიყის ბულ ნალესობას. ოთახის ცენტრში, იატაკშივე გამოქრწილი და გამოშფავებული ხეთშვერილიანი დიდი კერა; მის უკან ამოღებულია ღრმა წრიული ორმო, რომელშიც იჯდა ხის დედაბოძი. ოთახის უკანა კედლის მთელს გაყოლებაზე გამართული იყო I მ სიგანის დაბალი, თიხატყეპნილი ბაქანი; ასეთივე ბაქნები იყო დერეფნის გვერდითი კედლების გასწვრივ.

შენობა ძლიერ იყო დამწვარი, როგორც ჩანს, ის ფეხზე იდგა. ვიდრე მთლიანად არ დაიწვა ხის კონსტრუქციები, — დედაბოძი და გადახურვის კოჭები, — და აჯურის სიმკვრივემდე, ზოგან — კი დადნობამდე გამოშფავარი თიხის ბანი, საყრდენგამოცლილი, ერთბაშად და ერთიანად არ ჩაიქცა ოთახში; ალიზის კედლები სიმბურვალისაგან დამსკდარა, ზედ გადაფარებია ჩანგრეულ სახურავს, ნაწილობრივ — კი გარეთ გადაწოლილა.

სწორედ ამის წყალობით, კედლების ნანგრევების აღების შემდეგ, მოხერხდა ადგილზე ხელუხლებლად დარჩენილი ბანის დიდი ნატეხების ამობრუნება და, მათ ქვედა პირზე ლულოვანი და ღარისებური ღრმულების სახით აღბეჭდილი დამწვარი ძელებისა და ლასტის მიმართულების მიხედვით, გადახურვის ზის კონსტრუქციის ზოგად ნაზემში აღდგენა.


უკანა კედლის პარალელურად, დაახლოებით დედაბოძის ორმოს ხაზზე ეყარა ბანის დიდი ნატეხები თხუთმეტოდე სანტიმეტრის დიამეტრის შეწყვილებული ძელის ანაბეჭდებით — დედაბოძზე დაყრდნობილი, გარდვიგარდმო გადაღებული თავხის ნაშით. დედაბოძის წინ მოთავსებული კერის ორივე მხარეს, თავხის პერპენდიკულარულად მიმართული იყო უფრო წვრილი, ასევე შეწყვილებული ძელების ანაბეჭდიანი ნატეხები — ერთდოს შემკვრელი გვერდითა კოჭები. ოთახში ჩაქცეული კერის სხვა ნატეხებს უმთავრესად კედლების პერპენდიკულარულად მიმართული წვრილი ძელებისა და წნელების ანაბეჭდები გააჩნდა. საკუთრივ კერა არ იყო დაფარული ბანის დიდი ნატეხებით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მის თავზე ღიადა ყოფილა დატოვებული. ანალოგიური სურათიან აღდგენა კიდევ რამდენიმე შენობაში მოხერხდა.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ფაქტები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ცვალებების და სხვა სინქრონული ნასოფლარების ანალოგიური შენობები ვადახურული იყო ბანურად — დედაბოძსა და თავზეზე დამყარებული კოჭებისა და ლასტის ისეთი სისტემით, რომელიც ცენტრში (კერის თავზე) ქმნიდა ოთხკუთხა ან, იქნებ, პოლიგონურ სარკმელს — ერთდოს. ხსენებული ფაქტებიც რომ არ გვქონოდა, ამ ტიპის შენობების გეგმა, თავისუფლად დაყენებული ბოძი, კერა მის წინ, დერეფანი და სხვა უფრო წვრილი თავისებურებანი, საკმარისი იქნებოდა იმის საბუთად, რომ აქ სავსებით ჩამოყალიბებული ბანიან-ერთდოიანი, ე. ი. „დარბაზული“ ტიპის სახლები გვევარაუდა.

რამდენად სრულყოფილი სახე მიიღო საცხოვრებელი შენობის ამ ტიპმა სამხრეთ კავკასიაში. კერძოდ — კი საქართველოში საყოველთაოდ ცნობილია და ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. შეჩერდებით მხოლოდ ტერმინ „დედაბოძზე“ — დარბაზული შენობის ფუნქციურადა და შინაარსობრივად უმთავრესი ელემენტის — თავისუფლად დაყენებული სვეტის ქართულ სახელწოდებაზე.

წინასწარ შეენიშნავთ, რომ თითქმის ყველა მკვლევარი, რომელსაც საცხოვრებლის ხსენებული ტიპი აქვს შესწავლილი, ერთხმად აღიარებს, რომ სწორედ საქართველოში მიადწია მან ლოგიკურსა და სრულ განვითარებას განსაკუთრებული სიცხადითა და საბუთიანობით ეს ნაჩვენები აქვს თ. ჩიქოვანს (იხ. მისი დასახ. ნაშრ. გვ. 186, 187, 189, 194), რომელიც ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც აქცევს ყურადღებას: „ერდოიან-გვირგვინიანი სახლების გავრცელების არეალში, — წერს ის, — ყველა ქვეყნიდან განსხვავებით, მხოლოდ საქართველოსთვის არის დამახასიათებელი ზემოთ ჩამოთვლილი გვირგვინების ნაირსახეობის მოწყობა დედაბოძებსა და საკედლო სვეტებზე“. იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ „სომხეთში ნაირსახეობანი ფორმისა და მოყვანილობის გვირგვინები, როგორც ამაზე თვითონვე სომეხი ავტორები მიგვითითებენ მხოლოდ საკედლო სვეტებზე მოეწყობოდა ხოლმე“. საყურადღებოა ისიც, რომ „... დედაბოძის კულტი აზერბაიჯანსა და სომხეთში მაინცდამაინც არ იყო ფეხმოკიდებული.“ საქართველოში — კი „გვევლინება სახლის, ანუ გვარის წევრების, სახლკაცების ერთიანობის, ღათი სისხლხორცობის, საერთო წინაპრიდან ჩამომავლობის (მონოგამურობის) სიმბოლოდ“. ამის უტყუარი მაჩვენებელია როგორც მისი შემკეულობა, ისე უამრავი წეს-ჩვეულება, რომელიც დედაბოძთანაა დაკავშირებული.

ასეთ ვითარებაში, ქართული ტერმინი „დედაბოძი“, რომელსაც უეჭველია, სახურავის საყრდენის გარდა სახლის, ოჯახის ბურჯის, ფუძის მნიშვნელობა აქვს, უთუოდ ყურადღების ღირსია. მის შესატყვის სომხურ ტერმინს — „სიუნ“ — ს, როგორც ჩანს, ასეთივე ღრმა აზრი არ უნდა ჰქონდეს; ის, მარტივად, საამშენებლო ხეს (აპარიანის ლექსიკონის მიხედვით), სვეტსა და საყრდენს ნიშნავს. ასეთივე შინაარსისა ჩანს „თავისის“ და „გვირგვინის“ აღსანიშნავად სომხურში ხმარებული ტერმინები — „გერან“ და „მართაგ“, რომლებიც კოქს, ძელს ანუ კუნძს და წირთხლსა ნიშნავს და, კვლავ აპარიანის მიხედვით, სინონიმებია (ამ ტერმინების განმარტება მოგვცეს ე. ცაგარეიშვილმა და ზ. ალექსიძემ, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ). საერთოდ, როგორც ა. ჩიქოვანი წერს, „XIX ს. სომხურ ერდოიან-გვირგვინიანი საცხოვრებლის ძირითადი ნაწილებისა და საამშენებლო ელემენტების აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში, ქართულ-აზერბაიჯანულისაგან განსხვავებით, სომხურში უცხო, არაადგილობრივი, არასომხური წარმომავლობის სიტყვები ჰარბობენ“. (თ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ. გვ. 127). ტერმინი „დედაბოძის“ სახით — კი ქართულმა ენამ, როგორც ჩანს, ასახა და შემოინახა იმ უძველესი დროის (ძვ. წ. VI—V ათასწლეულები) ვითარება, როცა ყალიბდებოდა ხსენებული ტიპის შენობა და მას მხოლოდ ერთი, თავისუფლად მდგარი საყრდენი სვეტი ჰქონდა; ამ ფაქტს აკად. გ. ჩუბინაშვილმა ქვატყულების ერთობიანი სახლების აღმოჩენისთანავე მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და აღნიშნა, რომ ამიერიდან „დედაბოძის“ რეალური მნიშვნელობა გასაგები ხდება. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ტერმინი შეიძლებოდა გაენილიყო საზოგადოების განვითარების მეტად ადრეულ საფეხურზე — მატრიარქალური გვარის არსებობის პირობებში. ერთიცა და მეორეც ეჭვიმუტანლად მტკიცდება ფაქტობრივი მონაცემებით, რომლებიც მოპოვებულია იმირის გორაზე, — ქვემო ქართლის ველის ერთ-ერთ ტიპიურ, უძველეს სამიწათმოქმედო სამოსახლოზე — სადაც დედამთავრული გვარის ნიშნები ჯერ კიდევ აშკარად შესამჩნევია.



კვარას ციხე

## შუა საუკუნეების რეზიდენციების შესწავლისათვის (კვარას ციხე)

ქართული საერო ხუროთმოძღვრების ევოლუციის მოვლენათა შესწავლისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე შერჩენილ, დღეს ციხეებად წოდებულ ნაგებობათა შესახებ მასალების შეგროვება, ე. ი. აზომვა სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფენათა განსაზღვრით, ფოტო გადაღება, აღწერა, გაწმენდა ნაწილობრივ მაინც, და შესწავლა-დამუშავება: ხუროთმოძღვრულ ფორმათა თავისებურებათა განსაზღვრა, მათი შედარებითი გაშუქება, სპეციალური ხუროთმოძღვრული თემების (ციხე-დარბაზი, ციხე-სიმაგრე, სახიზნო გალავანი, ხეობის თუ სახელმწიფო საზღვრების ჩამკეტი სიმაგრეები და სხვა) დადგენით.


ჩვენი მოკლე სტატიის საგანია ზემოდ დასახელებულ ერთ-ერთ თემის წარმომადგენელი — საქართველოს ისტორიული პროვინციის — რაჭის (ამბროლაურის რაიონი) — შედარებით კარგად შენახული ძეგლი — კვარას ციხე. იგი ყურადღებას იმსახურებს არა მარტო ხელოვნების ისტორიის, არამედ ჩვენი ხალხის სოციალური ისტორიის თვალსაზრისითაც.

ყველაზე ადრინდელი ცნობა კვარას ციხის შესახებ მოეპოვებათ რუსეთის ელჩებს — ტოლოჩანოვსა და იევლევს (1650-52 წ. წ.) ისტორიკოსი ვახუშტი მოგვითხრობს, რომ სოფელ „კრიხის პირისპირ, აღმოსავლეთით კიდურს, მაღალს კლდიანს გორასა ზედა არს ციხე კვარასი და მტკიცე“.



მღინარე კრიხულას მარჯვენა ნაპირზე, აბანოს მცირე ხეივანს, ხერივისად მალა აზიდული კლდის თხემზე ძნელად სავალი ბილიკით აღიფიქნენ ნესტურ-თადერთი მისასვლელი ჩრდილო-დასავლეთიდან კეხზე გასვლის შემდეგ. მდებარეობს გალავანში ერთადერთ შესასვლელ კარს, რომელიც ორიოდ მეტრის სიმაღლეზეა მოთავსებული ორ ბურჯს შორის.


გალავნის მომზადდავი კედლები თხემის ბუნებრივ მდებარეობას მისდევს, ისე, რომ დასავლეთიდან აღმოსავლეთით გაჭიმულ ტერიტორიას მორკალავს. ვალაენი დაყოფილია ტერასებად, რომლებზედაც სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები იყო მოთავსებული. ზევით, აღნიშნულ კარში მისადგმელი კიბით უნდა ასულიყვნენ. რასაც, ალბად კარის მცველი ჩამოუშვებდა. შემდეგ ვიწრო ცილინდრული თაღით დახურული კარის შესასვლელის გავლით მცველის ოთახში მოხვდებოდნენ. აქედან გასვლის შემდეგ თვალწინ აღიმართებოდა მალა ატ-



კარას ციხე

ყორცნილი ცისკამარაგადავლებული დიდი მასის, ზღუდეებშემოვლებული ნაგებობა, ამგვარად, შესასვლელის დონეზე, გალავნის ცენტრალურ ნაწილზე. ამართული იყო სწორკუთხედის გეგმის საცხოვრებელი ნაგებობა. მას მთელი გალავნის თითქმის ერთი მეოთხედი ფართობი ჰქონდა დათმობილი და თავისი სიდი-

დით გაბატონებული იყო ანსამბლის დანარჩენ ელემენტებზე. ამგვარად საერთო ასახულობაში მდებარეობს კვარას ციხის — როგორც ციხე-დარბაზის კარისა და ცენტრალური ნაგებობის ჩრდილოეთით, გალავნის კედელზე მდებარეობს აგებულია შედარებით მცირე ზომის ორსართულიანი ნაგებობა, რომელიც ზედა სართულით დაკავშირებული იყო გალავნის კედლის საბრძოლო ბაქნებთან. ქვედა სართული, ზედას მსგავსად, ერთ ოთახს შეიცავს. ნაგებობის თავისებურა მდებარეობა ციხე-დარბაზის მცველთა საცხოვრებელი სადგომი უნდა ყოფილიყო. თხემის აღმოსავლეთის ნაწილში უმაღლეს წერტილზე ამართულია მრგვალი



კვარას ციხე

გოდოლი; მისგან სამხრეთით, უფრო დაბლა, მცირე ზომის დარბაზული ტიპის — კარის კვლესია. ზღუდის კედელზე გამართული საბრძოლო ბაქნები თხემის ამ გაბატონებული მდებარეობის მქონე გოდლისაკენ მიემართება. აქედან — გოდლიდან — უწევდნენ ხელმძღვანელობას და მეთვალყურეობას ციხე-დარბაზის დაცვის საქმეს. არწივის ბუდესავით მიუწვდომელი გადასჯურება ციხე-დარბაზი ვიწრო ხეობას და ირგვლივ ფერდობებზე შეფენილ სოფლებს: სხვაგას,

კრიხს, კორტს — კვირიკე წმინდას; ქვევით ამბროლაურს და უფრო შორს —  
მდ. რიონის ხეობას.



კვარა ციხის ხუროთმოძღვრული კომპლექსი თავისი შემადგენლობის საერთო გეგმარების კავშირით საქართველოს სხვა პროვინციათა ადრეულ და განვითარებულ შუასაუკუნეთა ძეგლებთან ერთად, შორეულ წარსულის უცნობ ფურცლებს გადაგვიწლის. სიმაგრეთა გეგმარების ამ პრინციპზე აგების საბოლოოდ ჩამოყალიბების დრო ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების „გარდამავალ ხანად“ წოდებული (VIII—IX ს.) პერიოდს წარმოადგენს. მის „კლასიკურ“ სახეს სახელმწიფოს მმართველის რეზიდენციის — თბილისის ციხის „ნარიყალას“ — გეგმარებაში ვხვდებით. რამდენადმე მოგვიანებით (X—XI სს.) აგებულ ატენის, ვერეს და კეხვის ციხეები, რომლებიც თბილისის ციხესთან შედარებით პაცილებით მცირე ზომისანი არიან, გეგმარების ერთ იდეას შეიცავენ. სიმაგრის გეგმარების ეს პრინციპი საეკლესიო ანსამბლის აგების დროსაც არის გამოყენებული. ასე მაგალითად, გეგმარება ახტალის ანსამბლისა, რომელიც XII—XIII სს. თარიღდება ახლოს დგას კვარას ციხის ხუროთმოძღვრულ ჩანაფიქრთან. ყველა ზემონათქვამთან ერთად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კვარას ციხის გეგმარებას დასაყვლეთ ევროპაშიაც, მაგ., იუვოსლავიაში — მაგლიჩში (XIII ს. დასაწყისი) მოუპოვება ანალოგია, რაც თავის მხრივ, ამაგრებს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კვარას ციხე განვითარებულ შუა საუკუნეებში — XI—XIII სს. უნდა იყოს აგებული. თუ ეს ასეა, მაშინ საფიქრებელია, რომ აქვე ხევალმა მღებარე სოფ. ზემო კრიხის განთქმული X—XI საუკ. ხუროთმოძღვრულ ძეგლის კედლებზე გამოხატულ ერისიავთა რეზიდენცია — ციხე-დარბაზი — კვარას ციხე უნდა ყოფილიყო.



ქვარას ციხე

როცა მთვარე შესწვევტს კაშკაშს  
და ბნელს შემოიხვევს,  
იხე, როგორც დაღლილ ვაჟკაცს,  
მძიმედ სძინავს ციხეს.  
სძინავს ციხეს, ნატამალი  
სმაც არ აკრთობს სმენას,  
სძინავს ციხეს, და თამარის  
საოცნებო სენაკს  
სძინავს, ფიქრებს ალამაზებს  
და სიზმარში ხედავს,  
რომ მის ბებერ ვალავანზე  
არწივები სხედან.

ლადო ასათიანი



კახეთის ციხე.

ფოტო ვახტანგ ცინცაძისა



## საქართველოს ნაციხვართა არქეოლოგიისათვის

აბლა ჩვენს სამშობლოში, საბედნიეროდ, მხოლოდ ნაციხვარებზე თუ ნაციხვარებზე<sup>1</sup> გვიხდება საუბარი: წარსულს ჩაბარდა ის ვითარება, როდესაც მარად მოუსვენებელი ქართველი ერი თავისი ძალ-ღონისა და ქონების ძალიან დიდ ნაწილს ახმარდა თავდასაცავ, სამაგრო მშენებლობას და ყოველ ფეხს გადადგმაზე აღმართავდა (ან დრო და დრო განაახლებდა) ციხესა და გალავანს თუ არა, ცალკე გოდოლს (კოშკს) მაინც. სამაგრო ნაკებობანი სხვადასხვაგვარი იყვნენ — ღანიშნულებითაც და აღნაგობითაც — და ასევე ნაირნაირია აბლა ისტორიულ ძეგლებად ქცეული მათი ნანგრევები. ამ უკანასკნელთა მიმართ გულ-



თბილისის დედაციხის შიგნით სიმაგრე

მტკივნეული და მოწიწებითი დამოკიდებულების ნიღაგზე თანდათან გამოუნაკვთა აუცილებლობა ესოდენ მეტყველი ძეგლების მეცნიერული შესწავლისა და სადღეისოდ ეს საქმე დიდადც არის დაწინაურებული. სათანადო მუდმივ მუშაობას საბატიო ადგილი უქირავეს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოქმედებაში (გვიანდელი ციხე-სიმაგრეების არქიტექტურული შესწავლა: ურბნისის, დმანისისა და გრემის ციხე-ქალაქთა ნაშთების თხრა). იგივე ითქმის ე. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტზე, რომლის არქეოლოგიის სექტორის ერთ ძირითად პრობლემას ძველი ქალაქებისა და, სახელდობრ, ციხე-ქალაქების გათხრა და კვლევა შეადგენს. ამ საქმეში, გამძლოდ მუშაყთა მხარდამხარ, აქტიურადაა ჩაბ-

<sup>1</sup> ქართულ ხალხურ ენაში არის კიდევ ერთი, „ნაციხვარის“ სახეცლით წარმოქმნილი სიტყვა — „ნაციხორი“ (მაგ, მცხეთის „ბებრისციხის“ მეორე სახელწოდება).



მული ახალგაზრდობა, რომელთა ნაზრევსაც უკვე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთო სურათში (იხ., მაგ., ქვემოთ, ახალქალაქის შესახებ წერილები წესწავლილი აქვს ე. ჯანდიერს).

ეს მცირე წერილი ეძღვნება ოთხი ისეთი ქალაქის ციხეებს, რომლებიც ვათხრამდეც სახელგანთქმული იყვნენ — უმთავრესად ფეოდალური საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით — და ინსტიტუტის „ქალაქთმცოდნე არქეოლოგების“ მიერ მეტ-ნაკლებ შესწავლის შემდეგ კი ერთი-ორად უფრო ხელშესახები, მახლობელი და გასაგები შეიქნენ ჩვენთვის.

ერთი მათგანია უჯარმა, სადაც ჯერჯერობით ითხრებოდა მხოლოდ იერისპირა ციხის ნანგრევები (ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტისა და თბილისის უნივერსიტეტის ერთობლივი ექსპედიციის მიერ). ამ ერთმა ძეგლმაც მრავალი ყურადღება იქონია გამაოგნებელი არქეოლოგების და ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლის სამეფოს იმ ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქის შესწავლის საქმეს ნამდვილად ჩაეყარა საფუძველი<sup>1</sup>. თანდათან შეიქმნა აზრი, რომ ხსენებული ნაგებობა უნდა ჩაითვალოს არა საკუთრივ ქალაქის სიმაგრედ, არამედ მისგან საკმაოდ განზე, თუმცა კი სტრატეგიულად უთუოდ მარჯვე ადგილას (მდინარის ვიწრობის დასასრულთან და მოსაბრუნთან, საკმაოდ შემალღებულ მოგრძო სერზე) აგებულ ციხედ. ამ უკანასკნელშიც და მის ირგვლივაც საკმაოდ მრავლად სახლობდნენ მისი მცველები თუ მომსახურენი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ ჩაითვლება ქალაქად, როგორც ვათხრამდე ეგონა ზოგ მეცნიერს.


ქალაქ უჯარმას ჩვენი ძველი ისტორიკოსები მიიჩნევენ ანტიკურ ხანაში („საურმაგ მეფის“ თუ „ასფაგურის“ მიერ) დაარსებულ ქალაქად, მაგრამ თან იმასაც გვამცნობენ, რომ იგი „კვლად განაახლა გორგასალ და ყო სიმაგრე და ქალაქი დიდი“, რომელიც ერთობლივი საქართველოს დაშლის შემდეგ „მოოხრებულა“ (ვახუშტი). გორგასალის ისტორიკოსი უჯანშერი პირდაპირ გვეუბნება, რომ მეფე „დაჯდა უჯარმოს და აღაშენა იგი ნაშენებითა უწომოთა“ და რომ გასაჰირის დროს მას უთქვამს ქართლის ეკლესიის მეთაურისათვის: „დადეგ ეკლესიასა შინა რაჟდენ წმიდისასა, რომელი რაბატსა შინა უჯარმოსასა აღმიშენებვის“, იგი საიმედოა, „რამეთუ მტყიცენი და ძლიერნი ზღუდენი აქა დავსხენითო“ (ჩანს, სწორედ იერისპირა ციხე იგულისხმება). „ისტორიათა და აზმათა“ დამწერიც მსჯელობს „უჯარმოვსა ციხის“ თაობაზე და გვამცნობს, რომ იგი „აგებული იყო ვახტანგ გორგასალისაგან, რომელსა შინა თუთ ალესრულა ლომი იგი ლომთაჲ და გოლიათი გოლიათთაჲ“. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენი თანამედროვე ისტორიკოსების აზრით, უჯარმა ვახტანგისათვის მტკიცე საყრდენი იყო სამეფოს აღმოსავლეთით გაჯართოების საქმეში.

ამ ციხის კვლევის შედეგი მოკლედ ასეთია: ა) იგი მართლაც ციხე-დარბაზი უფრო ჩანს, ვიდრე მთელი ქალაქის თავშესაფარი, ვრცელი გაღვანი; ბ) მას წიგნით, ყველაზე უფრო მიუწვდომელ კუთხეში მართლაც არის მომცრო, გოდოლოვანი სასახლეც (რომელშიც დროდადრო დაივანებდა, მაგ., ვახტანგ გორგასალი და რომელსაც ქვეშ დილეგიც კი უნდა ჰქონდეს), კარის ეკლესიაც (ხალხურად „უჯარი პატოსანი“) და აუცილებელი სამეურნეო შენობებიც; გ) ციხე-

<sup>1</sup> ამ ციხის არქიტექტურა განხილულია იორ-უჯარმის ექსპედიციის მონაწილის ირ. ციციშვილის წერილში („ძეგლის შევობა“, კრებული მეექვსე, 1966 წ.). იქვეა ძეგლის ამსახველი სურათები.

დარბაზის ბირვანდელი ნაგებობა ერთობლივ დაგეგმილ-მოფიქრებულა და ერთ გზის აღმართული; დ) მას ახასიათებს საერთო სწორკუთხოვანი მოყვანილობა, სერის თხემზე მოზღუდვილი ზედაციხე და ფერდობზე — ქვედაციხე, სწორკუთხოვანი გოდოლები, უთვალავი წესიერად მოჭრილ-დალაგებულა კვანძისაგან შედგენილი პერანგი, ნალისებრ-კამარიანი და განიერი კარ-სარკმელები, ანტიკურის მსგავსი კრამიტით დაბურვილობა შენობა-გოდოლებისა; ე) უძველესი არქეოლოგიური ფენა მიეკუთვნება V—VI საუკუნეებს (არის V საუკუნის სპარსული ჟულიც). ეს უკანასკნელი გარემოება განგვიმტკიცებს აზრს, რომ თუ მართლაც უნდა ვიგულისხმობთ უფრო ადრინდელი, ანტიკური ქართლის ამა თუ იმ მეფის ნაშენობა, ისევე სხვაგან, ალბათ უფრო სოფლის მიდამოებში, რომლებიც ჯერ, სამწუხაროდ, არ არის არქეოლოგიურად შესწავლილი.

უჯარმის თავდაპირველი ციხე — შემორჩენილთა შორის ერთ-ერთი უძველესი და თან ძალიან რიგიანად შენახული — უთუოდ თვალსაჩინო და უნიკალური ძეგლიც კი არის. ჩვენ წინაშე დგას ნიმუში ანტიკურიდან ფეოდალურ ხანაზე გადმომავალი დროის ქართული სამაგრო-სასახახლო მშენებლობისა, რომელიც



ტუსთაველის ხანის ტამრის ნანგრევი, აღმოჩენილი თბილისის ღედაციხეში

გონივრული მოხაზულობითაც გამოირჩევა და უტყუარი მოხდენილობითაც: მის აღნაგობა-შემოსილობაში თავს იჩენს ჩვენივე, ანტიკური ხანის მშენებლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები (იხ. ზემოთ), რომლებიც მომდევნო საუკუნეებში ძვირად-და თუ სადმე შეგვხვდეს, ასე თვალნათლივ მაინც.

ფეოდალური ხანის გარიჟრაჟზე აგებული ციხე დიდხანს ცოცხლობს და ექსახურება ქვეყანას. არაბთა მიერ (X საუკუნის დამდეგს) დანგრევის შემდეგ იგი დასტორბია და კიდევაც გამოუყენებია გიორგი მესამეს (1156—1184), რომელმაც, „აზმანი...“-ს ცნობით, „... ესევეთარსა მარჯუებასა და ზეობასა შინა კანამრავლნა საქურჭლენიცა და დადვა თუთ მისი მონაგები და მისთა ნატყუ-

ნავთავან მოგებული ციხესა შინა უჯარმოვასასა, სხვანაირად რომ ითქვას, შე-  
ფეს მარჯვე ომიანობის შედეგად მოქარბებული საქურჭლის საცავი, საგანძური  
ნოუწყვია ძველ ციხეში, რომელსაც მისი ამშენებელი ვახტანგი იყენებდა თავის  
დროზე ამრიგად. სწორედ ამ მოვლენას მიაწერენ არქეოლოგები უჯარმის ციხის  
ზედა ნაწილის აღდგენასა და გადაკეთებას, რაც სულ სხვაგვარი ხუროთმოძღ-  
ვრული იურიისა და ტექნიკით „აქრელებს“ უწინდელ ნაშენობას: გოდოლები და  
ბურჯები მრგვალია, პერანგი — უსწორმასწორო ნატეხი ქვითა და ქარბი ღუ-  
ღაბით გამოყვანილი და ა. შ. რაც შეეხება არქეოლოგიურ მასალას (უმთავრესად  
ნაინაირ კერამიკას, მონეტებს და სხვ.), იგი ყველაზე უფრო უხვად სწორედ ამ,  
XII—XIII საუკუნეთა ფენებშია წარმოდგენილი, თუმცა ზოგი რამ IX—XI საუ-  
კუნეებსაც კი მიეკუთვნება. ცალკე აღსანიშნავია სიმრავლე ფერადი მინის საშა-  
ჯურებისა, რომლებსაც არქეოლოგები მიიჩნევენ საქურჭლის დასაცავად ციხეში  
(უმთავრესად მის მრავალსართულიან ძველ გოდოლებში) მკვიდრად დაბინავე-  
ბულ მეომართა ოჯახის წევრი ქალების ნახმარად. უნდა გავიხსენოთ აგრეთვე  
საშურდულე ქვით სავსე ორმო.


ქნელბედობის ქაშს დანგრეულ-მიტოვებულ ციხეს მესამედაც გამოსჩენია  
პატრონი, გვიანფოდალურ ხანაში: იგრის ხეობის დიდი ფოდალები, რომელთაც  
აღუმართავთ ზედაციხეში რამდენიმე აგურის შენობა.

როგორც ვხედავთ, არქეოლოგიურმა კვლევამ არსებითად უცვალა სახე და  
ხორცი შესახა მანამდე მხოლოდ მწიგნობრულ წარმოდგენას უჯარმის ციხის თა-  
რბაზე: ვახტანგ გორგასალის აგებულად მიგვაჩნევინა იგრისპირა ციხე-დარბა-  
ზი. იქვე გვაგულებინა გიორგი მესამის საქურჭლეთსაცავი და ჩოლოყაანთ ცა-  
ტე. თან დაგვარწმუნა, რომ ქალაქი და მისი ციხე-გალავანი ახლანდელი სოფლა-  
აღგალას არის საძიებელი და გასათხრელი.

კუხეთის რუსთავში ბევრად უფრო ხანგრძლივ და ნაყოფიერად  
არის ნაშუშევარი ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიუ-  
რი ექსპედიცია. მან ჯერ ზღუდეს გარეთა ნაქალაქარის ცალკეული უბნები და  
სამაროვნები იკვლია და შემდეგ-ღა მიჰყო ხელი იმ მოზრდილი ნაციხვარია  
თხრას, რომელიც მტკვრის პირად მდებარე და ძველისძველი რუით გამოყოფილ  
მალღობზედ იმყოფება. ამ რუს („რუს თავი“) გამოღებას ღლონტი მროველი მი-  
აწერს მირიან მეფის (IV ს.) „ძისწულს“ ანუ შვილაშვილს თრდატს, რომელსაც  
იქვე ეკლესიაც აუშენებია. რუს შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ  
იგი ბევრად ადრეც მოქმედებდა (წინარეანტიკურ ხანაშიც კი) და თუ ასე იყო,  
ნაშინ ქართლის მეფის ეს ნაბიჯი ძველი არხის განახლებად და ბევრად უფრო  
ღონიერი, მატრიანშიც აღსანიშნავი რუს გამოყვანად უნდა მივიჩნიოთ. ამ რუს,  
გარდა ქალაქის სახელწოდებისა, იმ მხრივაც ენიჭება მნიშვნელობა, რომ იქ  
ციხის ერთ-ერთი დანიშნულება უნდა ყოფილიყო მთელი ქვემოური, მშრალი  
ქვეყნის მიწათმოქმედებისათვის ყოვლად აუცილებელი სარწყავი ქსელის სათა-  
ვის საიმედოდ დაცვა. მეორე მხრივ თვით განიერი და ღრმა რუც შემატებდა  
მიუწვდომლობას არც ძალიან მაღალ გორაზე გამართულ სიმაგრეს — მეტადრე  
თუ საწინაშროებისას მისი შტოც შემოუვლიდა მალღობს და ისევ მტკვარს შეედი-  
ნებოდა, ე. ი. გორა კუნძულად იქცეოდა (მსგავს სისტემას ვგულისხმობთ აგრეთ-  
ვე შიდა ქართლის ძველი ქალაქის ურბნისის გამაგრებაში).

ეს რუსთავი კარგა ხანს საერისთავო იყო, ისტორიული ქვეყნის კუხეთის

ცენტრს წარმოადგენდა, სამეფო სახლიც ფლობდა მას და ა. შ. ერთთავად მნიშვნელოვანი, სავაჭრო და სამხედრო გზათა ჯვარედინზე მდებარე პუნქტი თბილისის მისაღლოებში ჩადგმული მისი სიმაგრე უნდა გვეგულებოდეს. ლაქის მოსაბოამდე. ამ აღმინისტრაციული ცენტრის ძველადვე დიდ მნიშვნელობას ისიც მოწმობს, რომ იქაც დაუარსებია ვახტანგ გორგასალს (V საუკუნის ნეორე ნახევარში) საეპისკოპოსო კათედრა, ისე რომ ნაქალაქარისა და ნაციხვარის თხრისას რიგიანი ტაძრის ნაშთის აღმოჩენაც იყო მოსალოდნელი.



კუხეთის რუსთავის ციხის კუთხის ბურჯი, არხის წყლისაგან ძირგამოთხრილი (პერანვის წიკა რუსთაველის ხანის ეკლესიის).

განათხარმა ზღუდეს შიგნით გამოავლინა ადრეული რკინის ხანის (სახელდობრ, ძვ. VII—VI სს.) ნამოსახლარი, რომელიც ჯერჯერობით უძველეს ფენას წარმოადგენს ძველის არქეოლოგიაში. შესაძლოა, იმ გორა-სამოსახლოსაც იცავდა რაიმენაირი (მაგ., ძელური) ირგვლივი კედელი, რომლის კვალიც არ შეინახებოდა. ნამდვილად საიმედო ქვითკირის ზღუდე აგებული უნდა იყოს ბევრად უფრო გვიან, ანტიკური ხანის (განათხარში ჯერჯერობით „ცარიელის“) მოთავეების შემდგომ. ეტყობა, უჯარმასავით აქაც გადმოშავალ IV—V საუკუნეებში უნდა ვიგულისხმოთ თავდაპირველი ნაშენობა მკვიდრი ციხისა, ე. ი. იმ ხანებში, როცა ერთ მეფეს რუ გაჰყავს და საყდარიც აუშენებია, ხოლო სხვა მეფე ეპისკოპოსს ნიშნავს ღა სვამს ქალაქში. მას შემდეგ რუსთავის („გოსტანქალაქის“, „ნ ა გ ე ბ ი ს“

და სხვ.) ციხეს, ქალაქთან ერთად, მრავალი ჭირი გადახდომია თავს: მეტჯერ თუ არა, სამკზის მაინც დანგრეულა, დამწვარა და კვლავ აღუდგენიათ. ყოველთვის აალებურად, ძველის „აჭრელებით“. ციხეში თხრამ წარმოგვიჩინა ნამოსახლობის ნაშთები — ადრეფეოდალურიდან გვიანფეოდალურ ხანამდე, ჩათვლით. ისევე როგორც ქალაქი, მისი ციხის სამოსახლოც ყველაზე უფრო მკვიდროდ ვაშენებული (თუმცა იქაც არსებითად რიყისქვა-თიხით ამოყვანილ სახლებში მოქცეული) და შექმნილი ყოფილა შუაფეოდალურ ხანაში. ამ უკანასკნელ გარე-

მოებას მოწმობს თხრით მოპოვებული დიდძალი, ხშირად ძვირფასი თიხისა და მინის კურკლეული თუ სხვა საგნები და მეტადრე კი — ფული. ბევრად უფრო მეჩხრად მდგარი, მაგრამ უფრო მკვიდრი, ქვითკირის შენობები (კერძოდ დიდი, მრავალსენაკიანი სასახლე და ზედ მიშენებული აგურის აბანო) ეკუთვნის ადრეფეოდალურ ხანას. ამის შესაბამისად, ციხის თავდაპირველი, აქა-იქ-ღა შენორჩენილი კედლებიც გაცილებით უფრო მტკიცე და — უჯარმასავით — ძველებურ, ჯერ კიდევ ანტიკურიდან მომდინარე ყაიდაზე, კარგად გამოყვანილი და მორგებული დიდრონი ქვათილებითაა შემოსილი. შუაფეოდალურ ხანაში ზღუდის პერანგის განახლების შემდეგ ვხედავთ: აგურის ჩარჩოში მოქცეულ, სახელდახელოდ დაკუთხულ, ან ხელახლა გამოყენებულ ქვებს, ტაძრის შემკულობის ცალკეულ ნაწილებს, ძველი დიდრონი ქვათილების შემთხვევითს ფენებს და ა. შ. გვიანფეოდალურ ხანაში, მანამდე ძლიერ დანგრეულ ციხეს კვლავ აღადგენენ, სინაგრედაც და საცხოვრისადაც: ალიზითა და გაჯით ავსებენ დაქცეულ კედელ-ბურჯებს, შიგნით სასახლეს აგებენ, ხოლო გარედან — აბანოს მიაშენებენ ზღუდეს (შემდგომ ერთიცა და მეორეც ძალათ განადგურებული ჩანს).



განათხარი კუხეთის რუსთავეის ციხის შიგნით, საერთო ხედი

ამრიგად, თვალნათლივ აისახება კუხეთის რუსთავეის ციხის დიდად „აჭრელებულ“ აღნაგობაში (და პარალელურად — განათხარის ფენებში) ციხე-ქალაქის მძიმე თავგადასავალი: ადრეფეოდალური ხანის მოთავებისთანავე თურქ-სელჯუკთა მიერ დაპყრობა (რასაც აკლება და გადაწვა ხლებია თან); 1115 წელს დაეით აღმაშენებლის ჯარის მიერ მოძალადეთა ამოხოცვა; 1265 წელს მონღოლი ბერქა-ყაენის მიერ ციხე-ქალაქის განადგურება, გადაწვა და მოსპობა;

XVII საუკუნის ბოლოს ნაციხვარზე რეზიდენციის გამართვა — გამაჰმადიანებული ერეკლე პირველის ანუ ნაზარ-ალი-ხანის მიერ და მისი მარცხის მერმე — მისი ნაბუღარის დემონსტრაციულად მოსპობა.

როგორც ვხედავთ, აქაც ერთიმეორეს ამდიდრებს და აზუსტებს ციხე-ქალაქის წერილობითი ისტორია და არქეოლოგიური შესწავლა.

ჯ ა ვ ა ხ ე თ ი ს ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი, რომლის გათხრა-შესწავლაც 1960 წელს დაიწყო, ივ. ჯავახიშვილის სახ. ინსტიტუტმა (ისევე როგორც საერთოდ ჩვენი „ახალქალაქები“ და „ახალციხეები“, აკად. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით) საქართველოს მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქების წყებას ემატება და იმ თავისებური ქვეყნის ცენტრად იქცევა შუაფეოდალური ხანის საწყისი, XI საუკუნის განმავლობაში (და ამითაც გამოირჩევა წინა ორისაგან). იგი ძვეს ორი მნიშვნელოვანი მდინარის — ჯავახეთის მტკვრის (თაფთარაგნის წყლისა) და ახალქალაქის წყლის შესართავთან ზვიადად დაყუდებულ, ციკაბოკალთებიან კონცხზე ერთელი და ვიწრო ზეგნისა. ასეთი, დიდად მარჯვე მდებარეობით ციხე-ქალაქი მოგვაგონებს ორ სხვას, სამხრეთ საქართველოშივე (და ლაგების გავრცელების მხარეებშივე) მდებარეს: დმანისსა და სამშვილდეს. ეს საერთოდ ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოხატული ტიპია ბუნებრივადაც ძნელმისაწვდომი (უჯარმისა და რუსთავისაგან განსხვავებით) და თან კი ვრცლად გაშლილი სამოსახლოებასა, რომელთაც ყველგან არც კი სჭირდებათ ხელოვნურად გამაგრება, ე. ი. ირგვლივ კედლის შემორტყმა.

სწორედ ასეა გაშენებული ჯავახეთის ახალქალაქი: ფართო შემოზღუდვის დიდრონი უბნები (უმეტესობა) დატოვებულია მაღალი ფლატეების იმედად და მხოლოდ იქა კედლები ამოშენებული, სადაც ზეგნის კალთები დაბლდება, ან დამრეცი ხდება: რაც არ უნდა შეძლებული იყოს ქვეყანა, გონივრულ მომჭირნეობას მაინც მიმართავს. შიდაციხე კი, რა თქმა უნდა, მთლიანად არის „შეჯავშნილი“ და დანარჩენი სამოსახლოსაგან გამოკალკევებული.

ამ სამოსახლოს ციხე-ქალაქად ქცევა, რასაც წერილობით წყაროში („მატიანე ქართლისა“) მისთვის გალაგნის შემოვლების შესახებ ცნობა გვანიშნებს, განეკუთვნება ბაგრატ მეოთხის დროს (1027—1072): „მას ვამსა უზღუდო იყო“ და „იწყეს ... ზღუდეთა შენებაო“. ახალ ციხე-ქალაქს სულ მალე დასტყდომია თავს სისხლიანი განსაცდელი — თურქ-სელჯუკების გარემოცვა, რომლისთვისაც ჯერაც დაუმთავრებელ სიმაგრეს ვერ გაუძლია; მოსახლეობა გაუძარცვიათ, გაუღლეთათ და დაუტყვევებიათ. შემდგომ ქალაქი საერისთავო ცენტრად გვევლინება. ოსმალო თურქთა მიერ მესხეთ-ჯავახეთის დაპყრობის შემდეგ იგი ოკუპაციის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად და კარგად გამაგრებულ ციხედ იქცევა. XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე მასში კარგა ხნით მკვიდრდება რუსის ჯარი, თურქთა განდევნის შემდეგ.

ციხე-ქალაქის ისტორიის ამ სამმა ძირითადმა, თვისობრივ განსხვავებულმა ხანამ (შუაფეოდალურმა, გვიანფეოდალურმა და XIX საუკუნემ), რა თქმა უნდა, დაატყო თავ-თავისი კვალი მის აღნაგობასაც და შიდაციხისა თუ მასზე მომდვარი სამოსახლოს ვითარებასაც.

შუაფეოდალური ხანა წარმოდგენილია თავდაპირველი საერთო ზღუდებურჯებით, ქალაქის ორი კარიბჭით და შიდაციხისა და მისი გოდოლების თავდაპირველი ნაშენობით, რომლებსაც გამოარჩევს ლავისაგან წესიერად მოჭრილი

და მკიდროდ ნაწყობი ქვით ამოყვანილი პერანგი. ამავე ხანას შეესატყვისება უმდიდრესი კულტურული ფენა (სადა და მოჭიქული კერამიკა, მონეტები და სხვ.). არქეოლოგიური მონაპოვრით იმავე დროს მიეკუთვნება რამდენიმე მატრი-  
ნი, სოფლური იერის „ფსევდოციკლოპური“ საცხოვრებელ-სამეურნეო მანქანა, შიდაციხის გარეთ და „ხელოსანთა უბანი“ საერთო ზღუდეს გარეთ, ფერდობ-  
ზე. ჯერჯერობით გაურკვეველია ხნოვანება წინასწარ „ქარვასლად“ მიჩნეული  
ნაგებობისა. რომელსაც ახასიათებს შიდაციხის გარდიგარდმო დაყოლებული,  
კარვად ნაშენი, ფართოკამარებიანი კედელი.

ხანგრძლივი ოსმან-თურქობის „ძეგლებს“ ვხედავთ მხოლოდ შიდაციხეში  
(მეჩეთა; ძველი ნაბრძოლ-ნანგრევი ზღუდის, გოდოლებისა და ბურჯების ალაგ-  
ალაგ აღდგენა, თვალით ადვილად გამოსარჩევი). სათანადო არქეოლოგიურ ფე-  
ნას ახასიათებს უმთავრესად მრავალრიცხოვანი თიხის ჩიბუხები და ყუშპარათა  
ნამტვრევები.

თურქების განდევნის შემდეგ, შიდაციხის ზოგი გოდოლი ძირეულად განაბ-  
ლებული (ან ახლად აგებულიც) და შუა საუკუნეთა მოხდენილი წყობის მი-  
ბაძვით ამოყვანილი პერანგით შემოსილია. არის ასევე შემოსილი ნახევარწრიუ-  
ლი ნაგებობის ნანგრევიც.

ციხე-ქალაქობის უწინარეს ხანას მიეკუთვნება, ეტყობა, შიდაციხის მოპარ-  
დაპირე ბოლოში შემორჩენილი ნანგრევი მოძკრო, ჯვრისებრი საყდრისა, რომ-  
ელსაც XIX საუკუნეშიც კი იყენებდნენ მართლმადიდებლები. ამრიგად წარმო-  
იქმნება ვარაუდი, რომ XI საუკუნეში ციხე-ქალაქი გამართულა ადრევე არსებუ-  
ლი სამოსახლოს საფუძველზე და მის გვერდითაც.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა თ ბ ი ლ ის ის დ ე დ ა ც ი ხ ის („ქალას“,  
„შურისციხის“, „ნარი-ყალას“) ნანგრევის შესახებ, რომელიც სულ ახლახან,  
1936 წელს იქცა გულმოდგინე შესწავლა-გათხრის საგნად (ივ. ჯაფარიშვილის  
სახ. ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული  
მუზეუმის ექსპედიცია: თანაგამთხრელნი ო. ტყეშელაშვილი და ი. გძე-  
ლიშვილი) და რომლის არქეოლოგიური ისტორიის ქარვა ჯერაც კადევ ნაწი-  
ლობრივ პირობითი ჩანს.

ადრე ქართლისა და შემდეგ საქართველოს დედაქალაქის ეს უძველესი და  
უნნიშვნელოვანესი ციხე აგებულია ვიწრო და მაღალი, სამი მხრივ ღრმა ხრამე-  
ბით თუ მაღალი ფლავით შემორტყმული სერის თხემსა და დაფერდებულ ბო-  
ლოზე, სადაც ძნელმისავალი შიდაციხეა მოზღუდული. შიდაციხე ზედა და ქვე-  
და უბნებისაგან შედგება და — რამდენადმე უცნაური კია ესოდენ მნიშვნელოვან-  
ი სიმაგრისათვის — ნაწილად სიციწროვეა ორივე უბანზე. ამიტომაც, რომ  
შიგ მდგარი, სხვადასხვა დროის შენობები ნაწილად ერთიმეორის ნანგრევება  
აღმართული და თავისუფალი ადგილი თითქმის ერთი მტკაველიც კი ვერ მო-  
იძებნება.

თბილისის ციხის არსებობის შესახებ წერილობითი წყაროები ცნობას ვვაწვ-  
დიან ჯერ კადევ ახ. წ. IV საუკუნის ამბების თხრობისას, სრული უწყლებაც გვე-  
ნიჭება, სწორედ მას აქვთ მაინც ვიკულისხმობთ ციხის ისტორია, თუ მანამდეც  
არა: თბილისში ქალაქური ყაიდის სამოსახლო გვიანანტიკურ ხანაშივე იგუ-  
ლისხმება, ზოგიერთი არქეოლოგიური დაკვირვების მიხედვით, V საუკუნის პო-  
ლოს, ვახტანგ გორგასალის მიერ გადაწყვეტა დედაქალაქის მცხეთიდან თბი-



ლისში გადმოტანისა, ეტყობა, იმ გარემოებასაც ითვალისწინებდა, რომ აქ ვინა-  
გისი ციხე უკვე კარგა ხნის აღმართული იყო და მას მხოლოდ ეგებ გაფართოვება  
და ნაშენობით გაძლიერება დასჭირდებოდა. თბილისში დიდრონ და სანაპირო  
მკვებლო ნაგებობათა (მაგ. ტაძრების) აღმართვა VI საუკუნეშივე გვაქვს აღნიშ-  
ნული. შესაძლოა, მაშინვე გაფართოვდა დედაციხეც.

ეს უკანასკნელი სულ მალე იქცა ხანგრძლივ მოვლენილ დამპყრობელთა  
სადგომად და სტრატეგიულ საყრდენად. მეტადრე იოქმის ეს ჯერ არაბობისა და  
შემდეგ თურქ-სელჯუკობის შესახებ. ქალაქიცა და მისი ციხეც კვლავ დაუბრუნ-  
და ქართულ სახელმწიფოს და ხელახლა იქცა მის დედაქალაქად მხოლოდ დავით  
აღმაშენებლის დროს. გვიანფეოდალურ ხანაში კი იგი ისევ დრო და დრო გამო-  
სახსნელი ხდებოდა ხოლმე, ხან ირანელი და ხან თურქი დამპყრობლებისაგან.  
ყოველივე ამას კი ციხის დიდი ნგრევა და კვლავ განახლება მოსდევდა თან.  
მტრის მსახვრალი ხელი ალბათ არც ერთ ჩვენ ციხეს არ მოხვედრია ისე ხშირად,  
ჩიმიმდა და მწუავედ, როგორც ყველასათვის „სასურველი“ დედაქალაქის დედა-  
ციხეს. უკანასკნელი ლახვარი, ჩანს, ალა-მაჰმად-ხანის ლაშქრობას ჩაუტია დე-  
დაციხისათვის და XIX საუკუნის დამდეგიდან იგი არსებითად უკვე ძეგლს-  
ღარმოაღვენს — თავებირდალუწილს, მაგრამ მაინც მძლავრად მოხდენილსა და  
ღირსეულს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ, რომ  
თბილისის ამ ციხის ზღუდე-ბურჯები ძალზე ნაირ-ნაირია შემორგვლივ და თუ-  
ცა ყოველი განმარტებული (ზოგჯერ დამპყრობელიც!) ცდილობდა, ჩანს, ვა-  
რეგანი ლაშათიანობისათვის ზრუნვას, საერთოდ მაინც ძალზე მრავალი სურათი  
გვაქვს. ერთად ერთი ადგილი, სადაც შემორჩენილია უძველესი (ოღონდ როდან-  
დელი?), დიდრონი ქვათლილებისაგან შემდგარი პერანგის რამდენიმე ნაშთი,  
არის სწორკუთხოვანი გოდოლი, რომელშიც კიბე-შესასვლელია დატანებული,  
სხვაგან ყველგან ან აგურით შემოჩარჩობული დაკუთხული ქვებით, ან — პირ-  
წმინდად აგურით ამოყვანილი პერანგი ჩანს. პირველი შუაფეოდალურ ხანას ახა-  
სიათებს, მეორე — გვიანდელია.

შიდაკახის ქვედა ნაწილში წარმოებულმა თხრამ ჯერჯერობით მხოლოდ  
შუაფეოდალური და გვიანფეოდალური ხანის ძეგლები და მასალები გამოგვი-  
ღინა. უფრო ადრინდელები, ცხადია, ბევრად უფრო ღრმად არის საგულკვებლო  
და დღესდღეობით კი მათ გვანიშნებს მხოლოდ ერთი, სხვებზე ძველბურთი ჩუ-  
ქურთმით დამშვენებული ქვა (ეტყობა, ტაძრის სამკაულისა). შუაფეოდალური  
ხანის ძეგლთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მოზრდილი (ცახისათვის — დიდ-  
ბულა), გუმბათიანი და უხვად მოჩუქურთმებული ტაძრის დანგრეულ-დამახინ-  
ჯებულ და ნახანძრი ნაშთი. ამ ტაძარს, რომელიც არქიტექტურითა და სამკაუ-  
ლით XII—XIII საუკუნეებს მიეკუთვნა, აღნიშნავს „მაღალს ციხეში“ ვახუშტი,  
ე. ი. XVI საუკუნის შუა ხანებში იგი ჯერ კიდევ მდგარა და შემდეგ დაუქცევიათ  
დაუნდობლად და მიწას დაუფარავს. იმავდროული ჩანს ერთი მკვიდრი შენობა  
(რომლის ძირიდა აღმოჩნდა) და არქეოლოგიური მონაპოვრის ერთი, არა უდი-  
დესი ნაწილი (უშთაერესად კერამიკა). გვიანფეოდალურ ხანას მიეკუთვნება  
ტაძრის გვერდით გათხრილი აგურის ორი — დიდი და მცირე — შენობა და  
კერამიკული წყალსადენი, ტაძრის კედელზე დაშენებული აგურის აბანო, აკ-

რითვე მონაპოვრის დიდი უმეტესობა (ფაიანსი და სხვა კერამიკა, მინა) რომელიც მდიდრული სასაფურე ჰურჭლეულის შთაბეჭდილებას სტოვებს, აგურის დიდი შენობა ცახის სასახლის ანსამბლის შემადგენელი ერთი მნიშვნელოვანთაგანი უნდა იყოს. მაგრამ იგი ადრეც, რუსთაველის ხანაში (თუ უწინარეს არა) არსებული და გამოყენებული ყოფილა (მარანი და სხვ.).

ამრიგად, რამდენადმე მაინც ვიცით უკვე, თუ როგორი ყოფილა ას. ციხეში მდგარი „სასახლე მეფისა, პალატი დიდ-დიდნი“, რომელთაც ტაძართან ერთად ახსენებს ვახუშტი და თან დასძენს, ისინი როსტომ მეფემ (1632—1658) სპარსელებს დაუტოვა, თითონ კი დაბლა, მტკვრის პირას აიშენა სასახლეო (ახლანდელი ერცყლე მეორის მოედნის გვერდით).


\*  
\* \*

ამრიგად, მხოლოდ გაკვრით მიმოვიხილეთ საქართველოს ოთხი სხვადასხვა-ვევარა ციხე — უფრო სწორად, ნაციხვარი, — რომელთაც არქეოლოგიური გათხრა შეხებია. ერთი მათგანი წარმოადგენს ძველ ციხე-დარბაზს, რომელსაც შემდგომ დანიშნულება შესცვლია; ორი — საქართველოს შემადგენელი ორი სხვადასხვა ქვეყნის ცენტრებში აგებულ ქალაქთა ციხეები იყო; მეოთხე — დედაქალაქის მთავარი სიმაგრე, რომლის შიდაციხე („ციტადელი“) ყველაზე უფრო დანგრეულ-დაზარალებული და თან ასევე გულმოდგინედ აღდგენილ-განახლებულია, მრავალგზის.

არქეოლოგიური განათხარი ზოგჯერ მეტად, ზოგჯერ ნაკლებ, მაგრამ მაინც ყოველთვის ახლებური და მეტყველი შუქით ანათებს ამ ციხეთა ისტორიას.

## ზოგიერთი სამხენებლო ტერიტორიის შესახებ

ადამიანის სადგომს, სოფელს, ქალაქს თავდაცვის საშუალებები გააჩნდა. ყველაზე უძველესი თავდაცვის საშუალებათაგანი იყო „ხანდაკი“ — რუს. («рощ» და „სხრტე“ — რუს. «защита»). საბა ორბელიანის განმარტებით „თხრილი“ — მიწა ნათხარი“ არის და მიუთითებს ხანდაკზე. „ხანდაკი სხუათა ენაა, ქართულად თხრილი ჰქვიან“, ამბობს საბა. თხრილი ძველადაც და ახლაც ძალზე ზოგადი გაგებაა და ეს რომ მართლაც ასეა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონიდანაც ჩანს: სადაც თხრილს აქვს ორზოს, კანავას, ტრანშეას, ოკობის მნიშვნელობა მიცემული. რაც შეეხება ხანდაკს, მას ქართულში უკვე სამხედრო დანიშნულება აქვს მიღებული. მაგალითად: „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, როსტომ მეფის დროს მუხადგვერდის მახლობლად „ქართველთ ხანდაკი გაეთხარათ, ამისთვის რომე არამც მოპარვით ყიზილბაშნი თავს არ დაესხნენ, მაგრამ უგრძობლად



ციხე. 1 — ხანდაკი, 2 — კოშკი, 3 — ბურჯი, 4 — დრუსონი, 5 — პეკე, 6 — ცოტა კარი, 7 — გელესია, 8 — ცისტერნა. ნახ. კ. მელითაშვილისა


წეუღეს ყიზილბაშთა მუხთაგუერდი. მივიდეს და, სადაცა ხანდაგი იყო, ხან-  
დაგთან ჩამოხდეს, და ის ხანდაგი გაასწორეს." აქ ხანდაგი-ხანდაგი „სქარად  
სამხედრო დანიშნულებისაა და მისი „გათხრა“ — გამართვა და „გასწორება“ —  
ნოსპობაც შეიძლებოდა. „ქართლის ცხოვრება“-შივე დავით აღმაშენებლის ეს-  
ტორიკოსი მოვეთხრობს, რომ შემახიის ალების შემდეგ სულტანმა დამამცირე-  
ბელი წერილი გამოუგზავნა დავით მეფეს: მეფე დაუყოვნებლივ მხედრობითურთ  
შემახიისაკენ გაემართა და ამის მნახველი სულტანი „აიყარა ველთათ, სადა დვა,  
და მსწრაფლ შევიდა ქალაქად და გარემოიზღუდა ერთ-კერძო სხრტითა და  
ხანდაკეზი, და სხვითკერძო ზღუდითა ქალაქისა შემახიისათა“. აქაც ხანდაგი  
საომარი დანიშნულებისაა, ამასთან აქაც და პირველ მაგალითშიც საველე სა-  
ფორტიფიკაციო ნაგებობა. ტერმინი „ხანდაგი“ აღმოსავლეთისა და დასავლეთის  
(საბერძნეთი) ქვეყნებშიც იხმარებოდა და XII საუკუნისათვის უკვე ქართულ  
მეტყველებაშიც შესულა. საბას მიხედვით „სხრტე ნელლი ხენი, რომელნიმე გარ-  
დადრეკილნი, რომელნიმე ნახევრადკეთილი, გარზღუდედ მოვლებული, რტო  
ამონახეთქი ხშირად, სიმაგრისათვის“. მტრის მოძრაობის შესაბოროტად ხეზით  
ჩახერგვის შესანიშნავი განმარტებაა აქ მოცემული. თანამედროვე ტერმინოლო-  
გიით იგი ჩამოქცევას და დაქცევას უდრის. ქვის ხანის აღამიანსაც კი შეეძლო  
თავისი სადგომი სხრტით შემოზღუდა და თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ  
მაინც თავი დაცვა. აღსანიშნავია, რომ ჯარების მოძრაობის შებორკვის ეს წესი  
თანამედროვე ომებშიც გამოიყენებოდა. ხანდაგი საქართველოს ძველებში  
გვხვდება უკვე ძვ. წ. III ათასწლეულიდან დაწყებული, ვიდრე ფეოდალური ურ-  
თიერთობას თითქმის მთელ მანძილზე.

„ციხე“ ძველის-ძველი სიტყვა ჩანს და ამის კარგი საბუთი — ტოპონიმი  
„უფლისციხე“-ა.

აკად. ი. ჯავახიშვილი „მშენებლობის ხელოვნებაში“ აღნიშნავს, რომ ჩვეუ-  
ლებრივ ციხეთა შორის იყო „თავადი ციხე“-ც, რომელსაც დაცვის დროს ყველა-  
ზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ეხება ისეთ შემთხვევას, როცა რამოდენიმე ცი-  
ხე გარკვეულ კავშირშია და საერთო ძალებით ტერიტორიის დაცვას ეწევა. ასეთ  
ვითარებაში ერთი „თავადი ციხეა“, დანარჩენები კი მთელი დაცვის სისტემის  
შემადგენელი ნაწილები. მაგალითად: ძველი დედაქალაქის — მცხეთისა და მისი  
ნისადგომის დაცვას ანხორციელებდა რამდენიმე ციხე, რომელთა შორის არმა-  
ზი — თავადი ციხე იყო. ან კიდევ, როცა ქსნის ზეობაში ზემო ერისთავს გარ-  
კვეული მოვალეობა დაეკისრა და ჩაბარდა ქვენიფნევის ციხე, ციხე ქოლოთისა,  
ციხენი ისროლისნი და ციხე ბეზშუისა; მათ შორის თავადი ციხე-ქვენიფნევისა  
იყო.

ციხის მნიშვნელოვან ნაწილს ზღუდე წარმოადგენდა, რომელსაც კერძო  
(მაგალითად ციხის შემომფარგვლების) და ზოგადი გაგებაც ჰქონდა. საბა ზო-  
გადი გაგების გარდა აგვიწერს მის სხვადასხვა დანიშნულებასა და კონსტრუქ-  
ციას. მოვიკვანთ ჩვენთვის საგულისხმოდ განმარტებები. „ზღუდე“ ესე არს ყო-  
ველი სიმკრგულით შემოვლებული, რაიც რაივე იყოს გარმონავლები ქალაქთა,  
დაბათა, სახლთა, წალკოტთა, სათვალეთა, გინა თვალთ პატეოსანთა. „ვალავანი“  
არს არა ზღუდე, არამედ კედელი მაგარი ვრძლად ნაგები“. შემდეგ: „დროსო“  
არს ზღუდე ქვისა მალალი კედელი (კეთილ) ნაგები კოშკ-კოშკოვანი.“ პირველ

რიგში დრუსო „ქვის მაღალი კედელი“-ა. ეს ზღუდის საერთო გაგებიდანაცაა გამომდინარე. ნაშენი ზღუდე, საბას განმარტებების მიხედვით, ყველა შემთხვევაში კედელს წარმოადგენს. ე. ი. დრუსოც კედელია, მაგრამ კოშკებში ახლოს სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი კოშკებს შორის არის მოთავსებული. ამიტომ „დრუსო“ ვრანგ. „კურტინა“-ს შეესატყვისება. საბა აგრძელებს განმარტებას: „ყორე“ არს ქვით უკიროთ აღნაგები ზღუდე, გინა კედელი“, რომელიც საქართველოში ზშირად გვხვდება ძველ ნაგებობაში და ბოლო ხანის მშენებლობაში ბაღებისა და ბოსტნების (მიწის ნაკვეთების) შემოსავლებად. „ყრო“ არს სხვალი ძელი აღმა დასობით მოვლებული; აქ მკაფიოდ არის წარმოდგენილი



ნოქალაქევის ზღუდის ბჭე. 1 — ხორში, 2 — თალი, 3 — წყრთილა, 4 — საერდულე, 5 — ურდულა, 6 — ქუსლიანი კარის ფრთა აღდგენილი. კ. მელითაურის მიერ.

რუს. „ჩასტოკოლ“-ი. „ძელყორე“ არს ძეგლთა და ქვითა ბაკი მოვლებული.“ მაგრამ ჩვენ ვხვდებით ისეთ ქვითა და ხით ნაგებ კედლებსაც, რომელთაც ბაკთან არაფერი აქვთ საერთო. აქვეა აღსანიშნავი ძალზე საგულისხმო ტერმინი „გარეწალი“: იგი ხალხურმა მესხურ-ჯავახურმა მეტყველებამ შეგვინახა და წარმოადგენს ხის სარტყელს, რომელიც ქვით სახლის აგების დროს სხვადასხვა სიმაღლეზეა მოვლებული: მაგალითად კართა თავზე, სარკმელებს ქვეშ ან ზევით, სახურავის სიმაღლეზე და სართულშუა გადახურვის ქვეშ. ომამდელ ახალციხის ძველ ნაწილში (რაბათი და ებრაელთა უბანი) ყოველი ბანიანი სახლი, რომელთა შორის ორსართულიანებიც იყო, გარეწალებით იყო განხორციელებული. „გარეწალი“ ესიტყვება გერმ. მაუერლატს.



ზღუდეს ერთი ან რამოდენიმე შესასვლელი უნდა ჰქონოდა. აკად. ი. ჯანა-  
 ხიშვილი დასახელებულ წიგნში აღნიშნავს, რომ „ბჭე“ და „ბჭენი“ შეესიტყვე-  
 ბა რუს. „ერთა“-ს და უმეტესად ნათარგმნ საღვთო ძეგლებში იხმარებოდა. აკა-  
 დემიკოსი მიგვიითითებს 1029 წ. აგებულ ნიმუშზედაც, რომელიც სვეტიცხოვლის  
 გალავნის ბჭეს წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ამ ბჭეს „ქორედიც“ — ლო-  
 ჟიაც აქვს და სრულიადაც არ არის, გასაკვირი, რომ ბჭეს ან შემდგომი ხანის  
 „ალაყაფს“ ზოგჯერ ქორედი ან აივანი ჰქონოდა. შესანიშნავი სვეტიცხოვლის  
 ქორედიანი ბჭე ახლა აღდგენილია (ძეგლთა დაცვის საზოგადოების მიერ), ხში-  
 რად ბჭის მაგიერ იხმარებოდა კარიც; მაგალითად მცხეთას და თბილისს რამდენ-  
 იმე კარი გააჩნდა, რომელთაც ცალკე სახელები ჰქონდა. აღსანიშნავია „დადი-  
 კარი“, რომელიც ბჭეს სინონიმად გვესახება, აგრეთვე ცოტა კარი; საფორტიფი-  
 კაციო მშენებლობაში „ცოტა კარი“ — რუს. „კალიტკა“-ს უნდა უდრიდეს. კა-  
 რი გასასვლელ-შესასვლელს აღნიშნავდა, რომლის დახურვაც იყო საჭირო  
 ფიცრის კონსტრუქციას, რომლითაც კარის დახშვა წარმოებდა, ხალხი ეძახდა და  
 ეძახის აგრეთვე „კარს“. ე. ი. კარი გასასვლელსაც და მის დახშვის მოწყო-  
 ბილობასაც ეწოდებოდა. ამიტომაც, რომ საბა აღნიშნავს „ბჭე ესე არს სახლთა  
 და ტაძართა შესავალი, ხოლო კარი გასაღები და მისაგდებელი“-ა. „ქუსლიანი  
 კარის“ კონსტრუქცია ცალკე მქვს განხილული, მაგრამ აქ შევიჩრდები საგუ-  
 ლისხმო ტერმინზე, რომელიც საბას აქვს მოყვანილი: „ხორში“ და „დანეშტებუ-  
 ლი“ ეწოდების სვეტთა და სვეტთა საშუალოთა ადგილთა ტაძრისათა და მისთა-  
 ნათა“. ცხადია, აქ მოცემულია „ინტერკოლუმნიუმ“-ის ზოგადი გაგება და არა  
 ტექნიკური ტერმინი, რადგან იგი აღნიშნავს სვეტების ღერძებს შორის მანძილს  
 და არა მათ შუა თავისუფალ არეს, როგორც ეს საბას აქვს აღნიშნული. განმარ-  
 ტების ბოლოს მოცემული „და მისთანათა“-ს ქვეშ საგულისხმებელია ყოველი  
 თავისუფალი ადგილი ნაგებობაში, მათ შორის — სადაც გაეღაც შეიძლებოდა.  
 „ხორში“ — რუს. «проём»-ის გაგებით ნახმარია იმ წიგნში (გუდარების გათხ-  
 რები), რომლის რედაქტორიც და თანაავტორიც იყო პროფ. ლ. მუსხელიშვილი,  
 ვინც განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა ქართულ ტერმინოლოგიას.  
 ტერმინ „ხორშის“ ხმარება ადამიანს ანთავისუფლებს ისეთი „ტერმინების“ ხმა-  
 რებისაგან, როგორც არის: „ხვრეტი“, „ნახვრეტი“. „ხვრეტილი“, „ჭრილი“ და  
 სხვა, მით უფრო რომ ძველი ტერმინი „ხვრეტი“, რომელიც „ქართლის ცხოვრე-  
 ბაში“ თამარ მეფის უცნობ ისტორიკოსსა აქვს ნახმარი, სულ სხვა გაგებისაა.  
 ქართველთა მხედრებმა, ქალაქ ზანგანის ალების დროს, „უწინარეს მარჯუენასა  
 მხარსა მესხთა შუბურიტეს ზღუდე — ალიზითა იყო, და უწინ შევიდეს ქალაქ-  
 სა“. შეხვრიტეს ე. ი. გააკეთეს „ხვრეტი“ — რუს. „ბრეშ“-ი. ეს ოპერაცია გან-  
 ხორციელდა მას შემდეგ, რაც „განყვეს თემთა და თემთა ზღუდე ქალაქისა, რათა  
 შეთხარონ და იწყეს თხრად ზღუდეთა“. აქ „შეთხრა“ შეესიტყვება რუს.  
 «подконт»-ს. ეს სატყეა მომდევნო ხანაშიაც იხმარებოდა იმავე გაგებით, მაგალი-  
 თად — შაჰ-თამაზის მიერ გორის ალების დროს.

დაუფრუნდეთ ისევ კარის კონსტრუქციას. ჩვეულებრივ მშენებლობაში კა-  
 რის ხორში მარტივად, ყოველგვარი მოკუთხვის გარეშე კეთდებოდა, რის გამოც  
 საჭირო იყო ხის ნაწილების ისეთი დამუშავება, რომ შინაგანი და გარეგანი ვა-  
 რემო კარგად ყოფილიყო გათიშულ-დახშული, რამაც „ამყოლების“ კონსტრუქ-



ციაში შეყვანა და „ქუდ-ზღურბლის“ ნარიმანდით დამუშავება გამოიწვია. მონუმენტურ და განსაკუთრებით ციხეების მშენებლობაში კარის ხორხს მოკუთვით აგებდნენ. ძველ მწერლობაში გვხვდება ტერმინი „წყითილი“, რუს. „პრიტოლოკა“-ს და „კოსიაც“-ს შეესიტყვება. აღსანიშნავია, რომ ნოქალაქევის ბჰის საურდულე ბუდეები წყითილს 15 სმ-ითაა დაცილებული და აქ ნადგმულე. ხის კარის ფრთა სულ ცოტა 10 სმ-ის სისქისა მაინც უნდა ყოფილიყო. აქვე შევნიშნავ ტერმინ „ურდულის“ შესახებაც, რომელმაც ჩვენამდეც კი მოაღწია; საბას განმარტებით „ურდული“ კართ წასაყარი კეტი“-ა. იგი შეესიტყვება რუს. „ზასოვ“-ს.

მწერლობის ძეგლებში — კოშკი, გოდოლი და პირლო დღევანდელი გაკუბით — კოშკის მნიშვნელობითაა ნახმარი. „გოდოლი“ უშეტესად საღვთო ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება, „პირლო“ კი — ბერძნულის — პირკოსის გავლენით სამონასტრო ცხოვრების აღწერებშია გამოყენებული. საბას განმარტებით „კოშკი წურილი და მაღალი ციხე“ არის. აღსანიშნავია მიქელ მეფევიმეს სამშენებლო მოღვაწეობა, რომელსაც ი. ჯავახიშვილი განიხილავს, ნათქვამია: „დავღვი ხევისა კერძოდ: უკეთესი კოშკი შიგნით და გარეთ უკეთესი სახიზნო ცხევერელთა ჰქონდეს.“ აქ გარეთ და შიგნით კოშკის დადგმა არ განსაზღვრავს ციხის საფორტიფიკაციო სისტემის რაიმე თავისებურებას. როგორც ჩანს, სიტყვბი „შიგნით“ და „გარეთ“ ხევის მიმართ განსაზღვრავენ კოშკების მდებარეობას. ქართულ საფორტიფიკაციო მშენებლობაში კი — გვაქვს მაგალითები, როცა კოშკი ციხის გარეთაც არის აგებული. — მაგალითად უჯარმაში, ლარგვისში, ცხადია, ასეთ შემთხვევაში „გარეთ კოშკის“ ტერმინად ხმარება პირობითი იქნება. საყურადღებოა ტერმინი ბურჯი, რომელიც ხალხშიცაა დარჩენილი. საბას მიხედვით „ბურჯი სხუთა ენაა ქამთაგან მოსული, ვარსკვლავთა ათორმეტთა ზოდიათა უწოდენ და კედლისასა გოდლედი ჰქვიან“. ვარიანტი უმატებს: „რომელ არს დატანებული ზღუდეთა ციხეთასა სიზრქედ სიმაგრისათვის მრგვალად წედგმული აყრდენით“. აქ კონტრფორსის მშენიერი აღწერაა მოცემული. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ბურჯი იხმარება სპარსულშიც, გერმანულშიც.

როგორადაც არ უნდა იყვეს ხალხში დარჩენილი კონტრფორსის ტერმინი და ლექსიკონში შეტანილი განმარტება, სიტყვა ბურჯი ინგლ. „კონტრფორსის“ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. სხვათა შორის ამავე ნიადაგზეა წარმომდგარი ხალხური ტერმინი „ხიდის ბურჯი“ რუს. „ბიკ“-ის მნიშვნელობით.

აქ მოყვანილი მხოლოდ რამდენიმე ტერმინიც კი საშუალებას იძლევა ნაგებობისა და მისი ნაწილების აღწერის დროს მკაფიოდ წარმოვადგინოთ იგი ყოველგვარი ვრცელი განმარტებების გარეშე.



დეკ-ციხე

## დევი ბარქინიშვილი

რ. ჭავჭავიძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანაშრომელი

### ციხეთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი

(დეკ-ციხე, ოფრეთი, ლოქი, ჭაბალა)

ციხე — საქართველოს რელიეფის მშვენება, პირველ რიგში, მაინც მისი ისტორიის განუყოფელი, ორგანული ნაწილია.


თავისი ბუნებრივი პირობების გამო, ჩვენი ქვეყანა ციხეთა განსაკუთრებული სიუხვით ხასიათდება, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო ათას წელს აღემატება.

ქართველი კაცის მარჯვენით შექმნილ ამ მრავალსაუკუნოვან შედეგებში, არა მარტო ციხის ლამაზი, მუქი სილუეტი მოჩანს, ან მისი ამგებების ბუნება, — აქ იხი-



ტება წარსული საზოგადოების ძლიერებაც და შიშიც, იმედი და შემოგარეხე გა-  
 ბატონებით გულდამშვიდება. სპეციალურად გამახვილებული თვალი იმასაც ამ-  
 წნევს, რომ „ციხეში წარმოდგენილია საზოგადოების არა მარტო ტექნიკური გან-  
 ვითარების მომენტები: არა მარტო ქვისა და შურდულის, ან შურისა და  
 შშილდისის, არა მარტო ფილაკევანისა და თოფ-ზარბაზნის ხანა, არა-  
 მედ... თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი განვითარე-  
 ზის სოციალური მომენტები, როდის და ვის ემსახურებოდა ციხე, ვის დაცვას, ვის  
 ბატონობას ან ვის დამონებას ჰგულისხმობდა ეს ნაგებობა“. (ნ. ბერძენიშვილი,  
 საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ. 1964, გვ. 257).

თავდაპირველი საწყისით, ციხე მტრისაგან თავდასაცავი საშუალება იყო,  
 გარეშე და შინაური მტრისაგან. ამიტომ მისი უძველესი, მთავარი პირობა მიუ-  
 ვალობა იყო, ბუნებრივი, თუ ხელოვნურად შექმნილი. ამას გამოა, რომ წინაფეო-



ოფრეთი

დალური ხანის ასეთი ნაგებობანი, ისევე როგორც ადრე და შუაფეოდალური ხა-  
 ნისა, ამ მოთხოვნას ძირითადად აკმაყოფილებს.

უკვე წინაფეოდალური ხანის სიმაგრეებსაც ეტყობათ, რომ მიუვალობის  
 გარდა, მათ შემქმნელებს სტრატეგიულად საინტერესო ადგილები აურჩევიათ:  
 ქედზე გადასასვლელი, გზისპირი, ხეობის ყელი...

ადრეფეოდალური ხანის დასაწყისიდანვე, საქართველოს ტერიტორიაზე  
 უკვებ მრავლდება ცალკეულ ხევებში აღმოცენებული, რელიგიური, ეკონომიურა,  
 თუ პოლიტიკური ცენტრების რიცხვი. ამას თან ახლავს ფეოდალური ხანის ცი-

ხეტა გაქლიერებული მშენებლობა. თითქმის არ რჩება უციხო ხევი, ზოგან კი ის რამოდენიმეა...

უფოდალური განვითარების მთელ სიგრძეზე იგებოდა არაერთი მხალს ციხე; რა თქმა უნდა, ცდილობდნენ უკვე არსებულის შეკეთებას (მაგ. შენახშირნებას, მაგრამ ყოველ დროს თავისი მოთხოვნილება ჰქონდა და ამიტომ ძველი ნაგებობა ნულამ როლი პასუხობდა ახალი დროის შეცვლილ პირობებს (პ. ზაქარაია, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 179). იქმნებოდა ახალი ადმინისტრაციული ერთეული, იცვლებოდა პოლიტიკური სიტუაცია, სოციალური პირობები, გადიოდა ახალი გზა და თუ რომელიმე ამოვანს ძველი ციხე არ ადგებოდა, ის ყრუვდებოდა, შენდებოდა ახალი.

ციხისთვის ადგილის შერჩევას საქართველოში მრავალი მიზეზი განაპირობებდა. ეს იყო რელიეფის, ეკონომიური დარაიონების სხვადასხვაობა, უძველეს ტომთა, თუ ადმინისტრაციულ ერთეულთა განლაგება და სხვ. არა ერთი ძველი ციხე სწორედ ამ ტომთა საზღვრებზე ჩანს. მთისა და ბარის საზღვრალაუც მრავალი ასეთი ნაგებობაა აღმართული, მაგრამ თითქმის ყველგან და ყოველთვის ფეოდალური ხანის ციხე, გზისაგან განუყრელია, მის „კარში“, „ყელში“, თუ უღელტეხილზე დგას.

ადრეფეოდალური ხანის „ხერთვისებში“ (ორი მდინარის შესაყარში) აკვებული ციხეები მარტო იმიტომ კი არ შენდებოდა აქ, რომ ორი მხრიდან მდინარით იყო მოზღუდულ-მიუვალაი, არამედ იმიტომაც, რომ ამ ორ მდინარეს ორი გზა მოყვებოდა, ე. ი. აქ გზასაყარაც იყო (ხერთვისი, სამშვილდე, დმანისი, ლორე და სხვ.).

თუნდ ეს „ხერთვისიც“ ადრეფეოდალური ეპოქის აღმოჩენა როდია: თვით ბეშთაშენის, „ციკლოპური“ ნაგებობანი ენეოლითური ხანისა, სწორედ ასეთ „ხერთვისშია“ აგებული, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო მოგვიანო ხანის „შესაყარზე“ ზურტაკეტში (ასე ჰქვია მას ვახუშტის რუკაზე), ან ლოქის წყალ-ფოლადურის „ჩათახ“-ში (თურქულენოვან მოსახლეობაში „ხერთვისს“ ნიშნავს), სადაც გვიანბრინჯაო — ადრერკინის ხანის სიმაგრეა დამოწმებული (დ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, თბ. 1964, გვ. 6).

თრიალეთიდან წამოსულ ხევებს გაგაყოლოთ თვალი და ვნახავთ, რომ ყოველი ხეობით მიმავალ გზას, ზეგანზე ასვლისას, ძველი ციხეები ჰკეტავს: ასეთებია დეკ-ციხე-თემის ზემო წელზე, ცხირეთი და კლდეკარი, კავთის ციხე (კავთურას ხეობა), მუსის ციხე (მაშავერი), მოდა მნახე, კლდისი (ქცია) და სხვები.


სწორედ თრიალეთის ზეგანზე, მანგლისის ხეობით მიმავალ გზებზეა გოხნარისა და ბედენის წინაფეოდალური ხანის ლოდოვანებიც...

როგორც ვხედავთ, ყოველი დროის მნიშვნელოვან გზას ციხე ახლავს. მაგრამ ფეოდალურ ხანაში ეგ უბრალო დამთხვევა კი არ იყო, არამედ იმ სოციალური ვითარების ანარეკლი, რომელიც ქვეყნის შიგნით მომხდარ ძვრებს განაპირობებდა. „საერთოდ, ციხე, ეს პოლიტიკური (და სოციალური) ბატონობის საშუალება (და ნიშანი) არა მარტო გზის ყელზე იდგა, არამედ გზას თავისაკენ ეწეოდა: ამა თუ იმ ციხის „შემავალ“ ქვეყანაში გამგლედი, რასაკვირველია, გვერდს ვერ

აუქცევდა ამ ციხეს, ხოლო მთელი საქართველო ხომ გარკვეულ დროს ასეთ საცახისთავო ტერიტორიული ერთეულებისაგან შედგებოდა". (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაწრ. გვ. 326).

ადრე და შუაფეოდალური ხანის საქართველოს ციხეთა უმრავლესობას აქვდა ვერა მეტ-ნაკლები სიდიდის სოფელი. აქ ცხოვრობდა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ციხეში მჯდარი ფეოდალის, მისი ამაღლისა, თუ ციხის ყოველ პირველ საჭიროებას აკმაყოფილებდა სურსათ-სანოვაგით, ციხეზე მუშაობით, თუ სამხედრო ძალით. ასეთ დასახლებებს „ციხის სოფლები“ ერქვათ. აქედან შემოვიდა შემდეგ, ქართულ ტოპონიმოკაში გავრცელებული სოფლის სახელიც — „ციხის-ბირი“.

ფეოდალურ საზოგადოებაში, ციხის აგება უსათუოდ ნიშნავდა გარკვეული „ქვეყნის“ დაპატრონებას, იქ მცხოვრებლებზე გაბატონებას. ამის მოწმობაა „ქართლის ცხოვრების“ ჩვენებანი პირველ ქართლოსიან მეფეებზე, რომელთაგან თითქმის ყველა ციხისა, თუ ციხე-ქალაქის აგებით იწყებს თავის მოღვაწეობას. (ქართლის ცხოვრება, I, 1955, თბ. გვ. 8—9).




ლოქი

„ძველი ერისთავთა“-ს მიხედვით, დვალთა მიერ მოწვეულმა როსტომ ბიბილურმა, მოსვლისთანავე ციხის შენება იწყო. ეს არ მოეწონათ ადგილობრივებს: მათ კაცი სურდათ, რომელაც პატივით იპყრობდა მოსახლეობას და არა მძლავრობით, ციხის აგებით კი, როსტომი უმოკლეს ხანში, დაეუფლება ჩვენს ქვეყანასო. (ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ. 1966, გვ. 102).

მიწებს, რომლებზედაც ციხე გაბატონდებოდა, ციხის „შესავალი ქვეყანა“, ეწოდებოდა: ციხის გამგებელს — ციხისთავი ერქვა, რომელიც საციხისთავოში წემოსულ სოფლებსაც განაგებდა. აქაურ მოსახლეობას ყოველგვარი სათხოვარი, ამ ციხისა, თუ მისი „უფლისადმი“ მოეთხოვებოდა, „სამსახურებელი ციხეთაი“ სრულდებოდა მუშაობით, გადაიხდებოდა ნატურით...

საციხისთავო ტერიტორიული ერთეული სხვადასხვაგვარი იყო. იგი ზოგჯერ ხეობის ნაწილს მოიცავდა, ზოგჯერ — მთელ ხეობას, ზოგან კი, ერთი ხეობის საზღვრებსაც სცილდებოდა. ეს დამოკიდებული იყო არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოზე, არამედ ეკონომურ-გეოგრაფიულზედაც. შესაძლოა, რომელიმე ხევს არ ჰქონოდა საზღვხულო საძოვარი, ან სარწყავი წყალი, ან გზა სხვა „ქვეყნებთან“ დასაკავშირებლად, ან ტყე, ან სახიზარი... ამათ მოსაპოვებლად, ამ ხეობის მოსახლეობა მეზობელ ხევეებს მიმართავდა — მათი საძოვრით, წყლით, გზით ისარგებლებდა... ასეთ შემთხვევაში პირველი ხევის სოფლებს, მე-



ქაპალა

ზობელი ხევის ციხისა, თუ მისი „უფლის“ სათხოვარი შეეწერებოდათ. ჩამოთვალა, და სხვა ფაქტორთა, მუდმივი დანაკლისი იწვევდა იმას, რომ ორი ეს მეზობელი ხევი, შესაძლოა, ერთ საციხისთავოში გაერთიანებულყო. მაგ. ატენის ციხის სათხოვარი, ხოვლის ხეობის სოფლებს რომ აწერიათ, მოწმობს, რომ ეს ხევიც ატენის ციხის „შესავალი ქვეყანა“ — სწორედ ზემოჩამოთვლილ საშუალებათა ნაკლებობის გამო. (დ. ბერძენიშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა XIII სამეცნიერო კონფერენცია, თბ. 1962, გვ. 27).

უკვე ადრეგეოდალურსავე ხანაში, ციხისთავი თავისი მდგომარეობით ძალიან დაწინაურებული ჩანს. იგი საუკეთესო მამულებს ფლობს და ერთ-ერთი

პირველთაგანია ირგვლივ მყოფ დიდებულთა და აზნაურთა შორის. „ძველი ერისთავთა“ მოგვითხრობს, რომ ცხრაზმისხვევლი შეპირდნენ როსტომ ბებრ-ლურს ყოველი სურვილის შესრულებას. სხვა პატივთან ერთად მას მოუფიქრებდა „შუა ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუეყანანი“, მერტყვი<sup>1</sup> ცო<sup>2</sup> ხის შენებას შესდგომია. (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 103).

ციხისთავის მდგომარეობა ფეოდალური ხანის მთელ სივრცეზე, რა თქმა უნდა, ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ადრეფეოდალურ ხანაში ქალაქის ციხისთავი ამავე დროს ქალაქის თავიც იყო, მოქალაქეთა ბჭე და მანჯავებელი. „ევსტათი მცხეთელის მარტილოზა“-ში, მცხეთელი ხელოსნებია აქაურ ციხისთავს ეუბნებიან: „ამას ქალაქსა შინა ჳელმწიფე ხარ“... (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ. 1964, გვ. 31) მაგრამ ასე არ იყო მუდამ. მაგალითად XI ს-ში, ატენის ციხისთავი გორგანელ, მეფის მოხელე ერისთავის — მირიან თარხონის ძის ყმაა, თუმცა მასთან ერთად მონაწილეობს ატენის ქალაქის აშენებაში.

ციხისთავს პირადად ექვემდებარებოდნენ „ციხოვანნი“ — ე. ი. ციხის მცველნი. შუაფეოდალურ ხანაში, როგორც საერისთავო სარგო იყო დაწესებული, ისევე „საციხისთავო“ გადასახადი არსებობდა — საგანგებოდ ციხისთავისთვის. (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, ქთს. 1919, გვ. 208).

თანდათან ციხისთავის უფლება-მოვალეობანი იცვლებოდა და XVI ს-ში იხსენიება „ქუთაისისა ციხისთავთ-ციხისთავი“. (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 189).

ციხეები ისევე, როგორც მათი „შესავალი ქვეყნებიც“, მეტ-ნაკლები სიდიდისა და მნიშვნელობისა იყო. სხვადასხვა დროს თავისი სტრატეგიული მდებარეობით და სიძლიერით, რომელიმე მათგანი მეტ გავლენას იხვეჭდა და ბატონდებოდა სხვებზე. ეს ბუნებრივად იწვევდა იმას, რომ აღებული მხარის უპნიშვნელოვანეს ციხეს, უფრო ძლიერი ხელისუფალი ეპატრონებოდა, რომელიც დაქვემდებარებულ ციხეებში მჯდომ ციხისთავებს განაგებდა. ასეთი ციხეები იყო ქვემო ქართლში — სამშვილდე, კახეთში — ბოჭორმა, შიდა ქართლში — უფლისციხე, აფხაზეთში — ანაკოფია... ამიტომაცაა რომ სამშვილდესა და ბოჭორმას წყაროები უწოდებენ კიდევ „დედა-ციხე“-საც, „უფლისციხე“-თავისთავად მეტკველია, „მატიანე ქართლისას“ ცნობით კი, ანაკოფია ყოფილა „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“; ქსნის ხეობაშიც ყოფილა „თავადი ციხე ქვენიფნეც“. (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 115).

ერთი მაგალითი ნათქვამის საილუსტრაციოდ: დავითის ისტორიკოსი აკვიწერს, რომ მთელი ქვემო ქართლი თურქებს ეპყრათ, აქაურ ყველა ციხეში თურქები იღვნენ. 1110 წ. ქართველებმა მოულოდნელად სამშვილდე აიღეს. „ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი... დაუტყვენეს და ღაპით ნოტ იქნეს“, მიატოვეს ყველაფერი და გაიქცნენო. (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331-2) ეს იმიტომ, რომ სამშვილდე იყო ქვემო ქართლის უპლიერესი ციხე და აქვე უნდა მჯდარიყო თურქების მხედართუფროსიც.

უფრო ადრე — XI ს-ში, როცა ქვემო ქართლი მისი ციხეებით სომხებს ეჭირათ და სამშვილდეში ტაშირელი კვირიკიანი მეფე იჯდა, ბაგრატ IV-სათვის საკმარისი ვახდა სამშვილდის აღება, რომ სომხები მაშინვე დანებებულიყვნენ. (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 307).

საქართველოს მრავალრიცხოვან ციხეებს აგებულების დიდი სხვადასხვაობა ახასიათებს; ეს ძირითადად მათი დანიშნულების მრავალგვარობით აიხსნება. ახლა ამას ემატება კიდევ ცალკეულ მხარეთა თავისებურებანი, მშენებლობის ტრადიციები, რომელიც მხოლოდ იქაა და სხვაგან არ გვხვდება, კონსტრუქციის მარჯვნივ თავის კვალს სტოვებს... მიუხედავად ამისა, ციხეთა აღნაგობაზე მსჯელობით, ცალკეული ტიპების გამოყოფით, ფეოდალური ქვეყნის სხვადასხვა ეპოქას ვეღვაზე დამახასიათებელ საკითხებს ვადგებით.

შემსწრელია მაგალითად, რომ ადრე და შუაფეოდალური ხანის ციხეთა უპირველესობა საქართველოში, აგებულია მაღალ მთასა, ან ციცაბო კლდეზე, სადაც უადგილობის გამო, შედარებით მცირე ფართობია მოზღუდული; სამაგეროდ, ნაგებობა სიმაღლეშია წასული; ის ხანგრძლივ ცხოვრებასაც გულისხმობს.

სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაა გვიანფეოდალურ ხანაში, როდესაც ციხეებიცა და გალავნებიც იგება ადვილად მისასვლელ ადგილებში; თან ისეთი მოცულობისა, რომელიც თავისუფლად დაიტევდა ირგვლივ მყოფ მთელ მოსახლეობას მტრის შემოსევის დროს. (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 41-2; პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრ. გვ. 175).

ესაა ყველაზე თვალში ხაყვამი და თან პრინციპული განსხვავება, რომელსაც ფეოდალური ეპოქის სხვადასხვა პერიოდები ქმნის.

რაკი ციხე გარკვეულ ქვეყანაზე ბატონობდა და იქ იჯდა მისი „უფალი“, ამიტომ მტრისთვის (შინაური, გარეული), რომელსაც ამ ერთეულის დაპყრობა სურდა, აუცილებელი იყო. პირველ ყოვლისა, ციხე და იქ შეფარებული ფეოდალი ჩაეგდო ხელში. სანამ ეს უკანასკნელი უვნებლად იჯდა თავის სიმაგრეში, თუნდაც ქვეყანა მტერს აეკლო, აქაური მოსახლეობა სხვა არავის სცნობდა ბატონად, მას არ შეეძლო ორი ბატონის ყმობა. მხოლოდ მისი „უფლის“ დამარცხება — შეპყრობის მერე ემორჩილება მტერს ამა თუ იმ „ციხის შესავალი ქვეყნის“ მოსახლეობა, ემორჩილება იმას, ვინც მის ციხეში დამკვიდრდება.

ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ ციხე სულ უფრო მიუყვალ ადგილზე; შენდება, ეგუება ადგილის სიფიწროვებს, სადაც ვეღარ მოთავსდება მისი დაცვის ყველა მსურველი, ე. ი. მათი საჭიროება ამ შემთხვევაში აღარაა, მთავარია ციხის მფლობელი და მისი უახლოესი წრე იყოს უვნებელი. ციხის გარეთ დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი იხიზნება დარან-გამოქვაბულებში, მიაშურებს ტყეს და მთას...

იგივე ითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით მისი ერთიანობის ხანაში, როდესაც მტერი ცენტრალურ ხელისუფლებას ებრძვის უმეტესწილად ხარკისა და პოლიტიკური გავლენისათვის.

გვიანფეოდალურ ხანაში საქართველო ერთიანი აღარაა ცალკე საყვოდალო ქვეყნებად დანაწილებულს თავდასაცავი საშუალებანიც განსხვავებული უხდება. ყოველი მხრიდან მტერია მომდგარი, რომელიც თითქმის განუწყვეტლავ ესხმის თავს. ამას ემატება ლეგიონობაც... ეს ისეთი დროა, როცა მოთარეშე მტერი ნოოლოდნელად ხან აქ გაჩნდება, ხან იქ. რაკი ცენტრალური ხელისუფლება სუსტაა, მტრის მიზანია ახლა რაც შეიძლება მეტი ნადავლი, მოსახლეობის მასიური გადასახლება, თუ ტყვეთა სყიდვა. ახლა ამა თუ იმ ქვეყნის პატრონიან შეპყრობა მტრისთვის უპირველესი მიზანი აღარაა.

ყველა ზემოთქმული ქმნის იმის პირობებს, რომ ფეოდალები თავის ციხე-დარბაზებს დასახლებულ ადგილებში აგებენ, თან მოსახლეობას, რომლის ფიზიკური მოსაბოზის საკითხი დგას, ეხმარებიან გალავნების მშენებლობაში, სადაც სწრაფად იხიზნება არა მარტო მთელი ხალხი, არამედ მათი ქონებაც (ვ. ცინცაძე, საქართველოს ისტორიული ძეგლები, ტ. 1, გვ. 175).

საინტერესოა, რომ ადრეფეოდალური ხანის ციხეთა მშენებლობაში, აღწერილს გარდა შეინიშნება სხვა ტიპიც: ესაა მოზრდილი ციხეები, რომელთაც შედარებით ფართე ტერიტორია უჭირავთ. რა თქმა უნდა, თუ იყო ამის საშუალება, არჩევდნენ შეძლებისდაგვარად მიუვალ ადგილს, ზოგან კი, განსაკუთრებით წინშენელოვან ბუნქტებში (გზასაყარი და სხვა). ციხის მოუკალობას კვლევითა სისქით და მის დამცველთა მომატებული რიცხვით სცვლიდნენ. ამ ციხეებში აქტიურად გამოიყოფა ციტადელი, რომელსაც გაბატონებული ადგილი უჭირავს და გალავანი, კოშკებით, ან ბურჯებით გამაგრებული, რომელიც ზღუდავს სამეურნეო, თუ საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსს. ხშირად აქვეა პატარა ეკლესიაც. ამგვარაა, რომ აქ საქმე გვაქვს რეზიდენციასთან რომელიმე ქვეყნის „უფლისა“, რომელსაც შედარებით მრავალრიცხოვანი მსახურნი და „ერი“ ჰყავდა. მშვიდობიანობის დროს არაა აუცილებელი ყველამ იქ იცხოვროს, უმთავრესად დროს კი, აქ მოსახლე ფეოდალთან, მის გალავანს აფარებენ თავს სხვებიც.

შესანიშნავია ამ მხრივ ცხირეთის ციხის (თქმის ხეობაში) აგების ამბავი, ლეოდალის მიერ პირველ პირში მოთხრობილი: „დაუწყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა გება, დაედგი ჯევისი კერძოდ უკეთესი კოშკი შიგნით; და გარეთ უკეთესი სახიზნო ცხევერელთა ჰქონდეს.

დავიდევ ერთი დღე ანეული ციხისა ბეგარი, ერთი დღე სამკალი, ერთი დღე საღვწავი“. (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 4).

აქედან კარგად ჩანს ციხის შემადგენელი ნაწილები — კოშკი და სახიზნო. კოშკი ხანგრძლივ საცხოვრებელია, სახიზნო — დროებითი. ამ ციხის გეგმარება ტიპურადაა მიჩნეული IX—X საუკუნეთათვის. (ვ. ცინცაძე, ქართული ხელოვნება, 4, 1955).

აღნიშნული პერიოდის ასეთი ციხეების გათვალისწინებით უნდა ვიფიქროთ, რომ ადრეფეოდალურ ხანაში, საქართველოს ზოგიერთ სოფელს ფეოდალის რეზიდენციასთან ჰქონია სახიზნო, არაა აუცილებელი, რომ გვიანფეოდალური ციხე-გალავნების მსგავსად, აქ დახიზნულიყო ადრეფეოდალური ხანის მთელი მოსახლეობა. ამას არ მოწმობს ამ ძველ ციხეთა არც რაოდენობა და არც ზომები.

დავვარჩენია ვიფიქროთ, რომ ამ ნაგებობათა დიდ ფართობს განსაზღვრავდა ფეოდალის „კარას ერმარელობა“, რომელიც ანაზღაურებდა მიუვალობის დანაკლისს.

საქართველოს ერთიანობა-ძლიერების ხანაში, ზემოთ აღწერილი ტიპის ციხეთა განვითარებამ, ზოგ შემთხვევაში მოგვცა ნამდვილი ფეოდალური ციხე-დარბაზი (ვ. ცინცაძე, იქვე) ზოგან კი ის, ძველებურად, ციხე-კოშკად დარჩა.

ახლა ორიოდ სიტყვა ნაკლებად ცნობილ ზოგიერთ ციხეზე, რომლებიც ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების შედეგად აღმოჩნდა.

სახელი დეკაციხე პირველად ტომონიმიკის ჩაწერის დროს გავიგონეთ, თქმის ზემო წელის დაზვერვებისას; მთაბო — გვითხრეს. თრიალეთის ერთ-ერთი კლდოვანი მწვერვალი, თითქმის სრულად გამოყოფილი, მნიშვნელოვნად

შემოჭრილა თემის ხეობის მარჯვენა სანაპიროზე. თხემზე რე-  
ლიეფთან შეგუებით, ოთხკუთხა ციხე აღმართულა. მის მიერ მოზღუდული ფარ-  
თობა დაახლოებით 20 მ X 25 მ. აქაა ერთი კოშკის ნანგრევები, მოჩანს დონე,  
ამოუშენებიათ წყლის 3 რეზერვუარი და ამოულესიათ. ნაგებობა ნაგებობა დაგვი-  
ლობრივი კლდის ქვით, შეძლებისდაგვარად თარაზული წყობაა დაყული. თხე-  
ზე მისასვლელი ყოველი შესაძლებლობა გადაღობილია ცალკეული კედლებით,  
ცხადია, ამ ციხის მთავარი ძალა — მეტისმეტი მიუვალობაა.

მთის ძირში დიდი ნასოფლარია, დარბაზული საყდრის მოზრდილი ნანგრე-  
ვით. ეს საინტერესო კომპლექსი, ჩამოზეავებულ მჭაშაშია სანახევროდ ჩაე-  
ლული.

აქვე ადის თრიალეთს მიმავალი გზა (მით სარგებლობენ დღესაც) ტანის-  
ხეიდან, თემისხეიდან. მის მნიშვნელობაზე ნათლად მეტყველებს ნახიდურე-  
ზი თემამზე და აქაური ტობონიმიცაც; საგანეთი, ნადარბაზევა, ბოგირი...

დეკ-ციხე არ იცის არც ერთმა ქართულმა წყარომ. ვახუშტი ამ ადგილას ახ-  
სენებს დედა-ციხეს, რომლის აღწერა სწორედ ჩვენს მიერ აღმოჩენილს ემთხვევა.  
ესევე — დედა-ციხე ... სრულებითაც არაა გამორიცხული აქაც ისეთივე ზედწოდე-  
ბასთან ვეჭონდეს საქმე, როგორც სამშვილდისა და ბოჭორმის შემთხვევებში.  
ეყო კი ავი ამ მნიშვნელობის ციხე? — ჩანს იყო.

V! ს-ის სომხური გეოგრაფია, რომელიც თანმცემვერულად ჩამოივლის სა-  
ქართველოს ტერიტორიალურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს, ასახელებს „ტა-  
ნისხევს, რომლის თავშია დეკი-ციხე“. ტანისხევში აქ იგულისხმება თემამ —  
ატენის ხეობანი და მათ შორის მყოფი ტერიტორია.

გამოდის — VII ს-ში (თუ უფრო ადრეც არა), დეკ-ციხე ისეთი მნიშვნელო-  
ბისაა, რომ მისი ხსენება საჭიროდ უცხნია სომეხ გეოგრაფს (ასეთი შემთხვევა  
მასთან კიდევ ორია).

ცნობილია შიდა ქართლისათვის თრიალეთის სასიცოცხლო მნიშვნელობა:  
ესაა მისი აუცილებელი საზაფხულო საძოვარი, ესაა მთავარი გზასაყარი, საი-  
დანაც წახვალ ყოველი მიმართულებით. სწორედ თრიალეთს მიმავალ, ერთ-  
ერთ უმოკლეს გზას კეტავს დეკ-ციხეც. იგი კლდე-კარის მნიშვნელობის ციხეა,  
ოღონდ სომხურ გეოგრაფიაში ნახსენები ერთეულის — ტანისხევის — უფლის  
საგამგეოა, რომლის მეშვეობითაც ეს ბარელი ფეოდალი თრიალეთსაც უწევს  
კონტროლს.

IX ს-ში კლდეკარის აგებით ლიბარტი თრიალეთის ერისთავი ხდება. ამის  
მერე ეცემა სწორედ დეკ-ციხის მნიშვნელობაც. იგი ყრუდება სამუდამოდ (აქ  
სხვა საამშენებლო ფენა აღარ ჩანს) და ახლა უკვე ბალეაშები იმორჩილებენ ტა-  
ნისხევსაც.

ო ფ რ ე თ ი. დეკ-ციხისაგან განსხვავებით, ოფრეთის ციხე ადრეფეოდა-  
ლური ხანის ციხეთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც შედარებით ადვილმისად-  
გომია, სამაგიეროდ, აქ დიდა ფართობია მოზღუდული ძლიერი კედლებით, რომ-  
ლებშიც მრგვალი კოშკებია დატანებული. ზღუდის შიგნით არის ნაგებობათა  
მთელი კომპლექსი. აქვეა ადრეფეოდალური ხანის პატარა ეკლესია ნაღისებუ-  
რი აღსილით. ციხე ნაგებია საშუალო ზომის კვადრების თარაზული წყო-  
ბით, კირხსნარზე.





ციხე მდებარეობს შულავერის ხევის ზემო წელში, მის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ოფრეთის SO მხარეს, ადგილობრივნი ჩახლა-ბერდს უძახიან. თავისი გეგმით, აღნაგობით, ესაა ნამდვილი რეზიდენცია, ხანგრძლივად სადგომი აქაური ფეოდალისა. იგი უჭკველია ციტადელში ცხოვრობდა, რომელიც ამჟამად დომინირებს ციხის სხვა ნაწილებზე. ციხის გარეთ ნასოფლარია ხევის პირზე, რომლის სუფთა წყალს ალბათ სასმელად ხმარობდნენ მეცხოვრენი.

ოფრეთის ციხეც გზასაყარზე დგას. აქ იკრიბება წოფის, შულავერის, ტალავრის, მანხუტის ხევიებიდან ამოსული გზები, მათ უერთდება ფოლადაურის ხეობაში გარდამავალი გზაც, საიდანაც შემდეგ, „მგლის კარის“ უღელტეხილით გადახვალთ; ტაშირში. ე. ი. ესაა სტრატეგიულად ძალიან ხელსაყრელი პუნქტი, რომელსაც ადრევე მიუტკცევია ყურადღება. აქვე მახლობლად არის ცნობილი მონასტერი ხორაკერტისა.

ოფრეთის ციხეს, ყველაზე პირველად ახსენებს სომეხი ისტორიკოსი X ს-ისა უხტანესი. მისი აზრით, ამ ციხეში იყო დამწყვედელი შუშანიკ დედოფალი, V ს-ის ქართლის პიტიახშის — ვარსკენის მეუღლე. ჩანს X ს-ში, ეს იმდენად განთქმული ციხე ყოფილა, რომ შუშანიკთან მის დაკავშირებას, ავტორს მამოძღვლი შკითხველი დაუჯერებდა. აქვე ჩანს უხტანესის წარმოდგენა ციხის სწოვნებაზე...

შემდეგ ოფრეთის ციხეს ასახელებს „მატიანე ქართლისა“ XI ს-ის ამბებთან დაკავშირებით. იგი ეუბრა სომეხთა მეფის — კვირიკეს ძმას, სუმბატს. როდესაც ზაგრატ IV-მ ორივე ძმა შეიპყრო, განთავისუფლების საფასურად ისინი სხვა ციხეებთან ერთად ოფრეთსაც სთავაზობენ ქართველთა მეფეს.

გვიანფეოდალური ხანის ნაკვალები ამ ციხეს არ ეტყობა და არც ამ ხანის წყაროებში ვხვდებთ მისი ხსენება.

ლოქის ციხე. ამავე სახელწოდების ქედზეა აღმართული. ეს ქედი ლალვარის მთის ვაგრძელებაა და ტაშირს გამოყოფს დმანისის ხევისაგან. იგი საკმაოდ მაღალია და კარგ ამინდში ძალიან შორიდანაც თავისუფლად მოჩანს ქედზე მექექივით წამოზრდილი კლდოვანი ბორცვი. ის ყოველი მხრიდან მიღვალა და კლდის ნაპრალები კედლებითაა ამოვსებული. ბუნებრივი მიუვალობა აქ კარგად გამოუყენებიათ: თხემს ყველგან არც აქვს კედელი. იგი იქ ამოუყვანიათ, საიდანაც უფრო ადვილი ყოფილა მიდგომა. N კედელთან სამი, თუ ოთხი კოშკი ამოუშენებიათ ოთხკუთხა ფორმისა. ციხეში შემოსასვლელთან პატარა ეკლესიაა, რომელშიც ადრეფეოდალური სტელოს ნატეხი დატოვებული ზედ „ბოლნური მედალიონით“. ციხე ნაგებია მოყვითალო ადგილობრივი კლდის თანაბარი, კვადრებით კირზე, დაცულია პორიზონტალური წყობა.

თავისი მდებარეობით იგი ძალიან წააგავს კლდე-კარის ციხეს. აქვე მართლაც კლდეკარია გაქრილი, რომლითაც ტაშირში გადადის გზა. ამ უღელტეხილზე მოდის გზები მაშაფრისა და ფოლადაურის მდინარეთა აუზებიდან. კლდეკარის ციხეს წააგავს იგი იმიტაც, რომ ის ზეგანის ბატონის ციხეა, ტაშირის მფლობელისა. შემოსასვლელიც იმ მხრიდან აქვს და გადმოსცქერის ბოლნის-დმანისის ხეობებს. კარგ ამინდში აქედან მარნეულიც კი მოჩანს.

ლოქას ციხე იხსენიება „მატიანე ქართლისა“-ს ზემოხსენებულ ამბებში. XI ს-ში, როცა ქვემო ქართლი სომეხებს ეკავათ, აქ იჯდა სომეხთა მეფის ერისთავი. იგი უნდა ყოფილიყო მბრძანებელი ამ ქედისა და მისგან ჩამოსული ხევი.



ბის ზემო წელი საც. ასეთი საბრძანებელი ერთეული შესაძლოა ადრეუც ყოფილიყო, ამას გვაფიქრებინებს გვიანფეოდალური ხანის საბუთები დამოწმებული ფაქტები, სადაც ჩანს ტერიტორიული ერთეული ლოქი, თავისი სოფლებით.

ადრეფეოდალური ხანის ეს ციხე გვიან აღარსად ფიგურირებს. ყველა აღწერილი ციხისაგან განსხვავებით, ჭაპალა XVIII ს-შიც მოქმედი ციხეა. იგი მაშაერის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს სოფ. გორულისთან, იქ სადაც იწყება მაშავერ-ქციის გაშლილი ველი. ყოველმხრივ იზოლირებულ, კლდოვან დიდ ბორცვზე აუშენებიათ ის, თან მაქსიმალურად გამოუყენებიათ თხემის საკმაოდ ვრცელი ფართობი. ყველაზე მაღალ ადგილას ციტადელია, ბურჯებითა და კოშკებით გამაგრებული გალავნის შიგნით, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები ჩანს. კლდეში სამი უზარმაზარი ორმოა ამოჭრილი წყლის შენახვად.

ციხის კედლების წყობა, ძალიან წააგავს თბილისის ნარიყალას კედლებს, რომელიც შუაფეოდალურ ხანას განეკუთვნება. ესაა „ფარდაგულად“ ნაგები ქვისა და აგურის ნარევი ბათქაშზე.

ანაკრფე მასალაში, უმეტესად შუაფეოდალური ხანის მოქიქული კურქლის ნატეხები გვხვდება, მაგრამ არის უფრო ძველი ფრაგმენტებიც.

ციხის NW მხარეს ძალიან დიდი ნასოფლარია სამი ეკლესიის ნაშთით.

ჭაპალას იხსენიებს ვახუშტი, გიულდენშტედტი, სეზნია ჩხეიძე... ქართული საბუთების მიხედვით იგი სოლოლაშვილების სამკვიდროა. ამ საბუთებით ჩანს, რომ ჭაპალაში ყოფილა ციხე, სასახლე, წისქვილი, ვენახი, ქვევრ-მარანი. ციხის მნიშვნელობას ზრდიდა აქ გამავალი გზები, ამ მხრივ აღსანიშნავია ხიდები მაშავერზე, რომლებიც სწორედ ციხის მიდამოებში გვხვდება.

სახელწოდება „ჭაპალა“ გვიანდელია, ციხე კი აქ შუაფეოდალურ ხანაში (შეიძლება ადრეფეოდალურშიც) დგას. ე. ი. მას ადრე სხვა სახელი ჰქონია. ირკვევა, რომ ესაა ქართულ და სომხურ წყაროებში კარგად ცნობილი ქაოზიანი-ქაეაზინი, სამეფო ციხე, რომელიც შემდეგ ვარამ გაგელის გამგებლობაში შევიდა. (დ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული II).

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქვე იყო ცურტავი, ქართლის პიტიახშის სადგომი რეზიდენცია. „შუშანიკის მარტივობა“-იდან ჩანს, რომ ცურტავში ყოფილა პიტიახშის სასახლე, ციხე, იქვე ნიშანდობლივ ნახსენებია „ციხის ხიდი“, ციხეში „სახლკარი ერთი ჩრდილოით კერძო, მცირე და ბნელი“, სადაც დაუმწყვდევიან პიტიახშის მუხლზე შუშანიკი...

ამგვარს, და კიდევ უფრო ბევრ საინტერესო საკითხს აყენებს საქართველოს, კერძოდ კი, ქვემო ქართლის ციხეები, რომელთა გათხრა და შესწავლა ჩვენი ისტორიის არა ერთ ბრწყინვალე ეპიზოდს აამეტყველებს.

## მცხეთის ძველი ისტორიული ხიდი მდ. მტკვარზე

მცხეთის ძველი ხიდის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიასთან.

დიდი ისტორიული ამბების მოწმეა იგი — მასზე გადაუვლიათ რომაელთა ლეგიონებს, ბიზანტიისა და არაბთა სამხედრო ნაწილებს. მას გაუძლია მონღოლთა, ოსმალთა, სპარსთა და ლეკთა შემოსევებისათვის.

მცხეთის ხიდთან იყრიდა თავს და მასზე გადადიოდა ამიერკავკასიის მთავარი საგზაო მაგისტრალები: დარიალის ხეობიდან საქართველოს სამხრეთ საზღვრებისაკენ, შავი ზღვიდან ვიდრე კასპიის ზღვის სანაპიროებამდე.

სამწუხაროდ, დღეს ამ ხიდის ძველი ნაწილები ზაპესის საგუბრის წყლით არის დაფარული. ჩვენს ხელთაა მხოლოდ მცირეოდენი წერილობითი ცნობები და რამდენიმე ძველი ჩანახატი.

ამ ხიდს იხსენიებენ ანტიკური დროის ისტორიკოსები: აპიანე (ჩვ. წ. აღ. II ს) დიონ-კასიოსი (ჩვ. წ. ა. II—III სს) — სომეხი ისტორიკოსის — მოსე ხორენელი (V ს) და სხვები.

რომაულ ისტორიკოსების ერთი ცნობიდან ჩანს, რომ მცხეთაში ხიდი პომპეუსის გამოჩენამდე ყოფილა. მეორე კი — გვატყობინებს, რომ მცხეთის ხიდი აგებული იყო პომპეუსის მიერ — ამგვარად, ეს საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლი და დასადგენია.

მეტად საგულისხმო ცნობას მცხეთის ხიდის შესახებ იძლევა XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი. იგი წერს: „ხოლო ვახტანგ განაფართა იი-დი მოგუეთისა ვითარ სამოცი მხარი ქცევისათვის მას ზედა სპათასა“. („ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბილისი, 1955 წ. გვ. 180).

სიტყვას „განაფართა“ ავტორი იყენებს როგორც ძველად არსებული ხიდის გაგრძელების — გადაკეთების მაჩვენებელს. ე. ი. ახალი ხიდი კი არ აუშენებიათ, ძველის რეკონსტრუქცია ჩატარებიათ. წინათ აქ არსებული ერთ-მალთან 20 მ სიგრძის ხის ხიდს ორივე მხარეს ჰქონია დახშული მისასვლელები, რომლებიც აბრკოლებდნენ ხიდის ქვეშ წყლის მსვლელობას.

ხის მალს თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. მტრის მოახლოებისას შეეძლოთ იგი ჩაეშალათ და გზა გადაეღობათ მომხდურისათვის.

ვახტანგ გორგასალმა V ს-ში ეს მთლიანი მისასვლელები გადააკეთა, მან შეგ ჩაურთო თაღოვანი სარკმელები: მარცხენა სანაპიროსთან — ხუთი, მარჯვენასთან — სამი. წყალდიდობის დროს ისინი გაატარებდნენ მტკვრის მთელ მოწოლილ წყალს. ამრიგად, 20 მეტრიანი ხის მალი გაფართოებული იქნა 50 მხარით, ანუ 100—120 მ-ით. ეს მაჩვენებელი ნამდვილად შეესაბამებოდა მდინარის აქ არსებულ კალაპოტს.


ვფიქრობთ, რომ ასე მოაწესრიგა V ს. ბოლოს მეფე ვახტანგ გორგასალმა წყალდიდობის დროს ვიწრო ადგილზე მდ. მტკვრის რეგულირების მეტად რთული საკითხი.

მცხეთის, ანუ როგორც მაშინ ეძახდნენ, მოგვთა ხილმა, ამ სახით იარსება 13,5 საუკუნე.

მცხეთის ძველი ხიდი უნახავს ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოსს ი. ა. გიულდენშტედტს, 1771 წ.

„მცხეთიდან  $1/4$  საათი მივდიოდით დასავლეთისაკენ. ჩვენ მივყვებოდით მტკვრის მარცხენა ნაპირს ზევით. დაახლოებით ერთ ვერსზე და გადავედით მის ხიდზე, რომლითაც სარგებლობისათვის ერთი მცხეთელი აზნაური იღებდა ბაჟს. ძლივს გაუძლო ჩვენს გადასვლას...“ („გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“. თბილისი, 1962 წ. გვ. 59).

როგორც ამ მოკლე შენიშვნიდან ჩანს, უკვე 1771 წ. მცხეთის ხიდი მყარ მდგომარეობაში არ ყოფილა.



1839-41 წწ. ინჟ. ტერმინის მიერ აგებული ახალი ქვის ხიდი მცხეთაში

მცხეთის ხიდი აღწერილი აქვს ცნობილ ევროპელ ორიენტალისტს და მოგზაურს ი. კლაპროტს 1823 წ. პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემულ თავის „მოგზაურობა კავკასიის მთებში და საქართველოში“. იგი წერს: „დაეტოვეთ მცხეთა და ავეყვით მტკვრის მარცხენა სანაპიროს, იქიდან ორ ვერსზე მდებარე ხიდამდე.


რომელიც ნახევრად ქვისაგან და ნახევრად ხისგანაა ნაგები და ძალიან კარგ მდგომარეობაშია".

ჩანს, მცხეთის ხიდი იმ ხანად უკვე შეკეთებული იყო. როგორც აღნიშნავს, „ძალიან კარგ მდგომარეობაში ყოფილა“.

1611 წ. მცხეთა მოუნახულებია ევროპელ მოგზაურს კ. ფრეიგანგს. იგი უფრო აზუსტებს ცნობას მცხეთის ხიდის შესახებ: „მცხეთიდან ერთი ვერსის დაშორებით არის ხიდი მტკვარზე. გვერდებზე აქვს ძველი კოშკები, რომლებიც ალბად ძველ დროში თავდაცვისათვის იყო გამოყენებული. ამბობენ, რომ ხიდა ააშენა პომპეუსმა, როცა თავისი ჯარით გაიარა მცხეთაშიო, მაგრამ სიმართლესთან უფრო ახლო იქნება თუ ვიტყვით, რომ პომპეუსის მოსვლამდე უნდა ყოფილიყო აშენებული. (თავადი გედევანიშვილების მიერ, რომლებიც ამ მიდამოებში ცხოვრობდნენ)“.

გ. ფრეინგანგი „წერილები კავკასიიდან და საქართველოდან“. პამპურკი. 1616 წ. გვ. 100 (ფრანგულ ენაზე).

1633 წ. მცხეთის ხიდი უნახავს ცნობილ შვეიცარიელ მეცნიერ-არქეოლოგს და მოგზაურს ფრედერიკ ლიუბუა დე მონპერეს.



მცხეთის ხიდი. ფოტორეპროდუქცია ნიკანორ ჩერნეცოვის ნანახატიდან.


— „თანდათან მივიწვევდით მალლა, მდ. მტკვრის ხეობის სიღრმეში. ძველ ხიდს, რომელიც ორ კლდეს შუა იყო გადებული, გადაჰყავდა მგზავრები მტკვრის შესართავთან, უძველესი კოშკის ძირას და სხვა ძეგლების ნანგრევებთან, რომლებიც პატარა ხიდს გამოჰყოფდნენ უფრო მოზრდილისაგან. მისი შუა ნაწილი ხისა იყო, თალი დიდხანა მოშლოდა და თუ მართლაც ეს ხიდი პომპეუსის მიერ იყო აგებული, უნდა ითქვას — მას დიდხანს გაუძლია ბუნების სტიქიისათვის.“

ვინ იცის, არქეოლოგებისთვის საინტერესო რამდენ ძვირფას საგუნძურს ინახავს ეს ნანგრევები, რომლებიც ჯერ არავის მოუნახულებია."...

ეს ხიდი უნახავთ და აღუწერიათ საფრანგეთის სამეფოს კონსტანტინოპოლისში შევალთ ვამბას, დიდ რუს პოეტს ა. ს. პუშკინს და სხვებს...

როგორც ამ მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, მცხეთის ხიდი შეუნიშნავი არ დარჩენია არც ერთ მოგზაურს, მეცნიერსა და განათლებულ პირს, ვისაც კი საქართველოში უმოგზაურია. საერთო აზრი ასეთია: „მცხეთაში არის ქვის ხიდი, რომლის აშენებას პომპეუსს მიაწერენ“.

XIX ს. მძიმე ტრანსპორტის მოძრაობის განვითარებასთან დაკავშირებით, სახიფათო გახდა მცხეთის ხიდის შემდგომი ექსპლოატაცია, ამიტომ ძველი ისტორიული ხიდი დაანგრეს და ამავე ადგილზე 1839—1841 წ. წ. ააშენეს ვალაღი, ოთხმალიანი ქვის თაღოვანი ხიდი. მისი მშენებელი იყო ინჟინერ-პოლკოვნიკი ტერმინი.



მცხეთის ხიდი მდ. მტკვარზე, 1825 წ. რობერტ ლაიელის წიგნში გამოქვეყნებული სურათის ფოტორეპროდუქცია.

ამ ხიდს საერთო სიგრძე ისეთივე პქონდა, როგორც ვახტანგ გორგასალის დროინდელ ხიდს. ამ უკანასკნელისაგან მხოლოდ დიდი და ფართო აგურის თაღებით განსხვავდებოდა. საერთოდ, ეს იყო პირველი ქვის ხიდი, რომელიც საქართველოში რუსეთის მმართველობის ხანაში აშენდა.

ხიდის შუაში კუთხური გარდატეხა გამოწვეული იყო მდინარის მალეზს

წორის მდებარე მცირე ზომის ბუნებრივი, კლდოვანი კუნძულით, როგორც ძველ-  
მა, ისევე ახალმა მშენებლებმა ეს ბუნებრივი კუნძული ხიდის შუა ნაყრდენად-  
ბურჯად გამოიყენეს.

მცხეთის ხიდის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა ძველი ქართული  
თული ხიდის დამკრევი და მის ადგილზე ახალი, დიდი ქვის ხიდის მშენებელი ინ-  
ჟინერ-პოლკოვნიკი ტერმინი. იგი წერს:


„ერთი ვერსის დაშორებით, მცხეთის ზემოთ მდებარეობდა ძველი ხიდი,  
რომლის აშენებას — გადმოცემის თანახმად — რომაელებს მიაწერდნენ. თუ  
ჩემს მიერ ნახული, ჩვენამდე მოღწეული, ხიდის ნანგრევებით ვიმსჯელებთ, უნ-  
და ვიკარაუდოთ, რომ აქ რომაელების მიერ აგებული ხიდი, ყოველ შემთხვევა-  
ში, იმ დროისათვის უკვე დანგრეული ყოფილა. ჩანს, იგი რეკონსტრუირებული  
იყო ქართველების ან სპარსელების მიერ. Термин — «Журнал путей сообще-  
шения», 1841 г. т. III, кн. 2, стр. 207—215.

ჩვენ ხელთა გვაქვს XIX ს. პირველ ნახევარში შესრულებული ნახატების  
ორი რეპროდუქცია, რომლებზეც გამოხატულია მცხეთის ძველი ხიდი. პირველი  
შესრულებულია რუსი მხატვრის ნიკანორ ჩერნეცოვის მიერ XIX ს. I ნახევარში,  
მეორე — მოთავებულია ინგლისელი მოგზაურის რობერტ ლაიელის წიგნში,  
რომელიც გამოქვეყნდა ლონდონში 1825 წელს. ნ. ჩერნეცოვისა და რ. ლაიელის  
სურათები ნათელ წარმოდგენას იძლევიან ამ შესანიშნავი ძველი სახიდე გადა-  
სასვლელის კონსტრუქციის შესახებ.

ნიკანორ ჩერნეცოვის სურათი «Помпеев мост в Мцхета» — ამჟამად  
ლენინგრადის „რუსული მუზეუმის“ ფონდებში ინახება და არ არის მუდმივად  
გამოფენილი. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეთხოვოს აღნიშნულ მუზეუმს ეს სურათი  
გამოფენილ იქნეს მცხეთაში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც ექსპო-  
ნირებული იქნება, როგორც ადგილობრივი ისტორიული ნაგებობის ამსახველი.  
გარდა ამისა, კარგი იქნება არსებული ჩანახატების და აღწერილობათა მიხედ-  
ვით გაკეთდეს და გამოიფინოს მცხეთის მუზეუმში ხიდის მაკეტი, რაც ამ შესა-  
ნიშნავ ნაგებობას სრულყოფილად წარმოგვიდგენს.

ინჟინერ ტერმინის მიერ 1839 წ. აგებულმა ხიდმა 85 წელი იარსება. საბ-  
ჭოთა ხანაში, ზემო ავჭალის პიდროელსადგურის (ზაპესის) მშენებლობასთან  
დაკავშირებით, მტკვარზე საგუბარის შესაქმნელად გაკეთდა ჯებირი. წყალმა  
მთლიანად დაფარა ტერმინის მიერ აშენებული ხიდი.

ამჟამად საქართველოს სამხედრო გზას და თვით მცხეთას ემსახურება ახა-  
ლი რკინის სამშლიანი ხიდი, რომელიც 1926 წ. ააგო ინჟინერმა ბ. მიქელაძემ,  
ი. კარელინის პროექტით. იგი ძველი ხიდიდან, მდინარის დინების ზემოთ — 450  
მეტრითაა დაშორებული.



ქაბუჯმთის წმ. გიორგის სახელობის ბაზილიკის შესასვლელი

## ქაბუჯმთის ისტორიული ძეგლები

აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი თავის ნაშრომში „ისტორიული გეოგრაფიისათვის“ აღნიშნავს, რომ გულისხმობით არ ვეკიდებით მიწისზედა მატერიალური ხასიათის ძეგლებს“-ო. მართლაც რამდენი ასეთი ძეგლია მიტოვებული მდინარე ყვირილას ხეობაში, რომელთა შესახებ ჯერჯერობით არაფერი თქმულა, თუ არ ჩავთვლით იმ ორიოდ წერილს, რომელიც გასული საუკუნის მიწურულში სხვადასხვა ჟურნალებში გამოუქვეყნებია გ. წერეთელს.

აღნიშნულ პუბლიკაციებში გ. წერეთელს, — ყვირილის ხეობის ამ უბადლო მემკვიდრის მოხსენიებული აქვს ქაბუჯმთა, მთა წმინდა, კვირიკეს მთა და სინაგურის ბაზილიკა.

თუ თვალს გადავაგვებთ ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოჲსა საქართველოჲსას“, (გვ. 156) წავეკითხავთ, რომ „ქალიდან წონამდე არღარა არს



შენობა, გარნა — პირველ-ყოფილა შენობანი, სადაცა ჩანან ცკლესიანი ნადა-  
 ბარნი"-ო. მართალია ვახუშტი ბატონიშვილი პირდაპირ არ მიუთითებს ნადა-  
 ბარზე, მაგრამ, ვფიქრობთ, იგი აქ გულისხმობს, როგორც ჭურნაღმე [წუნაღმე]  
 ჭაბუკმთას, თუ არ ჩავთვლით ჭიტატეს, რომელიც სოფ. ჭალიდან გმდგნაღმე [წმდგნაღმე]  
 საა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს იგი არ უნდა მოეხილა. სიშორე მას ხელს არ  
 შეუშლიდა, მაგრამ აღნიშნულს გვაფიქრებინებს მისი მდებარეობა. იგი თითქმის  
 რაჭის საზღვარზეა და თვით გ. წერეთელსაც მის შესახებ არაფერი აქვს აღ-  
 ნიშნული.

თითქოს გვიხმობს ვახუშტის სიტყვები „ეკლესიანი ნადაბარნი“. ანდამატუ-  
 რი ძალით გვიზიდავს წაბლის კორომებით დაბურული აღმართისაკენ.



ბერეკლესია

ჭაბუკმთა ყვირილას მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს, სოფ. ჭალიდან სამ-  
 სრეთ აღმოსავლეთით, დაახლოებით 5—6 კმ-ის მანძილზე. იგი შესანიშნავია,  
 როგორც ბუნებრივი, ასევე გეოგრაფიული პირობებით. მართალია, იგი ზღვის  
 დონიდან გაცილებით მაღლაა, ვიდრე სოფ. ჭალა, მაგრამ აქ ყველა ჯიშის კულ-  
 ტურული მცენარე ხარობს, რაც კი ყვირილის ხეობაშია გავრცელებული. ერთ  
 ადგილს „კვიცი გადასავალი“ ჰქვია, მეორეს „ცხენიკები“, შემდეგ „შიშვი-  
 ლა“, „ობლების ახო“, „დიდმინდერები“, „ოთხზიარი“, „ნამარნები“. მთლიანად  
 ჭაბუკმთა „ორახევას“ მიდამოებშია — გვეუბნება ს. ბერიძე და ისევე აკადემიკო-  
 სი ნ. ბერძენიშვილის სიტყვები გვაგონდება „არც ტოპონიმიკურ მასალას ვდებთ  
 დიდ პატივს და ზოგჯერ, სახელდახელოდ, თუ წამოვიშველიებთ ხოლმე ამა თუ იმ  
 ცალკეულ ტოპონიმიკურ ფაქტსა“-ო. (საქ. ისტ. გეოგრ. კრებული გვ. 8).

ჭაბუკმთის ტოპონიმები პირდაპირ მიუთითებენ, რომ აქ ოდესღაც ცხოვრება დულდა „ნამარნებში“, „ოთხზიარში“ და „დიდ მინდვრებში“, „შემშრლა“ თავს გვახსენებს „ობლების ახოს“ არსებობაზე. — მართლაც რა შესანიშნავი ტოპონიმებია...

გიგლიძე

ჭაბუკმთა, როგორც ირკვევა, ოდესღაც შეერთებული უნდა ყოფილიყო სოფელ ცხამთან, ამ ტერიტორიაზე ალბათ დაბა იყო გაშენებული, მაგრამ დროთა განმავლობაში პატარა მდინარე დარყულას პლატო შუაზე გაუჭრია და ებლა საკმაოდ დიდი ხევია ამ ორ სოფელს შორის. თუკი დარყულას ნაპირებს ცხამას, ან ჭაბუკმთის მიმართულებით ავყვებით, უამრავ თიხის ჭურჭლის ნამტვრევს ვაგაფყდებით, ზოგჯერ თითქმის დაუზიანებელს. აქ იშვიათი როდია ბრინჯაოს ნივთების პოვნა. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს მთელი საცხოვრებელი ადგილი ერთბაშად განადგურებულია. აღსანიშნავია, რომ სოფელ სპეთის რვაწლიანი სკოლის მხარეთმცოდნეობის კუთხეს ჭაბუკმთის მიდამოებში აღმოჩენილი ბევრი ნივთი ამკობს. აქაა ბრინჯაოს ქამრის ბალთები, კოლხური ცული და თობა. აღნიშნული ნივთები გვაფიქრებინებს, რომ ჭაბუკმთის მიდამოებში მოსახლეობა გვიანი ბრინჯაოს ხანიდან იწყებს ცხოვრებას.

შუასაუკუნეებში ჭაბუკმთა მძლავრი დასახლების დაბა ჩანს. ამას მოწმობს ის სამი ბაზილიკა, რომლებიც დღემდე შემორჩენილია. ესენია „წმინდა გიორგი“, „საღვთო საყდარი“ და „ბერეკლესია“. სამივე ბაზილიკა 2 კმ-ის რადიუსში მდებარეობს.

ბერეკლესიის ერთნაგვიანი ბაზილიკის გუმბათი მთლიანად ჩამოქცეულა, ნონგრეულია სამხრეთის კედელი, ძეგლი განადგურების პირამდეა მიყვანილი. უბადრუკ შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს ამ შენობაზე და მის შიგნით მიშენებული სალორეები...

შედარებით კარგად გამოიყურება ჭაბუკმთის წმინდა გიორგის სახელობის ერთნაგვიანი ბაზილიკა. ნაგებია კარგად თლილი ადგილობრივი ქვისაგან. სამხრეთის ფანჯრის ზედა ქვაზე გამოსახულია ორი მამაკაცის ფიგურა. მარცხენას ხელში საყდრის მაკეტი უჭირავს; მარჯვენას კი — გულთან მიტანილ ხელში ჯვარი. გიორგი წერეთელი წმინდა გიორგის ეკლესიის შესახებ აღნიშნავს, რომ იგი აშენებული უნდა იყოს 786—860 წლებს შორისო. საიდან აქვს აღებული ეს თარიღი, გაურკვეველია, რადგან ბაზილიკას არავითარი წარწერიანი ქვა არ ვაჩნია. სოფ. დარყის მკვიდრმა, 85 წლის ს. მ. ბერიძემ გვიამბო; რომ გადმოცემის თანახმად ეს ეკლესია ერთ დღეს აუშენებიათ-ო.

სრულიად დანგრეულია „საღვთო საყდარი“. მის ადგილზე ახლა შესანიშნავად მოჩუქურთმებული სვეტები პყრია. მოსწავლეებმა სკოლაში წაღება ვერ შეძლეს მათი სიდიდის გამო. ალბათ გ. წერეთლის დროსაც ასეთივე მდგომარეობა იყო, რადგან მას სრულიად არაფერი აქვს მოხსენებული ამ ძეგლის შესახებ. ასეთია მოკლედ ჭაბუკმთის ისტორიული წარსული.

„იქნებ ახლა მაინც დაადგეს საშველი“... ჩაგვესმის 85 წლის მოხუცის ს. მ. ბერიძის ნათქვამი და თითქოს წაბლის ხეებიც ამას ჩაგვირჩეულბდნენ. იქნებ „წმინდა გიორგის“ მაინც შემორჩეს მთლიანი სახე, იქნებ ამის შემდეგ მაინც მოიშალოს ის სალორეები, რომლებიც იერს უკარგავენ ამ შესანიშნავ ძეგ-

ლებს, იქნებ შემოუნახოთ მომავალ თაობას წარსულის უტყვი მემკვიდრეობა/  
რადგან „წარსულია მკვიდრი საძირკველი აწმყოში, როგორც აწმყო მომავლისა“.  
კაბუკმთის ისტორიული ძეგლები დაუყოვნებლივ შეკეთებას მოითხოვენ. მათ



კაბუკმთის წმ. გიორგის სახელობის ბაზილიკის სარკმლის ჩუქურთმისანი ქვა

გადასარჩენად გადამკრელი ზომების მიღებაა საჭირო. იქნებ ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის ავტორიტეტული ჩარევის შედეგად მოშლილ იქნას სალორეები, შნოს რომ უკარგავენ მათ. იმედია, „წმინდა გიორგის ეკლესიას“ მაინც მოუსწრებს „ძეგლის მეგობარის“ მზრუნველი ხელი, რომ დროულად შესწავლილ და შეკეთებულ იქნას იგი.

## ერთი ქართული ნაქარგობა ინგლისში

დიდი მოვლენა იყო ჩვენთვის, საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციის წევრებისათვის, დიდი ბრიტანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქ პალში, ქართული ნაქარგობის ხილვა.

ნაქარგობის ქართულობას ადასტურებს ქარგვის ხასიათი და წარწერა. იგი შინდისფერ ნაქერზეა შესრულებული ოქრომკერდით და მთელ ფონზე მცენარეული ორნამენტებითაა დაფარული. ზომით დაახლოებით 60X60 სმ. შუაში მრავალფეროვანი კომპოზიციას: მამაკაცი, ქალი და ორი ყრმა. მათ მარცხენა ზედა კუთხიდან, კურთხევის მარჯვენით გადმოსცქერის მაცხოვარი, რომლის ქვევით მარცხენა ქვედა კუთხეში ამოქარგულია ირემი დატოტვილი ქორბუდა რქებით, რომელთა შორის ჯვარია.

ფონი კომპოზიციისა ასევე ოქრომკერდითაა შესრულებული. სამოსი ფიგურებისა სხვადასხვა ფერის ძაფითაა ნაქარგი. საერთოდ, ფერების შეხამება დახვეწილ გემოვნებაზე მეტყველებს. ამ კომპოზიციას გარს უვლის ოვალურად, ორბწყარიანი ქართული წარწერა, რომლის ამოკითხვა ბევრ საინტერესოს არკვევს. აი ტექსტიც:

1. ქ. ება მოწამეთა შორის ბრწყინვალედ მნათობო რომელი სასწაულით და მხნეობით იდიდებო მარადის მოწყალეო ჩვენო (გულსმოდგინ(ებითა) შეგიმკვე კინიი ესე თითთა მიერ შრომით მე ფრ სასოებელმან შენმან სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის პირშო —
2. სა ძისა გიორგის ასულმან და თანამეცხედრემან თარხნიშვილის ლუარსაბისმან სოფიო ფრდი ესე ნწილოები (?) და ნაცუალად გაუგე ფარვა ში მორჩობელსა შინა ცხოვრებასა მეუღლით და შვილით ჩემით უკე: აგვისტოს კბ. ეკა უპბ:

როგორც წარწერიდან ირკვევა, აქ გამოსახულნი ყოფილან ჩვენი სახელოვანი მეფე ერეკლე მეორის შვილიშვილი სოფიო, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII ასული, მეუღლე ლუარსაბ თარხნიშვილისა.

ლუარსაბსა და სოფიოს ჰყოლიათ ოთხი შვილი: იოანე, ანასტასია, ანნა, ევსტატე. ამას ადასტურებს მარი ბროსეს საქართველოს ისტორიის მეორე ტომში მოცემული ქრონოლოგიური ცხრილი.

ნაქარგობაზე გამოსახულნი არიან: სოფიო, ლუარსაბი და მათი ორი ქე: იოანე და ევსტატე.

წინდახედულ ქტიტორებს თარიღიც კი აუღნიშნავთ, წარწერის ბოლოს „აგვისტოს კბ. ეკა უპბ“ — რაც ნიშნავს 22 აგვისტოს 1794 წელს.

სავსებით შესაძლებელია ეს ნაქარგობა თავისი ხელით მიაღწია ღვაწლმო-



ქართული ნაკრებობა დაველი ღილი ბრიტანეთის მუზეუმში.

სილ პაპას შვილიშვილმა, მაგრამ როგორც საქართველოს ისტორია გვაუწყებს, სწორედ ერთი წლის შემდეგ, 1795 წელს დატრიალდა საშინელი უბედურება, ალა-შაჰმად-ხანის შემოსევა. ამ ტრაგედიის ეამს სამეფო სახლის წიგნებიც დაზარალდებოდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ეს წიგნი ერთი იმ მრავალთაგანია იყო, რომელსაც არ ეწერა უკვალოდ დაკარგვა. შემდეგ კი ჩვეული მარშრუტი: აღმოსავლეთის მრავალფეროვანი ბაზარი, სადაც ძვირად ფასობდა ყველაფერი გურჯის ქვეყნიდან. აქედან კი დაპყრობებით მოღლილი და დაგროვილი სიმდიდრით განებივრებული ევროპა, სიმძვლით მოვაჭრენი და ჩვენი პატარა მარგალიტიც ადგილობრივი ანტიკვარის მიერ მუზეუმისადმი მიყიდული წიგნითა. დღეს მადლობა გვეთქმის მუზეუმის მზრუნველ თანამშრომლებზე, რომლებმაც თხოვნა შეგვისრულეს და ფოტობირი გვისახსოვრეს. ეს ჩვენთვის დიდი საჩუქარი იყო.


ღეგან ხიგშიაგვილი

არქიტექტორ-რესტავრატორი

რესტავრაციის ზოგირთი საკითხი

(წრომი და ბელია)

ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია წრომის ტაძარს. იგი წარმოადგენს კლასიკური პერიოდის დამაგვირგვინებელ ძეგლს. შენობის აგებისათვის ხუროთმოძღვარი აქ იყენებს სრულიად ახალ კონსტრუქციებს: თუ ამავ პერიოდის სხვა ტაძრებში გუმბათი დაყრდნობილია კედლებზე, აქ იგი ოთხ ცალკე მდგომ ბოძზეა ამართული; ფასადებიც შესაფერისად ახალ არქიტექტურულ სახეს იძლევა.



წრომი, ნართექსისა და პატრონიკების თაღები

თავისი არსებობის მანძილზე, რაც 1300 წლით განისაზღვრება, ძეგლმა ვანიცადა ძლიერი ნგრევითი დეფორმაციები. ჩვენამდე მან უგუმბათოდ მოაღწია. გუმბათის ყელის ის მცირე ნაწილი, რომელიც შემორჩენილია ოცდაათიან წლებ-

ში გადაღებულ ფოტოსურათებში, სამწუხაროდ, ძეგლის დროინდელი არ არის და, ვფიქრობთ, მიეკუთვნება გვიანი დროის შეკეთების პერიოდს. (XVI ს.) თითქმის მთლიანად დაღუპულია აგრეთვე გუმბათქვეშა კვადრატის კედლები. გუმბათის ნგრევას თან მოჰყვა აგრეთვე დასავლეთისა და სამხრეთის მკლავების ცილინდრული თაღების დიდი ნაწილის ნგრევა. ნგრევების ძირითად მიზეზად უნდა ჩათვალოს მიწისძვრები. მათგან განსაკუთრებით მკაცრი აღმოჩნდა 1940 წ. მომხდარი ძლიერი მიწისძვრა. (იხ. სპეციალურად მივლინებულ კომისიის ოქმში, შედგენილი 1940 წ. 17—18 მაისს. ოქმი ინახება ძეგლთა დაცვის სამმართველოში). ამ დროს დასავლეთის კედელი გადაიხარა დასავლეთით, რამაც, თავის მხრივ, დასავლეთის მკლავის ცილინდრული გადახურვის და ნართექსის თაღების მთლიანი დაღუპვა გამოიწვია, ძეგლის სამხრეთ-დასავლეთის კუთხე კი თითქმის მიწასთან იქნა გასწორებული. დასავლეთის კედლის გადახრა იმდენად დიდი იყო, რომ მცირეოდენი ძვრაც კი მთლიან ნგრევას გამოიწვევდა. ამის თავიდან აცილების მიზნით ჯერ კიდევ 1949-50 წწ. მოწყობილი იქნა სპეციალური დამპყერი კონსტრუქციები.

მძიმე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლის დაცვისათვის 1955 წ. შეზღუდვებით იქნა რესტავრაციის პროექტი, რომელიც განხილული და მიღებული იქნა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ, ეს პროექტი ძეგლის აღდგენა-გამაგრების სამ ეტაპს ითვალისწინებდა:

I. დეფორმირებული ნაწილების გასწორება და მათი დაკავშირება ნაკვობის ძირითად კედლებთან.

II. დაკარგული ნაწილების აღდგენა გუმბათქვეშა კვადრატამდე.

III. გუმბათქვეშა კვადრატის და გუმბათის აღდგენა.

დღეს ძირითადად დამთავრებულია I და II ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები.

გადახრილი კედლების გასწორებისათვის საჭირო იყო დეფორმაციების გამოწვევი მიზეზების შესწავლა. საძირკვლების კვლევამ, რაც შურფების საშუალებით ჩატარდა, დაადასტურა, რომ მიწისძვრების დროს საძირკვლები არ დაზიანებულა. ერთ-ერთი შურფი გათხრილი იქნა დასავლეთის კედელთან. მან საინტერესო მასალა მოგვცა. აქ გამოირკვა, რომ საძირკვლის ჩაღრმავება ტოლია 3 მ 5 სმ, ნიადაგიდან 120 სმ. წყობა ამოყვანილია რიყის ქვით თიხის ხსნარზე. ხოლო შემდეგ 5 სმ ის ნაკვბია ფლეთილი ქვით კირის დულაზე. ვფიქრობთ, რომ საძირკვლის ნაწილის თიხის ხსნარზე ამოყვანით მშენებელს გათვალისწინებული ჰქონია ყამირის წყლების ზევით კედელში გავრცელების შეჩერება. ეს ფაქტი ამჟღავნებს მშენებელ-ხუროთმოძღვრის სამშენებლო ხელოვნებაში კარგ განსწავლულობას.


დასავლეთის კედლის შესწავლისას შიგნიდან შემჩნეული იქნა ბზარები, რომლებიც კედელს თარაზული მიმართულებით გაჰყვებოდა. ძირითადად ორი ძლიერი ბზარი იკითხებოდა: პირველი საძირკველსა და კედელს, ხოლო მეორე — კედლის წყობის პირველ და მეორე რიგებს შორის. ეს მდგომარეობა გვიკარნახებდა, რომ დარტყმების შედეგად დასავლეთის კედელი გადაიხარა და ამის გამო გაჩნდა ბზარი საძირკველსა და კედელს შორის, ე. ი. საძირკველმა თავისი აირვნადელი მდგომარეობა შეინარჩუნა, კედელი კი გადაიხარა.



კედელში გაჩენილი ბზარების და საძირკვლების მდგომარეობის შესწავლამ დაგვარწმუნა გადახრილი კედლის გასწორების შესაძლებლობაში.

გასწორებისათვის მეტად აუცილებელ მომენტს წარმოადგენდა შევესწავლა თვით კედლის ორგანიზმის მდგომარეობა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, დულაბის მდგომარეობა და მისი კავშირი მოსაპირკეთებელ ქვებთან. ამ მიზნით პირველ რიგში შესწავლილი იქნა საპირე ქვების მდგომარეობა კედლის შიდა სიბრტყეზე. უბრალო იარაღებით გასინჯვამ დაგვარწმუნა, რომ კედლის შიდა მხრიდან საპირე ქვები კარგად არის დაკავშირებული დულაბთან ე. ი. კედელა მონოლითური აღმოჩნდა. ეს კი აადგილებდა კედლის გასწორებას.


გარედან კედლის მოპირკეთების მდგომარეობა შედარებით ცუდი აღმოჩნდა. ზოგიერთ ადგილებში კავშირი საპირე ქვებსა და დულაბს შორის არ არსებობდა. ეს გარემოება იმით იყო გამოწვეული, რომ კედლის საპირე ქვების დიდი ნაწილი გვიანი შეკეთების დროინდელი იყო. როგორც ჩანს, დასავლეთის კედლის გარე მოპირკეთების ქვები ადრე გამოსულა მწყობრიდან. (უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში სადაც ძველი დგას, ძლიერი დასავლეთის ქარებია გავრცელებული, რაც ხელს უწყობდა დასავლეთის ფასადის საპირე ქვების გამოფიტვას). უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ძლიერ გამოფიტული საპირე ქვები მოხსნეს გვიანდელი რემონტის დროს და ახლით შეცვალეს. ამ აღდგენის დროს მთლიანად დარღვეული იქნა საპირე ქვების წყობის ხასიათი, ამავე შეკეთების



წრობი აღდგენის შემდეგ

დროს ამოქოლეს ორი სარკმელი, ისე რომ გარედან მათი წაკითხვაც ვერ ხერხდებოდა.

დასავლეთის კედელი დაკავშირებული იყო ნაგებობის ექვს გრძივ კედელთან (იხ. გეგმა) მიწისძვრების შედეგად იგი მოწყდა ოთხ გრძივ კედელს, რომელთა შორის ნაბრალეები გაჩნდა. დასავლეთის კედელი გაიყო II და III გრძივ კედლებს შორის, იქ სადაც სარკმელია მოთავსებული. გახსნა მოხდა სარკმელის შვეული ლერძის მიმართულებით. დასავლეთის კედელი III და IV გრძივ კედლებთან



რეკონსტრუქციის გეგმა


თალებით იყო დაკავშირებული და გადახრის დროს ამ თალებმა წგრევა განიცადეს (იხ. სურ. ნარტექსისა და პატრონიკენის თალები წგრევისა და აღდგენის შემდეგ).

ჩატარებული კვლევის შედეგად მომზადებული იქნა ნიადაგი დეფორმირებული კედლების გასწორებისათვის. კედლის გასასწორებლად სამუშაოების დაწყებამდე დაყენებული იქნა სპეციალური მიმმართველები და მსინჯავეები, რათა

თვალყური გვედვენებისა გასწორების პროცესისათვის. მოწყობილი იქნა გამასწორებელი კონსტრუქცია (იხ. გასწორების პროექტი) ასეთი კონსტრუქციის შემუშავების ძირითად მიზანს ის წარმოადგენდა, რომ გამასწორებელი კედლისა და გვენაწილებინა, გასასწორებელი კედლის ფართზე რაც შეიძლებოდა ერთნაირად. ძალა ძირითადად განაწილდა კედლის ქვედა  $\frac{2}{3}$  ნაწილში, რათა ადგილი არ ჰქონოდა გადატეხას.

1959 წ. 15 აგვისტოს ამწების ამოქმედების შედეგად დასავლეთის კედელმა, რომელიც შვეული სიბრტყიდან 56 სმ. იყო გადაბრლილი და რომლის წონაც 360 ტ. აღწევს, იწყო ნელი მოძრაობა და საბოლოოდ მოთავსდა თავის ადგილზე. კედლის ადგილზე გადაწვევით შეიკრა ბზარები და აღდგენილი იქნა თავისი პირვანდელი სახით დამაკავშირებელი თალების განზომილებები.

დასავლეთის კედლის ადგილზე მოთავსების შემდეგ ჩატარებული იქნა საკმარისად რთული სამუშაოები, რაც გასწორებული კედლის გამაგრებაში გამოიხატებოდა. ამ მიზნით გამოყენებული იქნა დამალული რკინა-ბეტონის კონსტრუქციები. ამ კონსტრუქციების გამოყენებით დასავლეთის კედელი სანდოდ იქნა დაკავშირებული ყველა გრძივ კედელთან.




წრივი. შერტი დასავლეთ კედელთან

ამრიგად, მიღებული იქნა მეთოდი—არსებული დეფორმირებული კედლების გასწორებისა ყოველგვარი დაშლის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდმა დადებითი შედეგები მოგვცა. ეს შედეგები, ძირითადად შემდეგია:


1. კედლის დაუშლელად გასწორების შედეგად ჩვენს მიერ შენარჩუნებული იქნა ყველა არსებული არქიტექტურული ელემენტი თავისი პირვანდელი სახით. შენარჩუნებული იქნა აგრეთვე თალების ქუსლების კვალები და საპირე ქვები. ასეთისათვის შეიძლება მიგვეღწია მისი მთლიანი დაშლის და ხელშეობრედ აღდგენის შედეგადაც. მაგრამ რიგორც რესტავრაციის პრაქტიკამ დაგვანახა, სამონტაჟო სამუშაოები დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული და ამის შედეგად ხშირად ადგილი აქვს ცდომილებას. წყობის ზომების დარღვევას, დაშლის დროს ცალკეული ქვების ან დეტალების დაზიანებას და ბოლოს, რაც მთავარია, მონტაჟის შემდეგ იკარგება ძეგლის იერი, რაც მას დაშლამდე გააჩნდა.

ამრიგად, მიღებული იქნა მეთოდი. — არსებული დეფორმირებული კედლების გასწორებისა ყოველგვარი დაშლის გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდმა დადებითი შედეგები მოგვცა. ეს შედეგები ძირითადად შემდეგია:

1. კედლის დაუშლელად გასწორების შედეგად ჩვენს მიერ შენარჩუნებული იქნა ყველა არსებული არქიტექტურული ელემენტი თავისი პირვანდელი სახით. შენარჩუნებული იქნა აგრეთვე თალების ქუსლების კვალები და საპირე



ბელი  
 26.05.1911  
 667-185  
 მანუჩარის სასახლის მონუმენტი



ბელი. დასავლეთის სარკმლის მონუმენტის რეკონსტრუქცია ლევან ხიმშიაშვილის



წარმო აღდგენის შემდეგ.

ფოტო ვახტანგ  
ცინცაძისა

ქვები. ასეთისათვის შეიძლება მიგვეღწია მისი მთლიანი დაშლის და ხელმოკრულ ალდგენის შედეგადაც. მაგრამ როგორც რესტავრაციის პრაქტიკამ დაგვანათნა სამონტაჟო სამუშაოები დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ამის შედეგად ხშირად ადგილი აქვს ცდომილებას, წყობის ზომების დარღვევას და ა.შ. ლის დროს ცალკეული ქვების ან დეტალების დაზიანებას და ბოლოს, რაც მთავარია, მონტაჟის შემდეგ იკარგება ძეგლის იერი, რაც მას დაშლამდე გააჩნდა.

2. გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა დაეთმოს ეკონომიურ მხარესაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დეფორმირებული კედლების გასწორება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე მათი დაშლა და ხელმოკრედ აღდგენა. გარდა აღნიშნულისა, კედლების გასწორების შეთოდის გამოყენებისას სარესტავრაციო სამუშაოთა დრო ერთი ათჯერ მაინც მცირდება, რაც საკმარისად დიდი ეკონომიურობის მანიველებელია.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლის დეფორმირებული ნაწილების დაუშლელად გასწორება მისაღები და გამართლებული მეთოდია. ასეთი მაგალითები გვხვდება საბჭოთა კავშირის რესტავრაციის პრაქტიკაში, მაგრამ თავისი მასშტაბის მიხედვით წრომის ტაძარზე ჩატარებულ სამუშაოს საყურადღებო ადგილი უკავია.

II. დროისა და ატმოსფერული მოვლენების მოქმედებით ბედიის ტაძარმა დიდი ნაწილი დაკარგა და დღეისათვის დაღუპვის პირამდეა მისული. მთლიანად დანგრეულია გუმბათი, მძიმე ავარიულ მდგომარეობაშია ჰელაების გადამხურავი თალები. ფასალებზე მოპირკეთების თითქმის 75% დაკარგულია, ხოლო მისი დიდი ნაწილი, როგორც გადმოცემებიდან ირკვევა, ჩვენი საუკუნის დასაწყისში მოუხსნიათ. ამ დროისათვის მათ განუზრახავთ ძეგლის განახლება. ძეგლის დაცვისათვის ჯერ კიდევ 1952 წელს ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა კვლევითი სამუშაოები. ამ კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა რესტავრაციის პროექტის შემუშავება. ძეგლის ნატურაში კვლევების დროს აღმოჩნდა საინტერესო მასალები, რომელთა გაშუქება ინტერესმოვლებული არ იქნება.

ბედიის ძეგლის შესწავლის მაგალითიდან შეიძლება გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები, თუ რა მნიშვნელობა აქვს არსებულ საარქივო მასალებს ძეგლის აღდგენის საქმეში. ამ საკითხის განხილვისათვის აქ გვაქვს ბრწყინვალე საილუსტრაციო მასალა. 1951-52 წ. წ. ჩატარებული არქეოლოგიური აზომვების დროს პარალელურად ხდებოდა დაკარგული ნაწილების აღდგენის შესაძლებლობის დადგენა. ძეგლის აღდგენისათვის ადგილზე მრავალი ფაქტიური მასალა აღმოჩნდა, მაგრამ იყო ცალკეული უბნები, რომელთა აღრიხდელი სახის წარმოდგენისათვის მასალები არ არსებობდა. დასავლეთის ფასადის კარი საკმაოდ მდიდრულადაა გაფორმებული. იგი დღესაც კარგად არის დაცული. კარის შემოთ, ფასადის ცენტრალურ ნაწილში სარკმელია მოთავსებული. დღეს სარკმელის საპირე ქვები მთლიანად დაკარგულია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სარკმელი სათანადოდ გაფორმებული იქნებოდა. კვლევითი სამუშაოების პროცესში ჩვენს მიერ მრავალი მცირე ზომის ორნამენტული ქვის ფრაგმენტი იქნა ნაპოვნი. ამ ფრაგმენტების მიხედვით ძნელი დასადგენი ხდებოდა თუ რომელი იქნებოდა დასავლეთის სარკმელის მოჩუქურთმებული არხია. ამ საკითხის გადაწყვეტაში დაგვეხმარა არქივებში არსებული მასალები. ჩვენს მიერ ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის არქივში შესწავლილ იქნა 1856 წ. შესრულებუ-


ლი აკადემიკოს პ. ნორვეის ანაზომები. ანაზომებში წარმოდგენილია გვერდითი ფასადი, ერთი კრილი და რამოდენიმე დეტალი. ანაზომები მრავალ შეცდომებს შეიცავს და სრულიად არ ეთანხმება ნატურის მონაცემებს, მაგრამ მღუხეღავად აღნიშნულისა, დიდი დახმარება გაგვიწია ზოგიერთი საკითხის განმარტებაში. ამ ანაზომებში შესრულებულია დასავლეთის სარკმლის მოჩუქრობებული არსიის ანაზომი. ორნამენტის ხასიათის მიხედვით ჩვენს მიერ შესრულებული ცალკეული ფრაგმენტების ანაზომებში აღმოჩნდა ქვა, რომელიც ძლიერ ახლოს იყო ძველ ანაზომებთან.

ამრიგად, ჩვენ მოგვეცა საშუალება დაგვედგინა ადგილზე არსებული ფრაგმენტებიდან რომელი იყო დასავლეთის სარკმლის საპირე. 1856 წ. ანაზომები ჩვენ დაგვეხმარა საკითხის გადაწყვეტაში, მაგრამ მისი გამოყენება აღდგენისათვის ყოვლად მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან, თავის მხრივ, იგი შეცდომებსაც შეიცავდა. ამ ნახაზის მიხედვით შეუძლებელი იყო პროფილის დადგენა, ორნამენტის პირველი ვიწრო ზოლი სულ არ შეეფერებოდა სინამდვილეს, ხოლო თვით ორნამენტის ფართო ზოლიც სქემატიურად იყო შესრულებული.

ამრიგად, როგორც ეს ფაქტორი მასალა გვიკარნახებს, სრულიად ნათელა ხდება თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს არქივში არსებულ მასალებს ძეგლების რესტავრაციის საქმეში. აქედან შეიძლება დავასკვნათ რომ, თუ ნატურაში ფაქტორი მასალები არ გავაჩნია, არქივში არსებული მასალები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს რესტავრაციის პროექტს. რა თქმა უნდა, გამონაკლისს უნდა მიეწეროს ერთადერთი შემთხვევა, როცა ძეგლის ანაზომები სრულდება მისი ხელმოკრედ აღდგენის მიზნით, ე. ი. სამუშაო პროექტის სტადიაში, რაც ძლიერ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს და ასეთი ანაზომები არქივებს არ გააჩნიათ. 1856 წ. ანაზომებში ბედიის ძეგლს ქართული ხუროთმოძღვრებისათვის უჩვეულო გუმბათი ადგია. ფასადების განზომილებებშიც მრავალი შეცდომებია. ბედიის ანაზომები არქივებში შედარებით გვიანდელიც არსებობს. ესენია — XIX საუკ. 90-იან წლებში აკად. პავლინოვის მიერ შესრულებული. ამ ანაზომების მიხედვით სამხრეთის კარი მის ზემოდ მოთავსებული სარკმლის მარცხენივ მდებარეობს, ანაზომებში კი ეს პირიქითაა გადმოცემული და სხვა.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების დროს ნაპოვნი იქნა მეტად საინტერესო ჩუქურთმიანი ქვა. ჩუქურთმა ამოკვეთილია სფერულ ზედაპირზე. ნატურაში არსებული მასალებით ამ ქვის პირვანდელი მდებარეობის ადგილის დადგენა შეუძლებელი იყო. სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტაში დაგვეხმარა 1856 წ. შესრულებული ანაზომები. იმ ადგილას, სადაც ეს ქვა უნდა ყოფილიყო, ჩავატარეთ დაკვირვებები. იგი დედა დულაბში აღბეჭდილ კვალს შეუთავსდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რა მნიშვნელობა აქვს არქივში არსებულ მასალებს, როგორ უნდა იქნენ ისინი გამოყენებული რესტავრაციის საქმეში.

მეორე საკითხი, რომელზედაც ვგსურს ყურადღება გავამახვილოთ, ეს არის ბედიის ძეგლის აშენების თარიღი. ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რესტავრაციის პრინციპის ჩამოყალიბებაში. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ეპოქის ძეგლთან გვაქვს საქმე, შეიძლება სხვადასხვანაირად გადაწყდეს კიდევ ძეგლის დაცვის საკითხი. კედლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით საძირკვლების კვლევისას აღმოჩნდა მასალები, რომლებიც დიდი ყურადღების




ბ ე დ ი ა. გეგმა და შერდები, შესრულებული ლევან ზიშიაშვილის მიერ.



ბედიან

ქართული  
სახლიანობა



ბედიან

ბედიან. დასაქულის კარი. შესრულებული ლეან ხიმშიაშვილის მიერ

ლირსია, აღმოსავლეთის კედელთან შურფების თხრის დროს იატაკის დონიდან 20 სმ-ით დაბლა აღმოჩნდა საძირკველი.

როგორც საძირკვლის გაბარიტები გვიკარნახებს, ნაგებობა საკმარისად დღი და უნდა ყოფილიყო. მეტად საინტერესოა ის მომენტი, რომ ამ საძირკველებში დღემდის კარგად შემონახეს ცოკოლის წყობა. შემონახულ ცოკოლის ქვებზე გარკვევით იკითხება თლის და წყობის ხასიათი. როგორც ნახაზზე ჩანს, ძველი ე. ი. ადრინდელი ძეგლის შემონახული საძირკველები ამჟამად მთლიანად იატაკის ქვეშაა მოქცეული. საძირკველმა კარგად შემონახა ცოკოლის სამი რიგი. იგი საშსაფეხურიანია. საფეხურის გამოწვევა 2,5 სმ-ს უდრის. საძირკველი გვეგმაში ნახევარწრიულია. ცოკოლის ქვებზე, როგორც ადრე იყო აღნიშნული, კარგად არის დაცული თლის ხასიათი. თლის ასეთ ხასიათს ვხვდებით ბაგრატის ტაძარზე, სვეტიცხოველზე, სამთავროში, სამთავისში და სხვა. ადრინდელი ნაგებობის საძირკველები აღმოჩნდა საკურთხეველის ჩრდილოეთის და სამხრეთის სათავეებში. ამ აღმოჩენილი ნაშთებიდან ჩანს, რომ ადრე არსებული ძეგლი სამწრიული აბსიდებიან ნაგებობას წარმოადგენდა და ფასადზე გამოწეული იყო. ადრინდელი ძეგლის გეგმის მოლიანად წარმოადგენა ამ მასალებით, რომელიც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების დროს აღმოჩნდა, ძნელია, თუ ამ მიზნით ძეგლის შესწავლა გაგრძელდება არსებული ნაგებობის სხვა ნაწილებში, იმედია, რომ მისი გეგმის აღდგენა შესაძლებელი გახდება.

საინტერესო მასალა აღმოჩნდა ერთ-ერთი შურფის თხრისას, რომელიც ძეგლის შიგნიდან სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში იქნა გათხრილი. აქ საძირკვლის წყობაში აღმოჩნდა ორი ქვა, რომლებიც შელესილია და მოხატული. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ადრე არსებული ძეგლის საძირკვეებია. ახალი ნაგებობის აშენების დროს ისინი გამოუყენებიათ და უზმარიათ საძირკვლის წყობაში, შურფის თხრისას ძეგლის ამავე კუთხეში აღმოჩნდა იატაკის ორი დონე. ქვედა იატაკი, რომელიც სულ 18 სმ-ით დაბლაა, ვიდრე დღევანდელი, სუფთა თლილი ქვის კვადრებით არის ნაგები. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იატაკი ადრინდელი ძეგლის უნდა იყოს.

როგორც ცნობილია, მიწის ზევით არსებულ ბედიის ტაძარს ათარილებენ X—XI სს. ჩვენს მიერ ვახსნილი შურფებით.

აღმოჩენილი მცირე მასალები თავის მხრივ ეჭვს წარმოშობენ ამ თარიღის შესახებ. ადვილი მოსალოდნელია ვიფიქროთ, რომ ეს თარიღი მიეკუთვნება ძეგლის იმ ნაწილის არსებობას, რომლის შემონახული მცირე ფრაგმენტები ამჟამად არსებული ძეგლის ქვეშ არის შემორჩენილი.


ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი კვლევა გამოთქმულ მოსაზრებას კიდევ უფრო გაამაგრებს და ხელს შეუწყობს ძეგლის შესწავლა-გამოკვლევის საკითხს.

## ქვის კონსერვაცია

სიტყვა „ქვა“ სხვადასხვაგვარ მასალას გულისხმობს, ამიტომ მისი კონსერვაცია განსაკუთრებულ დაკვირვებასა და ყურადღებას მოითხოვს.

პრაქტიკულად არჩევენ ქვის ორ ჯგუფს: სილიციუმის ორჟანგის ბუნებრივ შენაერთებს ანუ სილიკატებს და კალციუმისა და მაგნიუმის ბუნებრივ შენაერთებს, რომელშიც შედის კირქვა, თაბაშირი, მარმარილო, დოლომიტი და სხვა.

სილიციუმის ორჟანგის ( $SiO_2$ ) შენაერთები საფუძვლად უდევს მინერალების იმ დიდ ჯგუფს, რომლებიც მოიცავენ კვარცს, მინდვრის შპატს, სარდონს, აქატს, ონიქსს, ოპალს და სხვ. ეს შენაერთები გამოირჩევიან განსაკუთრე-



შხეროს სამარხის ცხენის სკულპტურული გამოსახულება გამაგრების შემდეგ

ბული მდგრადობით მკაფების მიმართ (გამონაკლისს შეადგენს ფტორწყალბადის მკაფა).

მეორე ჯგუფის „ქვები“ მარმარილო, კირქვა და სხვ. მკაფებისადმი ძალზე მგრძობიარენი არიან. მაგნიუმისა და კალციუმის კარბონატები წყალში ცუდად იხსნება, მაგრამ თუ წყალი შეიცავს ნახშირორჟანგა გაზს, მაშინ მათი ხსნადობა მნიშვნელოვნად იზრდება. ნახშირორჟანგა გაზი წყალთან წარმოქმნის ნახშირის მკაფას  $H_2CO_3$ , რომელიც კარბონატების გამხსნელს წარმოადგენს.

განსაკუთრებით გვიანდა შევეჩერდეთ კირქვებსა და ქვიშაქვებზე, რომლებიც ცუდო ხშირად გვხვდება სამუზეუმო პრაქტიკაში.

კირქვა დანალექი ქანია, რომელიც ძირითადად კალციტისაგან შედგება. მისი შედის აგრეთვე სხვადასხვა შენაერთები ცვალებადი რაოდენობით.

SiO <sub>2</sub> — 5,19%	TiO <sub>2</sub> — 0,06%	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub> — 0,18%	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub> — 0,54%
MgO — 7,89%	CaO — 42,57%	Na <sub>2</sub> O — 0,05%	K <sub>2</sub> O — 0,33%
H <sub>2</sub> O — 0,77%	P <sub>2</sub> O <sub>5</sub> — 0,04%	CO <sub>2</sub> — 41—54%	SO <sub>3</sub> — 0,05%

0,3% ორგანული ნივთიერება<sup>1</sup>.

იმ შემთხვევაში როდესაც კირქვებში იზრდება მაგნიუმის კარბონატის რაოდენობა იგი გადადის (საშუალოდ სახესხვაობების გავლით) დოლომიტში; თიხოვანი ნაწილაკების შემცველობის გაზრდისას კი ჯერ კირქვოვან თიხებში, ხოლო შემდეგ მერგელში<sup>2</sup>.

კირქვები წარმოიქმნებიან როგორც ბიოგენური, ასევე ქიმიური გზით კალციუმის კარბონატის წყალში გამოლექვისას (ზღვისა და ტბის წყლებში). იგი ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა გეოლოგიურ ნალექებში შრეების სახით.

ქვიშა ეწოდება ტერიგენულ ნამსხვრევ ქანებს, რომელთა მარცვლების სადიდე ძირითადად იცვლება 1 მმ-დან 0,1 მმ-დე. თუ ამგვარი მარცვლები შეკავშირებულია ურთიერთშორის ცემენტით, მაშინ საქმე გვაქვს ქვიშაქვებთან. ცემენტი უმთავრესად ორგვარია: ერთგვაროვანი, რომელიც ხსნარებიდან გამოკრისტალდება (კალციტის, ოპალის, ქალცედონის, რკინის პიდროფანგის, თაბაშირის, ანალციმის და სხვ. გამოკრისტალებისას) და რთული, რომელიც წარმოიშობა მინერალებისა და ქანების დაქუცმაცებით და აგრეთვე მათი ქიმიური დაშლითა და გადაკრისტალებით.

კირქვებისა და ქვიშაქვების მდგრადობაზე დიდ გავლენას ახდენს აგრესიული აგენტები და დრო. თუ ისინი მიწის ზემოთ, პაერზე არიან მათზე მოქმედებს სინესტე. ქარი, ტემპერატურის მკვეთრი ცვლა, თუ მიწაშია — მიწისქვეშა წყლები და ყველა მარილები, რომლებსაც შეიცავს მიწისქვეშა წყლები. თუ ნიადაგის წყლები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედებენ ქვიშაქვებზე ან კირქვებზე, შესაძლებელია კირქვები გაჯერდნენ მარილებით, ქვიშაქვები კი თანდათან გამოიტუტონ, ე. ი. მოხდეს მათი მაცემენტირებელი ნივთიერების გაწორეცხვა, რაც გამოიწვევს მისი სიმტკიცის შეცვლას. (უმთავრესად შემცირებას).

კირქვები, რომელთა ფორებში იმყოფება მიწისქვეშა წყლებით შეტანილი მარილები, პაერის სინესტის შემცირების შემთხვევაში შესაძლებელია გამოკრისტალდნენ, ხოლო სინესტის გაზრდისას ადგილი ექნება უკუპროცესს, ე. ი. მარილების გახსნას. აღნიშნული გამოკრისტალება-გახსნის პროცესი თანდათანობით ამსხვრევს ქვას. თუ ნიადაგში ნამყოფი კირქვები ამოტანილ იქნებიან დედამიწის ზედაპირზე, მათი დაშლის პროცესი უფრო ენერგიულად წარიმართება.

განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს კირქვებზე გოგირდოვანი გაზი, რომე-

<sup>1</sup> Краткая Химическая Энциклопедия, т. II Москва, 1963, стр. 137.

<sup>2</sup> იქვე



ლიც უერთდება რა სინესტეს წარმოქმნის გოგირდის მყავას, რომელიც ძლიერად შლის კირქვას და თანდათანობით გადაყავს იგი თაბაშირში, თაბაშირის გამოყრისტალება კი თავის მხრივ იწვევს კირქვის ზედაპირის დაშლას.

ქვისაგან ნაკეთები მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვა-შენახვისათვის მიმართავენ ნათ გამაგრებას (კონსერვაციას). კონსერვაციისათვის გამოყენებული ნივთიერებები უნდა ხასიათდებოდნენ შემდეგი ძირითადი თვისებებით: უნდა იყვნენ უფერული, ადვილხსნადი (სათანადო გამხსნელებში), ადვილმომრავა, მინიმალურად აქროლადი, ჩაჯდომის დაბალი კოეფიციენტით, არატოქსიური, მდგრადი სინესტისა და ბაქტერიების მიმართ და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია ქვის გასამაგრებლად იყენებს პოლივინილპუთირალს (ბუტვარს), რომელიც კარგად იხსნება ღვინის სპირტში (არა ნაკლებ 94° სიმაგრისა).

ბუტვარი წარმოადგენს მალაქოლექსულურ ფისს, რომლის კუთრი წონა 1,11-ის ტოლია. წინააღმდეგობა გაგლეჯაზე 560 კგ/სმ, დრეკადობა 140—150 კგ/სმ<sup>2</sup>, თერმომდგრადობა 130°—140°, გამჭვირვალეა. კარგად იხსნება სპირტში, რთულ ეთერებში და დიოქსანში.<sup>1</sup> ამ ფისის დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მალალი მდგრადობა სინესტისა და ბაქტერიების მიმართ, ქიმიური ინერტულობა და შებრუნების უნარი (ე. ი. საჭიროების შემთხვევაში გამხსნელის საშუალებით შესაძლებელია მისი უკან გამოდევნა უკვე გამაგრებულ მასალიდან).

საკონსერვაციოდ მზადდება ბუტვარის სხვადასხვა კონცენტრაციის (დაწყებული 0,1% -დან, ვიდრე 2,5% -მდე) ხსნარები ღვინის სპირტზე. საჭიროების შემთხვევაში ხსნარს ამატებენ რაიმე მყარ ფისოვან ნივთიერებას, რომელიც გამხსნელის აორთქლების შემდეგ ქვის ფორებში მყარდება და ბუტვარს მეტ სიმაგრეს აძლევს.

ქვის გამაგრება-კონსერვაციის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაოა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს დიდი ზომის ქვის ობიექტებთან.


ქვის გამაგრება ლაბორატორიულ პირობებში შედარებით ადვილი საქმეა. უფრო ძნელია ამ სამუშაოს წარმოება საველე პირობებში, მით უმეტეს თუ ქვა ისეა გამოფიტული და მსხვრევადი, რომ მისი ტრანსპორტირება შეუძლებელია; ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ქვის ობიექტის იზოლირება ატმოსფერული აგენტების მოქმედებისაგან. განსაკუთრებით სიფრთხილით უნდა მოვექცეთ იმ ქვის ობიექტებს, რომლებიც მიწაში იყვნენ და გათხრების შედეგად აღმოჩნდნენ პერზე.

მცირე ზომის ქვის ობიექტები უნდა შეიფუთონ და გადატანილ იქნენ ლაბორატორიაში, ხოლო დიდი ზომის ობიექტებს, რომელთა ტრანსპორტირება სახიფათო და ძნელია, უნდა გაუკეთდეს ფარდული, თუ ეს შეუძლებელია ქვას უნდა გადაეფაროს რაიმე წყალგაუფალი მასალა: მუშაშა, ცელოფანის რამდენიმე ფურცელი, გასანთლული ქაღალდი, კალკა და სხვ.

ამის შემდეგ იწყება ქვის გასუფთავება ფუნჯისა და ლანცეტის დახმარე-

1. В. В. Корняк, Химия высокомолекулярных соединений, М. 1950.

ბით მექანიკური ნაწილაკებისაგან; ეს პროცესი თანდათანობით, გასაწმენდი კვ  
 გილის გამოჩინებითა და გასუფთავებულ ადგილზე სუფთა სპირტის დასხმით  
 ხდება. როდესაც გასუფთავება დამთავრდება ქვას კიდევ რამდენჯერმე დასხმუ  
 სუფთა სპირტს ფორებში მყოფი სინესტის გამოდევნის მიზნით. ამ შემთხვევა  
 ში სასურველია აორთქლების პროცესი სწრაფი იყოს. ამის შემდეგ იწყება ქვა-  
 ში გასამაგრებელი ხსნარის შეყვანა. პირველად იღებენ 0,1%-იან  
 ბუტეარის ხსნარს და ამით რამდენჯერმე ელენტავენ ქვას. გასამაგრე-  
 ბელი ხსნარებით მუშაობისას სასურველი არ არის გამხსნელის  
 სწრაფი აორთქლება, ამიტომ ქვას აფარებენ მუშაობას მას შემდეგ, რაც მას და-  
 ესხა გასამაგრებელი ხსნარი. გამხსნელის ნელი აორთქლებისას გასამაგრებელი  
 ნივთიერება სწრაფად არ მყარდება და უფრო ღრმად გადის ქვის ფორებში. რო-  
 დესაც ეს პროცესი რამდენჯერმე გამოორდება, შემდეგ შეიძლება უფრო მეტი  
 კონცენტრაციის ხსნარებით მუშაობა. მუშაობის პროცესში დროდადრო ვახსამთ  
 სუფთა გამხსნელს ზედაპირზე დაგროვებული, კონცენტრირებული ფისის სიღრ-  
 ნეში შეტანის მიზნით.



სამარბი სიონიდან. გამაგრების პროცესი.

საბოლოო გამაგრება უკვე 2,5% ხსნარით მიმდინარეობს, დამუშავება  
 გრძელდება მანამ, სანამ ქვა კარგად არ გამაგრდება. დამუშავების პროცესში სა-  
 სურველია ქვის ობიექტი პორიზონტალურ მდგომარეობაში იყოს მაქსიმალური  
 შეღწევადობის მისაღებად. თუ ნივთი დიდი ზომისაა და არ შეიძლება მისი  
 მთლიანად მოთავსება დასამუშავებელ ხსნარში, საჭიროა მისი გადაბრუნება, ისე  
 რომ გამაგრება ყოველმხრივი და სრული იყოს.

ამ გზით იქნა დამუშავებული კირქვის ლომისთავის სკულპტურული გამოსახულებები ვანიდან (XI ს.), ქვიშაქვისა, ქვიშაქვის ჩუქურთმებიანი სამარბი, სიონიდან (ქ. VII საუკ.), სვეტიცხოვლის კარიბჭის ხარისთავის სკულპტურული გამოსახულება, წიხეთიდან (XI ს.), მხედრის ცხენის სკულპტურული გამოსახულება, რომელიც უკვე ეჭვსი წელია ღია ცის ქვეშ დგას და მრავალი წარწერიანი ქვები ტუფებისა და ტუფისებური კირქვებისა.

12 წლის განმავლობაში ამ ობიექტებზე დაკვირვებამ დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა. ხოლო ის ობიექტები, რომლებიც ღია ცის ქვეშ იმყოფებიან 5—6 წლის შემდეგ საჭიროებენ ზედაპირის ხელახალ გამაგრებას მაღალი კონცენტრაციის ხსნარებით.

---

ვახტანგ ბერიძე

პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ღ ა ვ ი თ ლ ო მ ა ძ ე

ამ წერილით „ძეგლის მეგობარი“ პატივისცემისა და მადლობის გრძნობით იხსენიებს უდროოდ გარდაცვლილ ინჟინერ-კონსტრუქტორს დავით ლომაძეს, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიულ ძეგლთა დაცვა-აღდგენის საქმეს.

დავით როსტომის ძე ლომაძე ქართველ ინჟინერთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გამოვიდა ასპარეზზე. იგი დაიბადა 1914 წელს გურიის სოფელ მამათში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის 1 საშუალო სკოლა (მამინ „საცდელ-საჩვენებელ“ სკოლად წოდებული), რომელმაც ჩვენს ეროვნულ კულტურას არა ერთი და ორი თვალსაჩინო მოღვაწე აღუზარდა.

დავითი ბუნებითვე იშვიათი ადამიანური თვისებებით იყო დაჯილდოებული, სკოლამ კი ხელი შეუწყო მისი ამ თვისებების განმტკიცებას: ისევე როგორც მისი ამხანაგების დიდი ნაწილი, იგი უკვე სკოლის დამთავრებისთანავე საესკებით ჩამოყალიბებული მოქალაქეობრივი და პატრიოტული შეგნებით შეუდგა ცხოვრების ფართო გზას, რომელიც სამწუხაროდ, ასე ნაადრევად შეწყდა.



დავით ლომაძე

უმალესი განათლება მან ინდუსტრიულ ინსტიტუტში მიიღო. უკვე სტუდენტობის დროს მუშაობდა მშენებლობის მწარმოებლად, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი, 1935 წლიდან ჯერ „საქსახპროექტი“ იყო ინჟინრად, შემდეგ განათლების სახალხო კომისარიატის საპროექტოს მთავარ კონსტრუქტორად, იმავე „საქსახპროექტისა“ და „საქშახტპროექტის“ მთავარ ინჟინრად.

ამგვარად, დ. ლომაძე ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ასწრებს თავის გამოჩენას ცოდნითა და უნარით, და დიდ სამშენებლო ორგანიზაციებში უკვე სახელმძღვანელო სამუშაოს ეწევა.

შემდეგ — ომის მძიმე წლები, ფრონტი, შერყეული ჯანმრთელობა. მიუხედავად ამისა, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მას არ შეუწყვეტია დაუცხრომელი მუშაობა, როგორც პრაქტიკოსს, მკვლევარსა და ხელმძღვანელს. დავითი თავმდაბალი და ჩუმი მუშაკი იყო, მას მაღალი სამეცნიერო ტიტულები არ წაუღია თან. მაგრამ ყველამ, ვისაც კი მასთან საქმე ჰქონია, იცის, რომ იგი ერთი უპირველესთაგანი იყო ქართველ ინჟინერ-კონსტრუქტორთა შორის თავისი პრაქტიკული გამოცდილებითაც და ღრმა თეორიული მომზადებითაც.



ამ ათეული წლების მანძილზე დავით ლომაძე ქართველ ინჟინერთა პირველ რიგებში იდგა მუდამ: იგი მთავარ ინჟინრად მუშაობდა ისეთ დიდ მშენებლობაზე, როგორც მეცნიერებათა აკადემიის შენობათა კომპლექსის მშენებლობა. 1947 წლიდან იყო სამშენებლო საქმის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, 1953 წლიდან იქვე ექსპერიმენტული დაპროექტების განყოფილების გამგე, 1964 წლიდან გარდაცვალებამდე კი საქსოფლმშენსახპროექტის მთავარი ინჟინერი და დირექტორის მოადგილე — მარტო ეს ჩამოთვალაც კი საქმარისია მისი მოღვაწეობის მასშტაბის წარმოსადგენად.

ჯერ როგორც პრაქტიკოსმა, შემდეგ როგორც მეცნიერმა-მკვლევარმა, დავით ლომაძემ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სამრეწველო ან სამოქალაქო ნაგებობათა და გეგმარებისა და კონსტრუირების, ბეტონების ტექნოლოგიისა და ფიზიკურ-მექანიკური თვისებათა შესწავლის დარგში. იგი იყო ავტორი-კონსტრუქტორი საქართველოში განხორციელებული მრავალი ღირსშესანიშნავი საინჟინრო ნაგებობისა.



დავით ლომაძე ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებთან

ქართველ ინჟინრებს, როგორც ცნობილია, ბევრი მნიშვნელოვანი რამ აქვთ გაკეთებული შენობათა სენსიტივულობის შესასწავლად. დავითი აქაც ერთი უმთავრესი მუშაკთაგანი იყო. მისი გამოკვლევები, რომლებიც საკუთარ პრაქტიკულ

გამოცდილებას ემყარებოდა, სწორედ ცოცხალ მშენებლობასთან, ცოცხალ პრაქტიკასთან იყო დაკავშირებული.

როგორც ამ საქმის დიდი მცოდნე, დავითი იყო ერთი უპირველესი მრჩეველთაგანი, როცა საქმე დაზიანებულ, დეფორმირებულ შენობათა კვლევისა და აღდგენას შეეხებოდა. და ვის შეეძლო, ამ მხრივ, უკეთ ეშველა ჩვენი ეროვნული, ნივთიერი კულტურის ძეგლთათვის, რომელთა არსებობაც საფრთხეში იყო, რომელთაც „მკურნალობა“ ჰქირდებოდათ, თუ არა დავით ლომაძეს — შესანიშნავ ინჟინერსა და გულმხურვალე პატრიოტს, ჩვენი მშობლიური წარსულის თავდადებულ მოტრფიალეს! და მართლაც, მის მრავალმხრივ ღვაწლს დიდად ამშვენებს მისი უანგარო, გატაცებული მუშაობა ქართული ხუროთმოძღვრების დიდ ნაწარმოებთა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს სპეციალური სარესტავრაციო სახელოსნოს არქივში ინახება დავითის მიერ შესრულებული ნახაზები დაწერილებითი შენიშვნებით, რომლებიც ეხება კონსტრუქციებს, საშენ მასალებს, მშენებლის პროცესს. დავითის მიერ დამუშავებული კონსტრუქციები დაედო საფუძვლად ანანურის მთავარი კოშკის „შეუბოვარის“, რუსის ტაძრის გუმბათის ეკლის, ერთაწმინდის ტაძრის გუმბათის გადახურვის, მარტვილის კათედრალის გუმბათის, სახელგანთქმული ბაგრატის ტაძრის სამხრეთი კარიბჭის, სვეტიცხოველის მელქისედეკისეული კარიბჭის სახურავის, მარტვილის თუმშალიშვილების კოშკის გადახურვის აღდგენა-რესტავრაციას. ფასდაუდებელი იყო მისი რჩევა-დარიგება თბილისის ანჩისხატის ეკლესიისა და როსტომ მეფის აბანოს რესტავრაციის დროს. მისი პროექტით აშენდა მცხეთაში აღმოჩენილი I საუკუნის აკლდამის დასაცავი რკინა-ბეტონის კონსტრუქცია-სახურავი, რომელიც თავისი სიმარტივითა და სიმსუბუქით ოდნავადაც არ უშლის თვით ძეგლის აღქმას. სამწუხაროდ, მას აღარ დასცალდა VIII—IX სს-თა შესანიშნავი ძეგლის — ვანაძიანის „ყველაწმინდის“ ტაძრის — რესტავრაციის პროექტის ბოლომდე მიყვანა. ეს მით უფრო დასანანია, რომ ძეგლის მდგომარეობა ძალიან მძიმეა და დავითის ცოდნა და ალღო მის გადასარჩენად უაღრესად საჭირო და სასარგებლო იქნებოდა.

დავით ლომაძე გულის მძიმე ავადმყოფობით იყო დაავადებული. იგი დიდ ხანს ებრძოდა სენს, რომლისგანაც ფიზიკურად საშინლად იტანჯებოდა. მაინც სულ უკანასკნელ დღეებამდე არ დაუყრია ფარ-ხმალი, ბოლომდე ენერგიითა და მომავლის რწმენით იყო აღსავსე. იგი გარდაიცვალა 1965 წლის 18 მაისს, სწორედ მაშინ, როცა, როგორც ინიჟინერი, სრული სიმწიფის ასაკში იყო შესული, როცა განსაკუთრებით ბევრი რამ შეეძლო შეემატებინა ჩვენი საერთო საქმისათვის, ჩვენი ეროვნული კულტურისათვის, რომელსაც ალალი გულათ ემსახურებოდა.

მან მაინც ბევრი მოასწრო. მისმა შრომამ შესამჩნევი კვალი დატოვა, მის ღვაწლს, ქართველი ინჟინრის, პატრიოტისა და მოქალაქის ღვაწლს, მუდამ მადლობითა და პატივისცემით მოიხსენიებს არა მარტო ის, ვისაც კი სამშენებლო საქმესთან ექნება საქმე, არამედ ყველა ისიც, ვინც ქართული კულტურის ძეგლთა შესწავლისა და დაცვის დარგში მუშაობს.

თავისი მეგობრების, ამხანაგებისა და თანამშრომლებისათვის დავითი მუდამ რაინდობისა და კეთილშობილების განსახიერება იყო.

მისი შრომა მაგალითად უნდა იქცეს სხვა ქართველ ინჟინრებისათვისაც, რომელნიც, იმედია, ისევე როგორც დავით ლომაძე, არ დააკლებენ ზრუნვას ჩვენი ეროვნული ხუროთმოძღვრების საგანძურს.

## სახალხო პოლონეთში

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ვარშავა, არ შეიძლება მოლიანად არ დაეთანხმოს ცნობილ საბჭოთა ხელოვნებათმცოდნე მ. ალპატოვის: „პოლონეთის ქალაქებმა და მისმა არქიტექტურულმა ძეგლებმა დიდი ნგრევა განიცადეს მეორე მსოფლიო ომში ნაცისტ ბარბაროსებისაგან.“

სახალხო პოლონეთმა უდიდესი ძალა მოახმარა არქიტექტურულ შედევრებისათვის მიყენებული ჭრილობების მოშუშებას.

ვისაც ეჭვი ეპარება იმაში, რომ ფენიქსს შეუძლია აღსდგეს ფერფლისაგან, საკმარისია მოხედვს ვარშავაში და ინახულოს ძველი ქალაქის ბაზარი. მისთვის ნათელი გახდება — რა შეუძლია მშობლიური ქვეყნის სიყვარულს, რას ნიშნავს ხელოვნების ისტორიკოსთა ღრმა ცოდნა და რესტავრატორთა ენთუზიაზმი“.

ასევე ფიქრობდნენ ქალაქის ძველი უბნებისა და განახლებული ვარშავის გაცნობისას საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ მიყვანილებულნი<sup>1</sup>, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა: პოლონეთის მატერიალური კულტურის ძეგლების გაცნობა, ძეგლთა დაცვისა და პროპაგანდის მეთოდების, აგრეთვე, ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ძეგლთა აღდგენა-გამაგრების ორგანიზაციის შესწავლა.

გეოგრაფიულმა მდებარეობამ, ამ ქვეყნის ისტორიულმა წარსულმა და პოლონელი ხალხის ცხოვრების პირობებმა განსაზღვრა პოლონეთის არქიტექტურის და, საერთოდ, მატერიალური კულტურის თავისებურება, მისი თვითმყოფობა და გადაწყვეტის ნაციონალური ფორმები.

პოლონეთის ხუროთმოძღვრების განვითარება უკავშირდებოდა, როგორც ქვეყნის ისტორიულ მოვლენათა მსვლელობას, აგრეთვე მისი მეზობელი ქვეყნების არქიტექტურის განვითარების სათანადო ეტაპებს.

ცნობილია, რომ VII—IX საუკუნეებში დასავლეთის სლავები თავის მხრივ იყოფოდნენ სამ ჯგუფად: ჩებეთ-მორავეთის, პოლონეთ-ვისლისპირეთისა და ბალტიისპირეთ-ლაბისპირელებად. გვაროვნული წყობილების დაშლასთან დაკავშირებით დასავლეთის სლავებში წარმოიქმნა ტომობრივი კავშირები, X—XI საუკუნეებში კი ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესთან დაკავშირებით დასავლეთ სლავებში იქმნება ადრე ფეოდალური სახელმწიფო.

პოლონეთის სახელმწიფოს წარმოქმნა განპირობებული იყო ერთი მხრივ ფეოდალურ-მიწათმფლობელურ კლასის და პირადად დამოკიდებულ მეთექვსეულთა წარმოშობაზე, მეორე მხრივ, საგარეო საფრთხის გაძლიერებასთან

<sup>1</sup> საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმმა 1967 წელს პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიაღწია წგუფი: ლ. ნ. მატარაისი (ჩგუფის ხელმძღვანელი), ო. ვ. სანებლიძის, ა. ი. ივანიშვილისა და ირ. დ. ზაქარიაშვილის შენადგენლობით.

დაკავშირებით — ქვეყნის თავდაცვისათვის ძალთა კონსოლიდაციისა და გან-  
 მტკიცებისათვის, პოლონელ ხალხს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათ-  
 ვის განუწყვეტელი ბრძოლები უხდებოდათ ავარებთან, ფრანკებთან, <sup>გერმანულ ფეოდალებთან</sup> <sup>აუსტრიელებთან</sup>  
 თან და შემდეგში, განსაკუთრებით, გერმანულ ფეოდალებთან.



ვარშავა. „სტაროე მიასტო“ 1967 წ.

ფოტო ე. კინცაძისა

პოლონეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება დაიწყო X საუკუნეში. დასაწყის-  
 ში ეს იყო რამდენიმე ტომთა გაერთიანება, რომლებიც ცხოვრობდნენ მდინარე

ვისლის აუზში: პოლიანები (რომლის მიხედვითაც დაერქვა შემდეგში სახელმწიფოს სახელი), სლევანები ანუ სილვზიელები, კუიავები და სხვა.

მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან ინტენსიურად იწყება რაქვეყნის შერის მბრძანებლის ხელში გაერთიანება, მისი პირველი მთავარი ხდება პიპინის გვა



კრაკოვი, წმ. მარიამის ეკლესია.

რეულობის წარმომადგენელი მცხო-მეჩისლავი (960—992), რომლის სამფლო-ბელოში. გარდა პოლიანებისა, შედიოდა ნაწილი სილვზიისა, მეზოვია და კუი-ავები. 960 წელი ითვლება პოლონეთის სახელმწიფოს დაარსების თარიღად. ხო-

ლო ნ წლის შემდეგ 966 წელს მეშკო I თავისი ოჯახით, რაზმელებით, და შემდეგ მთელი ქვეყანა იღებს ქრისტიანულ (კათოლიკური) სარწმუნოებას. ქვეყნის გაძლიერება გრძელდება აგრეთვე მეშკო I მემკვიდრის, ბოლესლავ მამაცი (922—1025) დროსაც. მან თავის სკიპტრის ქვეშ გააერთიანა ე. წ. შვირე პოლონეთიც კრაკოვითურთ და სხვა ტერიტორიები.

ბოლესლავმა რომის პაპისაგან ოფიციალურად მიიღო მეფის ტიტული, ხოლო პოლონეთის ეკლესიის მესაქე გნეზნოს არქიეპისკოპოსი, რომელიც ადრე მაგდებურგის საეკლესიო მესვეურთ ემორჩილებოდა, ახლა უშუალოდ რომის პაპთან ხდება ანგარიშვალდებული.

ქვეყნის გაძლიერებასთან ერთად ძლიერდება მისი ფეოდალიზაციაც, რაც საბოლოოდ ლახვარს სცემს ტომთა გაერთიანებას. ფეოდალიზაციის განმტკიცების პერიოდში თავს იჩენს ქვეყნის დაშლის ტენდენციები, რაც განსაკუთრებით ბოლესლავ მამაციის სიკვდილის შემდეგ გამოვლინდა.

ფეოდალური პოლონეთის სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკურ აპარატზე გამოსვლა ემთხვევა ევროპის არქიტექტურაში გარდატეხის პერიოდს, რაც თავისებურად აირეკლა ამ ქვეყნის სამშენებლო ხელოვნების განვითარებაშიც.

X საუკუნიდან პოლონეთის არქიტექტურა ვითარდება ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, იგი დაკავშირებულია თავდაცვით ნაგებობებთან, რაც გამოიხატა იყო ახალგაზრდა სახელმწიფოს უშიშროებისათვის, მეორე მხრივ, იგი გამოდიანარეობდა საეკლესიო ორგანიზაციების საკიროებიდან.

რომის სიღვთო იმპერიის შემოტევების გამო, პოლონეთის სლავურ მიწაზე საკირო ვახდა გამაგრებული ცენტრების აგება, რაც განსაკუთრებით ძლიერდება მეშკო I და ბოლესლავ მამაციის დროს.

ახლად აგებული ციხე-ქალაქები თავისთავად წარმოადგენდნენ რა ქვეყნის მიწა-წყლის დაცვისათვის კარგად გამაგრებულ ადგილებს, ამავე დროს იქცნენ მხარის მმართველთა რეზიდენციებად.

გამაგრებულ ციხე-დარბაზებთან იქმნება დასახლებული უბნები, სადაც გარნიზონების გარდა სახლდებოდნენ ხელოსნებისა და ვაჭრების მრავალრიცხოვანი ჯგუფები.

ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების გალავნებისათვის იყენებდნენ პოლონეთისათვის ტრადიციულ სამშენებლო მასალას: ხე-ტყეს და მიწის ზეინულებს რომელთა სიმაღლე ზოგჯერ 10 მეტრს აღწევდა.

X საუკუნის ბოლოსათვის დაბებში იწყება აწელება მთავართა რეზიდენციების ე. წ. მთავართა პალატებისა, რომელთა ნაშთებიც ვეხვდება გნეზნოში, პშემისლში და სხვაგან.

X საუკუნის ბოლოსათვის პოლონეთში გავრცელდა რა კათოლიკური ქრისტიანული რელიგია, მან დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის კულტურაზე და ხელოვნებაზე. განსაზღვრა მისი კავშირი დასავლეთ ევროპასთან. მიუხედავად ამისა, პოლონეთის შუასაუკუნეების მატერიალური კულტურა ინარჩუნებს მთელ რიგ თავისებურებებს, რაც დამახასიათებელი იყო სლავური ქვეყნების ნაწილობრივ ჩეხურ და ძველი რუსული ხელოვნებისთვისაც.

X საუკუნეში პოლონეთში ჩნდება ქვის პირველი ნაგებობათა ტიპები. მასიური როტონდისებური ნაგებობები, გამოყენებული მავზოლეუმებად ან ბაპტის-

ტერიუმებად, რომლებიც ჩვეულებრივ დაკავშირებული იყვნენ ფეოდალის გამაგრებულ საცხოვრებლებთან. ეს დამახასიათებელი იყო, აგრეთვე ცენტრალური ევროპისათვის წინა რომანული ტიპების სახით.

ანტიფეოდალური და ანტიკათოლიკური სახალხო მოძრაობის შედეგად XI საუკუნის 30-იანი წლებიდან პოლონეთში საბოლოოდ ფეხი მოიკიდა განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელმა წარმოებითმა და საზოგადოებრივმა ურთიერთობამ. კულტურამ და ხელოვნებამ მიიღო შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-13 საუკუნის დასაწყისამდე არქიტექტურაში და სახვით ხელოვნებაში გაბატონდა რომანული სტილი შესამჩნევად გაძლიერდნენ ნაგებობათა ტიპები, სწრაფად გაიზარდა სამშენებლო ოსტატობა.

არქიტექტურის სახეობა განისაზღვრებოდა დიდი ქვის საეკლესიო ნაგებობებით აშენებული გრანიტითა და სილაქვის სწორი ბლოკებით.

